

ᐅᐅᐅᐅ ᐅᐅᐅᐅᐅᐅᐅᐅ



ᐅ ᐅ ᐅ ᐅ ᐅ ᐅ ᐅ
ᐅ ᐅ ᐅ ᐅ ᐅ ᐅ ᐅ



“ᐅ ᐅ ᐅ ᐅ ᐅ ᐅ ᐅ” 1964

И(Амер)
82—93
ლ 832

თარგმანი ინგლისურიდან
ოთარ ჭილაძისა

მხატვარი
თენგიზ შირვაშვილი



შესავალი



ე თუ მკითხავენ, საიდან მოდის
ეს ლეგენდები და სიმღერები,
გაუღენთილები ტყეთა სურნელით
და მდინარეთა სინოტივეთი,
წყნარი სოფლების ცახცახა კვამლით
და ჩანჩქერების აურზაურით...
მე ვუპასუხებ, რომ ტყეებიდან,
პრერიებიდან და მინდვრებიდან,
ოჯიბუების თბილი მიწიდან
და ჩრდილოეთის დიდი ტბებიდან,
ჭაობებიდან და ტუნდრებიდან, —
იქ სადაც ყანჩა და ყანჩის ჩრდილი
გარინდებულს დგას ლერწმებს შორის.

მე ამ სიმღერებს ისევე ვმღერი,
ვით ნავადაპა მღეროდა ადრე.
და თუ იკითხავთ, თვით ნავადაპამ
სადღა იპოვა ეს სიმღერები:
ასე თავნება და მშვენიერი.
მე გიპასუხებთ, რომ ნავადაპამ
ისინი ნახა ჩიტის ბუდეში,
ისინი ნახა დათვის ბუნაგში
და ბიზონების ნაფეხურებში.

ასე მღეროდა ყველა ფრინველი,
ჭაობის მკვიდრი თუ ტუნდრის მკვიდრი,
ასე მღეროდა სველ ბუჩქებს შორის,
ხმელ ლერწმებს შორის და ლაქაშებში,
წინტალა, მანგი და უაუა,
ჭახჭახა შაშვი და ბატასინი,
და შუჰ-შუჰ-გაიც, ლამაზი ყანჩა
და მუშკოდასაც, ჭრელი კაკაბი.
და თუ კვლავ მკითხავთ, საიდან იყო
ეს ნავადაპა, ტკბილი მგოსანი,
ნავადაპაზეც გვიამბობთ მაშინ.

ტაუესენზეს მშვენიერ ველზე,
მზით და ჩრდილებით მოხატულ ველზე,
მარად მხიარულ ნაკადულებთან
მშვიდად და დიდხანს ცხოვრობდა იგი.

იქ იყო მისი წყნარი სოფელი
და სოფლის ირგვლივ იწვნენ ყანები,
ხოლო ოქროსფერ ყანების თავში
რაზმივით ფხიზლად იდგა ფიჭვნარი,
ზაფხულში მწვანე, ზამთარში თეთრი,
მარად მკვნესავე და მომღერალი.

ველზე გარბოდნენ ნაკადულები
და გაზაფხულზე ნაკადულები
წყლით ივსებოდნენ და იზრდებოდნენ,
ხოლო ზაფხულში თეთრად ბრწყინავდნენ
მზით გაბრუებულ თხმელების ჩრდილში;
შემოდგომაზე ნისლი ეხვიათ,
და შავ ბილიკებს გავდნენ შორიდან,
როდესაც ველზე იდგა ზამთარი.
ნავადაჰასაც იქ ედგა ქოხი,
ტაუესენზეს მშვენიერ ველზე
და იქ მღეროდა თავის სიმღერებს,
ჰაიავათაზე მღეროდა იგი.

იგი მღეროდა გმირის უცნაურ
დაბადებაზე და ცხოვრებაზე:
როგორ შრომობდა, როგორ იბრძოდა,
როგორ ცდილობდა და ლოცულობდა,
რომ მისი ხალხი უფრო ძლიერი
და ბედნიერი ეხილა მალე.
და თუ თქვენც მართლა გიყვართ ბუნება,

გიყვართ სხივების ცახცახი ველზე,
გიყვართ ტყეების ნოტიო ჩრდილი,
ტოტებში ქარი და მთებზე მთვარე,
გიყვართ ქარბუქი, თეთრი და მკაცრი,
გიყვართ ზაფხულის წვიმები მძიმე
და ფიჭვის მწვანე ორლობებში
გიყვართ მდინარის ლალი ხმაური,
გიყვართ ქუხილიც, რომელსაც მთები
ინაწილებენ და ხეობებში
ატკაცუნებენ გამოღვიძებულ
და გაბრაზებულ არწივებივით,
ყური დაუგდეთ ამ ძველ სიმღერას,
ჰაიავათაზე გიამბობთ იგი.

და თუ თქვენც გიყვართ თქვენი წარსული,
თქვენი ზღაპრები და ლეგენდები,
რომლებიც ხავსით დაფარულ ხელებს
თქვენკენ იწვდიან და გაჩერებენ,
და გახსენებენ გარდასულ ამბებს
ამღერებული და ტკბილი ენით...
ყური დაუგდეთ ამ ძველ ლეგენდას,
ჰაიავათაზე გიამბობთ იგი.

თუ თქვენი გული ისევ წრფელია,
და შეგრჩათ რწმენა ღვთის და ბუნების,
და თუ კვლავ გჭერათ, რომ უსასრულოდ
ერთნაირია ადამიანი,

რომ საცოდავი ველურის გულიც
სავესეა ლტოლვით და სურვილებით,
რომ მისი ხელიც, მზდალი და სუსტი,
ღმერთის მარჯვენას დაეძებს ბნელში...
კარგად დაუგდეთ ამ ამბავს ყური,
ჰაიავათაზე გიამბობთ იგი.

და როცა სოფლის შუკებს ჩაივლით,
სოფლის უბრალო და ვიწრო შუკებს,
სადაც ასკილი თუ კოწახური
მკერდზე მიუკრავთ კედლებს ბავშვივით,
თქვენ დაინახავთ ძველისძველ საფლავს,
უკვე დაფარულს მტვრითა და ხავსით,
და იმ საფლავთან თუ შეჩერდებით,
და თუკი კარგად დაუკვირდებით
ქვაზე დაწერილ წუხილს და იმედს, —
ჰაიავათაზე გიამბობთ ისიც.





მშვიდობის ჩიბუხი



ლევამოსილი გიტჩი მანიტო,
ხალხის უემქმნელი და წარმმართველი,
ხალხის მეუფე და გამკითხველი,
ამაყად იდგა პრერიის მთაზე.
დილის ბურუსში ელავდა თიხა,
წითლად ელავდნენ თიხის კლდეები
და დიდებული გიტჩი მანიტო
ხალხს მოუხმობდა პრერიის მთისკენ.

თაქვე მიჰქროდა თეთრი მდინარე,
გიტჩი მანიტოს ფეხით შობილი,

იშკუდასავით გაბრწყინებული,
აურზაურით მიჰქროდა თავქვე.
„ეს შენი გზაა, ამ გზით ირბინე!“ —
ასე უბრძანა გიტჩი მანიტომ,
და ღმერთის თითით გაკვალულ გზაზე
მიფართქალებდა თეთრი მდინარე.

და დიდებულმა გიტჩი მანიტომ
კლდეს მოამტვრია წითელი ლოდი,
მოტეხა დიდი წითელი ლოდი
და გამოძერწა ჩიბუხის თავი,
ჩიბუხის თავი, მკვრივი და მძიმე.
მდინარის პირას მოჭრა ლერწამი,
შედერებული და შეფოთლილი,
და წითელ ჩიბუხს მოარგო ტარად
ლერწამი, ნედლი და შეფოთლილი.

მერე ჩიბუხი, მძიმე და მკვრივი,
მაგრად გატენა ტირიფის ქერქით
და შეაბოლა დაბურულ ტყეებს
ჩიბუხის შავი და სქელი ბოლი.
ძღვევამოსილმა გიტჩი მანიტომ,
ხალხის მეუფემ უზენაესმა,
კვლავ გააბოლა დიდი ჩიბუხი,
რათა ეხილათ ღმერთის ნიშანი
ოთხივე მხარეს გაფანტულ ტომებს
და დაძრულიყვნენ პრერიის მთისკენ.

ჩიბუხის ბოლი იწევდა მაღლა
და იშლებოდა ფერმკრთალ ზოლებად,
მერე გამუქდა და გაიზარდა .
და უზარმაზარ ღრუბელად იქცა.
დიდხანს იარა ღრუბელმა ცისკენ,
დიდხანს იარა ცისკენ ღრუბელმა,
ვიდრე გარინდულ ცას არ შეასკდა
და თეთრ ქულებად არ განიფანტა.

ყველამ მაშინვე შენიშნა ბოლი,
გიტჩი მანიტოს ჩიბუხის ბოლი,
შორეულ მთების მკვიდრმა ტომებმაც
და ჩრდილოეთის ტბათა ტომებმაც.
ტაუესენზეს ველზეც იხილეს,
ვაიომინგის ხევშიც იხილეს
და ტუსკალუზას წარაფიდანაც.
ყველამ იხილა ჩიბუხის ბოლი
და იგრძნო მისი ნაცნობი სუნიც.
„შეხედეთ! ეს ხომ პუკუონაა,
გადმოზნეჟილი ძეწნის რტოსავით.
ეს ის ხელია, რომლითაც გვიხმობს
ძღვევამოსილი გიტჩი მანიტო“.
ასე განმარტეს სოფლის მისნებმა,
რაკი იხილეს ჩიბუხის ბოლი.

რაკი იხილა ღმერთის ნიშანი
დაიძრა ხალხი პრეერიის მთისკენ.

გამოეფინენ ველზე ყაყანით
დეკორაჰები და მოპოკსები,
ოჯიბუები და ქემუნჩები,
დელაურები და შოშონები,
ფეხდაფეხ მიყვნენ მათ შავფეხები,
ფეხდაფეხ მიყვნენ მათ ჩოკტოსებიც.
გამოეფინენ ველზე ყაყანით,
მოხატულები და მორთულები
და საიმედოდ აღჭურვილები
ბასრი შუბებით თუ მშვილდ-ისრებით.

ბოლოს ყველანი ერთად შეგროვდნენ,
აღზნებულები გზითა და სიციხით,
მოხატულები დილის ცასავით
და შემოდგომის ბალახებივით.
მინდორში იდგნენ და გამომწვევად
აბრიალებდნენ ველური სისხლით,
შურისძიებით და სიძულვილით
და ბრძოლის უინით ანთებულ თვალებს.
ხოლო კეთილი გიტჩი მანიტო,
მათი შექმნელი და გამკითხველი,
თანაუგრძნობდა უგუნურ შვილებს
და სიბრალულით ეწვოდა გული.

მერე აღმართა მძლავრი მარჯვენა,
რომ მის უგუნურ და ჭიუტ შვილებს
შურისძიება და სიძულვილი,

ზიზლი და ჯიბრი და ბრძოლის უინი
ჩაეხშოთ გაწვდილ მარჯვენის ჩრდილში.
და მოეფინა კლდეებს და მინდვრებს
გიტჩი მანიტოს ხმა დიდებული,
ისეთი ხმა აქვს შორეულ ჩანჩქერს,
გადმოკიდებულს ღრმა უფსკრულებში.
„ჩემო შვილებო! დამიგდეთ ყური.
თქვენ დიდი სული მოგმართავთ ახლა,
და მოუსმინეთ მის ყოველ სიტყვას,
რომ გაინათოთ გონება ბნელი.

მე თქვენ მოგეცით მიწაც და წყალიც:
მიწა მდიდარი ტყით და ნადირით,
წყალი მსუბუქი და საამური,
პირამდე სავსე თახვით და თევზით.
თქვენთვის გავუშვი ველზე ბიზონი,
ჭალაში შველი და მთაში დათვი...
და იმის ნაცვლად, რომ მოიპოვოთ
თქვენი კუთვნილი ტყავი და ხორცი,
კვლავ ერთმანეთზე გიჭირავთ თვალი.
მე კი მომბეზრდა ამდენი ჯიბრი,
ამდენი შუღლი და სიძულვილი
და აღარ მინდა, რომ ჩემს მიწაზე
კვლავ დაიდვაროს ცრემლი და სისხლი.
და თქვენც იცხოვრეთ ერთად და მშვიდად,
როგორც ხეები ცხოვრობენ ტყეში.

მე თქვენ მოგივლენთ წინასწარმეტყველს
და ის გახდება თქვენი მფარველი.
ის თქვენთან ერთად ყველაფერს იწვინებს,
ერთი გექნებათ ჭირიც და ლხინიც.
და თუ გულდასმით მოუსმენთ ხოლმე,
კვლავ გამრავლდებით და აყვავდებით,
მაგრამ თუ ისევ დაიხშობთ სმენას,
გაქრება თქვენი კვალიც კვამლივით.


ახლა ყველანი ერთად ჩადექით
ამ მდინარეში და მოიშორეთ
ეგ გამომწვევი საღებავები,
ჩამოიშორეთ სისხლის ლაქები
და გადაყარეთ ხმელი კომბლები,
ბასრი შუბები და მშვილდ-ისრები.
მერე აიღეთ თიხის ბელტები
და ჩიბუხები გამოიძერწეთ,
ტარად მოარგეთ ნედლი ლერწამი
და მორთეთ ჭრელი ფრთით და ბუმბულით
და გააბოლეთ სამარადისო
დამეგობრების აღსანიშნავად“.

გიტჩი მანიტო ბრძენთა ბრძენია,
ვინ არ მოუსმენს გიტჩი მანიტოს.
და მეომრებმა მოიხსნეს უმალ
ტყავის უხეში მოსასხამები,
მოისრიალეს ხმელი კომბლები,

ბასრი შუბები თუ მშვილდ-ისრები
და გადაცვივდნენ თეთრ მდინარეში,
და მათი მჭახე საღებავებით
უცებ აიმღვრა ანკარა წყალი.
წყალმა წაიღო სისხლის ლაქები
და გამომწვევი საღებავებიც.
სვებედნიერი გიტჩი მანიტოც
თავის უგუნურ და უძლურ შვილებს
ეფერებოდა თბილი ღიმილით.

და მეომრებმა მიწაში ჩაფლეს
ბასრი შუბები და მშვილდ-ისრები,
მერე მოტეხეს წითელი ქვები
და ჩიბუხები გამოიძერწეს.
მდინარის პირას მოჭრეს ლერწმები
და მორთეს კრელი ფრთით და ბუმბულით.
და როცა მათი დიადი სული,
გიტჩი მანიტო, ძლევამოსილი,
მთლიანად გაქრა ჩიბუხის ბოლში,
გაქრა მშვიდობის ჩიბუხის ბოლში,
წყევნენ შინისკენ მიმავალ ბილიკს.





ოთხი ქარი



დიდება მამაც მაჯეკიუისს!—
გახარებული ყვიროდა ხალხი,
იმ დღეს, როდესაც დაბრუნდა იგი
და მოიტანა წმინდა ვამპუმი,
თეთრი ბოცვერის და ჩრდილოეთის
სუსხიან ქარის სამფლობელოდან.

მან მოიპარა წმინდა ვამპუმი,
მან მიწე-მოკვას, ავსა და ბოროტს,
კისრიდან მოხსნა წმინდა ვამპუმი,
როდესაც მთების მრისხანე დათვი
უგუნურ სიზმრებს ხედავდა ძილში
და ხავსმოდებულ ლოდივით იწვა,
უზარმაზარი და მოუქნელი.

ის მიეპარა მძინარე ნადირს,
თავზე წაადგა ფეხზე ფილი
და გათოშილი ხელედი უცებ
გაუთბა დათვის მხურვალე სუნთქვით,
როდესაც მიში-მოკვას ყურებზე,
ბანჯგვლიან შუბლზე და ნესტოებზე
გადმოაცურა წმინდა ვამპუმი.
დახშული იყო დათვის ყურები,
დახშული იყო დათვის თვალები,
და მხოლოდ მისი მხურვალე სუნთქვა
უთბობდა ხელებს მაჯეკიუისს.
მან გაბედულად ჩასძახა ყურში,
ყურში ჩასძახა საზარელ ნადირს
ბრძოლის ყიყინა, მკვახე და მძლავრი,
მერე კი დასცხო მძიმე კომბალი,
ლონივრად დასცხო ბანჯგვლიან შუბლში.

და მძიმე კომბლით გაბრუებული,
ნელ-ნელა ფეხზე წამოდგა დათვი,
წამოიმართა ტორებზე დათვი,
უზარმაზარი და საზარელი,
მაგრამ მუხლებმა უმტყუნეს უცებ
და ჩაიკეცა გმირის ფეხებთან
აკვნესებულმა დედაკაცივით.
გმირი კი იდგა და დასცინოდა,
ძლევამოსილი და უშიშარი.

„დათვო, დასრულდა შენი დიდება.
თურმე ტყუილად მოგქონდა თავი,
თორემ ქალივით არ იტირებდი,
არც იკვნესებდი ახლა ქალივით.
დამთავრდა ჩვენი შუღლიც და ჯიბრიც
და როგორც ხედავ, დათვის ჭილაგი
აღმოჩნდა კაცის ჭილაგზე სუსტი.
შენ რომ შემთხვევით გეჯობნა ჩემთვის,
დამარცხებულიც გავიცინებდი.
ახლა კი იჯექ და ბებერივით
გამოიტირე შენი ჭილაგი,
შეგინებული და შერცხვენილი.“
და მერე ერთხელ კიდევ აღმართა
მძიმე კომბალი და მიში-მოკვას
ოთხად გაუპო ჭიუტი შუბლი,
ოთხად გაუპო, როგორც ყინული.
და მოკვდა მიში-მოკვა, ბოროტი,
მოკვდა მრისხანე და დიდი დათვი,
ხალხის მტარვალი და შემმუსვრელი.

„დიდება მამაც მაჭეკიუისს!“ —
აღტაცებული ყვიროდა ხალხი.
„დიდება მამაც მაჭეკიუისს!
დიდება მამაც მაჭეკიუისს!
ამიერიდან უკუნისამდე
ის უნდა იყოს დასავლის ქარი
და ყველა ქარის ბატონ-პატრონი

ამიერიდან უკუნისამდე
მას დაერქმევა კაბეიენი,
კაბეიენი — დასავლის ქარი!“

და ამის მერე მაჭეკიუისს
ქარების მამად იცნობენ ყველგან,
ქარების მამად და მეთაურად,
ასე იცნობენ მაჭეკიუისს.
მან დაიტოვა დასავლის ქარი,
დანარჩენები გაუყო შვილებს:
უაბენს მისცა აღმოსავლეთის,
შაჟონდასის მისცა სამხრეთის
და ჩრდილოეთის ველური ქარი —
აგსა და ბორღტ კაბიბონოკას.

კეთილი გული ჰქონდა უაბენს,
ის იყო ქვეყნად დილის მომყვანი,
ის აღვიძებდა შიძინარე სოფლებს,
მთასა და მინდორს, კაცსა და ნადირს.
ირგვლივ განფენილ ღუმილს და წყვდიადს
მისი ისრები აფრთხობდა მხოლოდ
და უაბენის ნაზი ლაწვეპი
ვარდისფრად ენთო გადნატულ ბინდში.

მაინც წუხილი კლავდა უაბენს,
რადგან ის მარტო ცხოვრობდა ცაში,

თუმცა ჩიტები მისთვის გალობდნენ
და ყვავილებიც მხოლოდ და მხოლოდ
მისთვის ავსებდნენ ცას სურნელებით.
მაგრამ ის მარტო ცხოვრობდა ცაში
და მოწყენილი იყო ყოველთვის.

ერთხელ, როდესაც უცქერდა მიწას,
როცა ჯერ კიდევ ეძინა სოფელს
და ნისლი იწვა უჩინარ მთაზე,
უჩინარ ტყეზე და მდინარეზე,
მან დაინახა ნაზი ქალწული,
მიუწვდომელი და იღუმალი.
ნისლში ჩამალულ მდინარის პირას
მზის მოლოდინში იდგა ქალწული
და აგროვებდა ჩალას და ლერწამს,
დატყვევებული მზის მოლოდინით.
და ამის მერე, როდესაც იგი
უცქერდა მიწას, სურვილით მთვრალი,
ხედავდა მხოლოდ ქალწულის თვალებს,
განათებულებს ცისფერ ტბებივით.
მას შეუყვარდა ნაზი ქალწული,
მიუწვდომელი და იღუმალი
და უკვე აღარ შეეძლო მარტოს
ეცხოვრა ცაში, ღრუბელთა შორის,
რადგან ქალწულსაც უყვარდა იგი
და ორივენი იყვნენ მარტონი.

დიდხანს ეტრფოდა მას უაბენი,
ეფერებოდა თბილი სხივებით,
ტყეებს ავსებდა ნაზი ჩურჩულით,
ხევებს ავსებდა ოხვრით და კვნესით.
ბოლოს გაბედა და ჩაიხუტა
და უაბენის ღონიერ მკერდზე
ვარსკვლავად იქცა ნაზი ქალწული.
და ამის მერე ერთად დადიან,
ერთად დადიან ისინი ცაში:
ცისკრის ვარსკვლავი და უაბენი.

ხოლო მრისხანე ~~კაბიბონოკას~~
ყინულთა შორის ედგა კარავი,
თეთრი ბოცვერის და ჩრდილოეთის
სუსხიან ქარის სამფლობელოში.
კაბიბონოკა აჭკნობდა ფოთლებს,
კაბიბონოკა ძარცვავდა ტყეებს
და მისი შიშით გარინდულ მინდვრებს
ავსებდა თოვლის მძიმე ზვინებით
და გაშეშებულ მდინარეებზე
დაშლივინებდა თმაგაწეწილი.
მერე კი ქარის მწარე წკეპლებით
ერეკებოდა სამხრეთისაკენ,
შაუონდასის სამფლობელოსკენ:
ყანჩებს, თოლიებს და ბატასინებს.

ერთხელ ბოროტი კაბიბონოკა
მიიჩქაროდა სამხრეთისაკენ,

მწარედ ღმუოდა და ტრამალეებზე
თმას მიითრევდა მდინარესავით,
დახუნძლულს შავი ეკალ-ბარდებით,
თოვლის ქულებით და ლოლუებით.

უცებ მრისხანე კაბიბონოკამ
დაღლილ შინგებისს შეასწრო თვალი,
რომელსაც ტბებზე და ჰანკრობებზე
თან მოპყვებოდა თევზების გუნდი,
ყინვით დამზრალი და დაღეული.

და დაიყვირა კაბიბონოკამ:

„ვინ დაწანწალებს ჩემს სამეფოში,
თუკი გაფრინდა ყველა ფრინველი
და შუჰ-შუჰ-გაიც,
და უაუაც.

უნდა დაინგრეს თავხედის ქოხი
და უნდა ჩაქრეს თავხედის ცეცხლი.“

და ღამით, ავმა კაბიბონოკამ
ქოხს შემოავლო თოვლის ზვინები,
შეუზანზარა ძველი კედლები,
ძველი კედლები და სახურავი.
მაგრამ შინგებისს არ ეშინოდა,
არც ეშინოდა და არც ნაღვლობდა,
მას ჰქონდა სამი ვეება კუნძი
სუსხნიან ზამთრის სამივე თვისთვის.
შინგებისს თევზის მარაგიც ჰქონდა

და მოღუღუნე ცეცხლით გამთბარი
ქამდა, ხუმრობდა და ღიღინებდა:
„შენც მოკვდავი ხარ, კაბიბონოკა“.

მაშინ ბოროტი კაბიბონოკა
გაათრებული შევარდა ქოხში
და შინგებისმაც მაშინვე იგრძნო
კაბიბონოკას ცივი ხელები.
მაგრამ სრულებით არ დაბნეულა
და გააგრძელა წყნარი ღიღინი,
მან მხოლოდ კუნძი შეატრიალა
და გაცოფებულ კაბიბონოკას
სახეში ეცა მაღალი ცეცხლი.

და გადნა თოვლი, რომელიც თავზე
ზვინივით ედგა კაბიბონოკას,
გადნა ყინულიც და აშიშინდნენ
გამთბარ ნაცარში მღვრიე წვეთები.
ასე წვეთავენ სახურავები,
თეთრი ვერხვები და ტირიფები,
როცა გაზაფხულს იგრძნობს ზამთარი
და გასაქცევად მოემზადება.

ვეღარ გაუძლო მხიარულ ღიღინს,
ვერ აიტანა ცეცხლის ტკაცუნი,
და გულბოროტი კაბიბონოკა
გამწარებული გავარდა კარში.
გაიშლივინა გაყინულ ტბებზე,

მდინარეებზე და ნამქერებზე,
თოვლს დაათოვა ახალი თოვლი
და მიუმატა ყინულს ყინული
და საჭიდაოდ გამოიწვია
მან შინგებისი, სულმთლად ტიტველო.

არ შეეშინდა შინგებისს მაინც,
არ შეეშინდა და მთელი ღამე
ეჭიდებოდა სულმთლად ტიტველი
ავსა და ბოროტ კაბიბონოკას,
გაყინულ ტბებზე და ნამქერებში
ეჭიდებოდა სულმთლად ჭიტველი,
ვიდრე არ დაცხრა კაბიბონოკა,
ვიდრე არ დაცხრა და შერცხვენილი
არ გადიხვეწა თეთრი ბოცვერის,
თეთრი ბოცვერის და ჩრდილოეთის
სუსხიან ქარის სამფლობელოში.

ხოლო ზარმაცი შაუონდასი,
ზედმეტად სქელი და მოუქნელი,
ცხოვრობდა მშვიდად და უზრუნველად
მზის მარადიულ სიელვარეში.
მზის მარადიულ სიმხურვალეში
მშვიდად ცხოვრობდა შაუონდასი,
მშვიდად ცხოვრობდა და აგზავნიდა
შაშვსა და მერცხალს, ჭვინტას და ოპიჩს.
ყანჩაც, კაკაბიცი და უაუაც

კვლავ ბრუნდებოდნენ მისი წყალობით,
ის აგზავნიდა თუთუნს და ყურძენს
და მისი დიდი ჩიბუხის ბოლი
ზეცას ავსებდა ნაზი ბურუსით,
მინდვრებს ავსებდა მძაფრი სურნელით,
წყალს — სიკამკამით და სიმსუბუქით.
მერე მოჰყავდა ცხელი ზაფხული
და ღამეები, ვეება მთვარით
და ვარსკვლავებით გაჩაღებული.

მზის მარადიულ სიელვარეში
მშვიდად ცხოვრობდა შაჟონდასი,
მაგრამ, საკუთარ ბედით კმაყოფილს,
მასაც დაეცა წუხილის ჩრდილი.
მან სულ შემთხვევით შენიშნა ერთხელ
მწვანით მოსილი ნაზი ქალწული,
როცა უმიზნოდ იყურებოდა
ჩრდილოეთისკენ, პრერიებისკენ.
იხილა იგი ნაზი ქალწული,
შეღერებული და მშვენიერი
და გულზე იგრძნო წუხილის ჩრდილი.
ის უყურებდა ქალწულს შორიდან
და ედებოდა ვნება ცეცხლივით,
როცა ხედავდა ყვითელ ნაწნაეებს,
აფრიალებულს პრერიის ქარში.
მაგრამ ზედმეტად მსუქანს და ზარმაცს,
არ ჰქონდა ღვევის და თხოვნის თავი

და უყურებდა ასე შორიდან,
გაბრუებული მხურვალე ვნებით.

ერთხელ, როდესაც იყურებოდა
ჩრდილოეთისკენ, პრერიებისკენ,
მან დაინახა ნაზი ქალწული
ფერდაკარგული და დათოვლილი.
თოვლი ეფინა ოქროსფერ თმებზე,
თოვლს დაეფარა მწვანე სამოსიც
და გამწარებულს აღმოხდა კენესა,
აღმოხდა ოხვრა თუ სამღურავი: —
„ოჰ, გულბოროტო კაბიბონოკავ,
შენ შეაცდინე ჩემი ქალწული,
შენი ზღაპრებით და ქარბუქებით
მოხიბლე ჩემი ნაზი ქალწული
და გაიტაცე თეთრი ბოცვერის
და ცივი ქარის სამფლობელოში.“

დიღხანს მოთქვამდა ასე, საბრალო,
დიღხანს მოთქვამდა და პრერიაზე
დაბარბაცებდა, მხურვალე ვნებით
გაბრუებული და დაბნეული.
ვიდრე ჰაერი მთლად არ გაივსო
ბაბუაწვერას თეთრი ფიფქებით
და ამის მერე შაუონდასის
ალარ უნახავს ნაზი ქალწული.
თუმცა, საბრალოს ნაზი ქალწული

ეჩვენებოდა მხოლოდ და მხოლოდ,
და მოჩვენებით თვალახვეული
ბაბუაწვერას უცქერდა იგი.
ვიდრე უმწეო ბაბუაწვერა
მტვრად არ აქცია ბოლოს თვითონვე
თავის მხურვალე და მძლავრი სუნთქვით.

ასე გაიყვეს ძმებმა ქარები:
უაბენს შეხვდა აღმოსავლეთის,
შაუონდასის შეხვდა სამხრეთის,
კაბიბონოკას კი — ჩრდილოეთის.
ხოლო მათ მამას და ქართა მამას
თავისთვის დარჩა კაბეიენი,
კაბეიენი — დასავლის ქარი.





ქაიხვათას ბავშვობა



ხლა არავის არ ახსოვს, ალბათ, რადგან არავინ აღარ იგონებს, აღარ იხსენებს იმ წყნარ საღამოს, როდესაც მოწყდა ცას ნაკომისი, როდესაც მოწყდა ცას ნაკომისი და ჩამოვარდა მინდვრის ბოლოში, აცახცახებულ ყვავილებს შორის.

ის ნებივრობდა ცაში ტოლებთან და ირწეოდა თვალმილულული ვაზის შეფოთლილ საქანელაზე,

თვალმილულული და ბედნიერი.
მაგრამ ნაკომისს მოქიშპეც ჰყავდა,
დაბრმავებული ზიზლით და შურით,
და როცა იგი ნებივრად იწვა
ვაზის შეფოთლილ საქანელაზე,
მას გადაუჭრეს ვაზის ტოტები
და ჩამოვარდა მინდვრის ბოლოში,
აცახცახებულ ყვავილებს შორის,
შეშინებული და დაბნეული.
„შეხედეთ! ზეცას მოსწყდა ვარსკვლავი!“ —
ასე ამბობდა სოფელში ხალხი.

და ნაკომისმა შვა ქალიშვილი
ხავსის საწოლზე და სოსნებს შორის,
გვიმრის ბუჩქებში და მთვარის შუქზე
შვა ნაკომისმა იუნონაპი.
და იზრდებოდა იუნონაპი
უბრალოდ, როგორც მინდვრის სოსანი,
მაღალი, ნაზი, და ვარსკვლავების
ცახცახა შუქით გარემოცული.
და ფრთხილი, როგორც ყველა მშობელი,
თავს ევლებოდა მას ნაკომისი:
„ო, მოერიდე მაჯეკიუისს,
არ დაენახო მაჯეკიუისს,
არ მოუსმინო მის მაცთურ ჩურჩულს
და ნუ დაწვები ყვავილებს შორის,
ო, მოერიდე მაჯეკიუისს!“

მაგრამ ლამაზი იუნონაპი
სიყვარულისთვის ცხოვრობდა მხოლოდ
და არ ესმოდა მშობლის სიტყვები,
სიტყვები, საესე სიბრძნით და შიშით.
და აი, ერთხელ გამოჩნდა კიდევ,
მინდვრებს მოედო კაბეიენი
და აათრთოლა გვიმრის ბუჩქები,
მწვანე ფოთლები და ყვავილები.
და ათრთოლებულ ყვავილებს შორის
იხილა ნაზი იუნონაპი,
იხილა ნაზი იუნონაპი
და გააბრუა ტკბილი ჩურჩულით.
და ეალერსა, სანამ ამქვეყნად,
სანამ ამქვეყნად არ გაჩნდა ვაჟი,
ვაჟი, წუხილის და სიყვარულის.

და ასე გაჩნდა ჰაიავათა,
ჩვენი მწუხარე პოემის გმირი.
ასე მოვიდა ამ ქვეყანაზე,
მაგრამ უგულო მაჯეკიუისს
სხვა ჰქონდა საქმეც და საზრუნავიც.
და მოკვდა ნაზი იუნონაპი,
მიტოვებული და შეცდენილი.

მიწას ახლიდა თავს ნაკომისი,
ზეცას სწვდებოდა მისი ტირილი:
„უაპონომინ, უაპონომინ!
მე უნდა ვიწვე ცივ სამარეში,

მე უნდა ვიწვე და არა იგი,
მე უნდა ვიწვე ცივ სამარეში!“

გიტჩი-გიუმის გაშლილ ნაპირზე
პატარა ქოხი ედგა ნაკომისს
და იმ პატარა ქოხში ცხოვრობდა,
მარტო ცხოვრობდა მთვარის ასული.
და ქოხის უკან იდგა ფიჭვნარი,
გარინდებული და დაღვრემილი,
ხოლო ქოხის წინ ელავდა წყალი,
მზეზე ელავდა გიტჩი-გიუმი.

უკვე მოხუცი და მოტეხილი
შვილიშვილს ზრდიდა მთვარის ასული,
ურწევდა აკვანს და ლულუნებდა
პატარა ქოხში ცაცხვის აკვანი.
და ჩრდილოეთის ირმის თასმეებით
გაკავებული იწვა ყმაწვილი,
ქვეშ კი ეფინა ხმელი ლერწამი,
ჭრელი ფოთოლი და ლურჯი ხავსი.
და უმღეროდა ყრმას ნაკომისი:
„გაჩუმდი, თორემ წაგიყვანს დათვი,
მთებში წაგიყვანს ბოროტი დათვი.
ეუა-ია, პატარა კოტო,
ვინ გაანათა ნეტავი ქოხი,
ეუა-ია, დიდი თვალეებით
ვინ გაანათა ქოხი, ნეტავი?“

ასე მღეროდა მთვარის ასული,
ასე ართობდა ყრმას ნაკომისი
და ასწავლიდა, რატომ ბრწყინავდა,
როგორ ბრწყინავდა ვარსკვლავი ღამით,
როგორ ეკიდა ცეცხლი იშკუდას,
როგორ ეწვოდა გრძელი ნაწნავი,
როგორ ცეკვავდნენ სიკვდილის ცეკვას
ცაში სულები და აჩრდილები
და უჩვენებდა ცაზე გავლებულ
სულებისა და აჩრდილთა ბილიკს.

ზაფხულის თბილი საღამოობით
ქოხის წინ იჯდა ხოლმე ყმაწვილი
და ყურს უგდებდა ფიჭვების შრიალს,
და ბრუვდებოდა ტალღის ხმაურით.
და ირეოდნენ ირგვლივ სიტყვები —
გაურკვეველი და უცნაური, —
ჯერ არ ესმოდა ტალღების ენა,
ჯერ არ ესმოდა ენა ფიჭვების.
მხოლოდ უცქერდა და აოცებდა
ციცინათელას მბჟუტავი ცეცხლი,
გაელვებული საღამოს ბინდში,
ჩათვლემილ ხეებს და ბუჩქებს შორის.
მაშინ სიმღერას იწყებდა ისიც,
ბავშვურ სიმღერას მღეროდა იგი,
იმ ტკბილ სიმღერას, რომლითაც ადრე
აკვანს ურწევდა მთვარის ასული.

„ჩემო პატარა ციციანთელავ,
ჩემო მფრინავო და მოცეკვავევ,
მე მომინათე შენი სანთელი,
შენი სანთელი, მკრთალი და სუსტი.
მე მომინათე, ვიდრე დავწვები,
ვიდრე მეწვევა, პატარავ, ძილი.“

ქოხის წინ იჯდა და უყურებდა
განაბულ წყლიდან ამოსულ მთვარეს,
სუნთქვაშეკრული უცქერდა მთვარეს
და აოცებდა მთვარეზე ჩრდილი.
და ჩურჩულებდა: „ჩემო ნაკომის,
საიდან გაჩნდა მთვარეზე ჩრდილი?“
და პასუხობდა მთვარის ასულიც,
ყველაფრის მცოდნე და საყვარელი:
„დიდი ხნის წინათ, ჩემო პატარავ,
ვიდაც მეომარს მოსვლია გული
და სიბრაზისგან დაბრმავებულმა
თურმე ბებიას დასტაცა ხელი,
დასტაცა ხელი საწყალ ბებიას
და თურმე მთვარეს ესროლა იგი
და ჩრდილი, შენ რომ უყურებ ახლა,
ის სხეულია საბრალო ბებრის.“

ხოლო როდესაც ნაწვიმარ ცაზე
იენტებოდნენ ცისარტყელები,
მთვარის ასულთან გარბოდა ისევ

და ჩურჩულებდა: „ჩემო ნაკომის,
შეხედე, რალაც ანთია ცაზე.“
და პასუხობდა მას ნაკომისი,
ყველაფრის მცოდნე და საყვარელი:
„შენ ახლა უცქერ მინდვრის ყვავილებს,
შენი პრერიის ლამაზ ყვავილებს,
როცა ისინი ჭკნებიან ჩვენთან,
მერე ხელახლა ყვავიან ცაში.“

და როცა ღამით, დაბურულ ტყეში,
გადასძახოდნენ ბუებს ბუები,
თვალეbs ახელდა შეშინებული
და ჩურჩულებდა: „ჩემო ნაკომის,
ჩემო ძვირფასო, ვინ ყვირის ტყეში?“
და პასუხობდა მას ნაკომისი,
ყველაფრის მცოდნე და საყვარელი:
„ეს ბუებია, ჩემო პატარავ,
მხოლოდ ბუები, რომლებიც ღამით
ვერ იძინებენ და საუბრობენ,
ვერ იძინებენ ღამით ბუები.“

ასე ისწავლა ჩიტებისგანა,
ისწავლა ყველა ჩიტის სახელი,
ისწავლა: როდის, სად და სადამდე.
ცხოვრობდნენ მისი პატარა დები.
და მოწყენილი უცქერდა ხეებს,

როდესაც ტყეში იდგა ზამთარი.
მერე ცხოველთა ენაც ისწავლა.
ისწავლა მათი ზნე და ადათი,
იცოდა, რაზე ფიქრობდა დათვი,
იცოდა, რაზე წუხდა ბიზონი,
სად იკეთებდნენ ბინას თახვები,
ან სად მალავდნენ რკოს თრითინები,
ან ჩრდილოეთის ლალი ირმები
რატომ დარბოდნენ ყველაზე სწრაფად,
ანდა რად იყო ასე მშიშარა,
რად იყო ასე მხდალი კურდღელი...
და უღიმოდა ერთგულ ძმასავით,
როცა ცხოველებს ხვდებოდა ტყეში.

მერე იაგუმ, დიდმა ტრაბახამ,
ტკბილმა მეზღაპრემ და მოსაუბრემ
და ნაკომისის ძველმა ძმობილმა
იფნის ტოტისგან გამოჰკრა მშვილდი,
იფნის ტოტისგან გამოჰკრა მშვილდი
და გამოთალა მუხის ისრები
და გახარებულ ყრმას უსახსოვრა
მუხის ისრები და იფნის მშვილდი.

და უთხრა ასე: „ჩემო პატარავ,
აილე მშვილდი და წადი ტყეში,
წადი, მონახე წითელი ჯოგი,
წითელი ჯოგი ლალი ირმების

და თუკი გერჩის გული და ღონე,
ერთი ქორბუდა მოჰკალი ჩვენთვის.“

ისიც ამაყად წავიდა ტყისკენ,
მხარზე ამაყად გადიგლო მშვილდი.
„ჩვენ არ გვესროლო, ლამაზო ძმაო,“ —
ასე მღეროდნენ ტყეში ჩიტები,
ასე მღეროდა ტყეში ოპიჩი,
ბულბული, შაშვი და მოლალური.

„ჩვენ არ გვესროლო, ლამაზო ძმაო,“ —
მუნაზე მშვიდად ისხდნენ ციყვები,
აქიციებდნენ გაფოფრილ კუდებს
და იცინოდნენ უდარდელები.
„ჩვენ არ გვესროლო, ლამაზო ძმაო,“ —
აჲე მღეროდნენ ცელქი ციყვები.

განზე გადახტა მხდალი კურდღელიც,
მალლა ალაპყრო თეთრი თათები
და შიშნარევი ხმით დაიკნავლა:
„მე არ მესროლო, ლამაზო ძმაო.“ —
ასე ხუმრობდა მხდალი კურდღელიც.

ის კი ირმეებზე ფიქრობდა მხოლოდ,
მხოლოდ ირმეებზე და ყოველ წამით
ეჩვენებოდა წითელი ჯოგი,
ეჩვენებოდა მდინარის ფონი,
სადაც ანკარა წყლის დასაღევად
გამოდრიოდნენ ტყიდან ირმეები.


ბოლოს ჩასაფრდა მაღალ ბუჩქებში
და ტყეს მიაპყრო სმენა და თვალი
და როცა ტყიდან გამოჩნდა რქები
და ნესტოები სანატრელ ირმის,
ათრთოლდა მისი ამაყი გულიც,
ათრთოლდა, როგორც ვერხვის ფოთოლი.

ოდნავ შეირხა პატარა ტოტი,
როდესაც მშვილდის უხეში ლარი
მოზიდა ფრთხილად და მთელი ძალით,
მაგრამ ფხიზელმა ირემმა მაინც
იგრძნო ხიფათი და აღსასრული.
ფეხაწეული შედგა ირემი,
ქარს მიუშვირა ცახცახა ცხვირი
და სწორედ მაშინ ბასრმა ისარმაც
გაიზუზუნა კრაზნასავით,
უკბინა ირემს და ხარირემი
მდინარის პირას დაეცა მკედარი.

დადუმდა ირმის ფხიზელი გული,
სამარადისოდ დადუმდა იგი,
სამაგიეროდ და მთელი ძალით
ამღერდა გული ჰაიავათასი
გამარჯვებული და ბედნიერი.
მან ხარირემი შეიგდო მხრებზე:
და შეეგებნენ კართან ყიჟინით
ბრძენი იაგუ და ნაკომისი.

და ნაკომისმა ირმის ტყავისგან
გმირს შეუქერა წამოსასხამი,
მერე გამართა დიდი ნადიმი
და მოიწვია მთელი სოფელი
და მთელი ღამე ღრეობდა ხალხი,
აღტაცებული პატარა გმირით,
მას ეძახოდნენ სოუნჯიტაპას
და ეძახოდნენ მანგო-ტეისის.





პაიავათა და მაჯეკიუისი

აფრინდნენ წლები და ჩვენი გმირიც
აივსო ღონით და სილამაზით.
ისიც დაკაცდა ბუნების ძალით
და გაიწაფა ყველა საქმეში.
და განსწავლული მოხუცთა სიბრძნით
პირველი იყო ნადირობაშიც,
პირველი იყო თევზაობაშიც,
თამაშობაშიც და გართობაშიც.

ყველას უკვირდა და უხაროდა
მისი სილაღე, შნო და უნარი.

ფეხმარდი იყო. როგორც ირემი,
გასროლილ ისარს ასწრებდა იგა.
როცა მეათე ისარს ტყორცნიდა,
ჯერ კიდევ ცაში იყო პირველი, --
ასეთი სწრაფი ხელები ჰქონდა,
ასეთი სწრაფი და ღონიერი.

მან შეიკერა ირმის ტყავისგან
მოკასინები და თათმანები.
იმ ჯადოსნური მოკასინებით
მთელი დღის საეალს გარბოდა წამში.
ხოლო თათმანებს როცა იცვამდა,
კლდეებს ამსხვრევდა ერთი შემოკვრით, --
ასეთი ჯადო ჰქონდათ თათმანებს,
ძალით ავსებდნენ მას თათმანები.

მან უკვე ბევრი რამე იცოდა
და მაინც სთხოვდა მოხუც ნაკომისს,
ეამბნა კიდევ გარდაცვლილ დედის
სილამაზეზე და სიყვარულზე.
ეამბნა მამის ვერაგობაზე,
სიჯიუტეზე და სიმკაცრეზე...
და საგულეში არ ეტეოდა
ნაღვერდალივით მხურვალე გული,
როცა უსმენდა მოხუც ნაკომისს,
შურისძიების სურვილით მთვრალი.

ბოლოს კი უთხრა მოხუც ნაკომისს:
„წავალ და ვნახავ მაჭეკიუისს,
მე მგონი, დროა, ჩემო ძვირფასო,
მოვიწინახლო სამეფო მამის.“

სწრაფად ჩაიცვა ირმის პერანგი,
მოკასინები და თათმანები,
ჩამოიკიდა ყელზე მძივები,
თვალისმომჭრელი და მედიდური.
და დაჭიმული ირმის თასმებით
მხარზე ამაყად გადიგდო მშვილდი,
იფნის ტოტისგან გათლილი მშვილდი
და მუხის ისრით სავსე კაპარჭი.

ვევდრებოდა მას ნაკომისი,
ვევდრებოდა შეშინებული:
„თავი ანებე მაჭეკიუისს,
არ გააბრაზო დასავლის ქარი,
არ გააბრაზო, თორემ დაგლუპავს
დაგჩაგრავს ღონით ან თვალთმაქცობით.“

მას კი მღელვარე ფიქრით შეპყრობილს,
დასავლეთისკენ ეჭირა თვალი
და ჯადოსნური მოკასინებით
მთელი დღის სავალს გარბოდა წამში.
ბუნებამ თალხი ჩაიცვა თითქოს,
უცებ დაკარგეს ტყეებმა ფერი

და ჩახუთული ჰაერიც მინდვრებს
ეტმასნებოდა მკერდზე ცეცხლივით.
ის კი მიქროდა დასავლეთისკენ
და საგულეში არ ეტეოდა
ნალვერდალივით მხურვალე გული.

ის მიდიოდა და მიდიოდა,
დასავლეთისკენ, დასავლეთისკენ.
უკან რჩებოდა სწრაფი ირმები,
ანტილოპები და ბიზონები.
გადაიარა პრერიის მთები,
გადაიარა ქვეყანა ყვავთა
და მელიათა ქვეყანაც, ვრცელი,
და გადასცურა ესკონაუბო,
ესკონაუბოც და მისისიპიც.
ბოლოს მიაღგა კლდოვან მწვერვალებს.
იქ, სადაც მისი მოხუცი მამა
და ზეცის ქართა ბატონ-პატრონი,
მწვერვალზე იჯდა ჩაფიქრებული.

და მამის ხილვამ ამაყი გმირიც
ალავსო შიშით და მოკრძალებით.
იწეწებოდა ქარი შრიალით
და ღრუბელივით წვებოდა ირგვლივ
მამის ჭადარა, თოვლივით თეთრი
და მოელვარე იშკუდასავით.
და სინარულით აღივსო მყისვე,

მყისვე განათდა მოხუცის გული,
რაკი იხილა სისხლი და ხორცი,
მისი წარსულის ტოლი და მსგავსი
და სილამაზე იუნონაჰის,
სამარადისოდ აღმსდგარი მკედრეთით.

და თქვა მოხუცმა: „კეთილი იყოს
შენი შემოსკლა ჩემს სამეფოში.
დიდხანს ველოდი შენს გამოჩენას
და გზისკენ დიდხანს მეჭირა თვალი.
ახალგაზრდობა სიხარულია,
ხოლო სიბერე ფიქრია მწარე.
ახალგაზრდობა მძლავრი ცეცხლია,
ხოლო სიბერე ცივი ყინული.
შენ დამიბრუნე განვლილი წლები,
ძველი ვნებები და სურვილები
და სილამაზე იუნონაჰის.“

ასე გაება საუბრის ძაფი
და მერე დიდხანს გაგრძელდა იგი.
არ დაავიწყდა მაჯეკიუისს
ძველი ამბებიც და გმირობებიც
და გუდას თავი მოხსნა ხალისით.
დიდხანს იქებდა უვნებელ სხეულს,
დიდხანს მოჰქონდა ბებერი თავი
გამბედაობით და სითამამით,
შორსმკვრეტელობით და ამტანობით.

დიდხანს უსმენდა ამაყი შვილიც,
უსმენდა დიდხანს და მოთმინებით,
ენად გაკრეფილ მოხუცის ტრაბახს,
დიდხანს უსმენდა გაღიმებული.
არც სიტყვა უთქვამს, არც გამოხედვით
არ გაუცია გულის ნადები,
ოღონდაც გული ხელით ეკავა,
აჩქარებული და აღზნებული.

ბოლოს კი უთხრა: „მაჯეკიუის,
თუ არის რამე შენი მომრევი,
თუ გეშინია ამქვეყნად რამის?“ —
არც უფიქრია მაჯეკიუისს
და უპასუხა: „ო, შვილო ჩემო,
არაფერია ჩემი მომრევი,
არაფერია, შავი კლდის გარდა,
მხოლოდ ეს შავი კლდე, უობიკი!“
მერე თვალები, მამობრივ გრძნობით
და მზრუნველობით სავსე თვალები
მიაპყრო შვილის მოხდენილ სხეულს
და მოიხიბლა შვილის სხეულით.
და უთხრა ასე: „ო, შვილო ჩემო,
თუ არის რამე შენი მომრევი,
თუ გეშინია ამ ქვეყნად რამის?“

ეშმაკი იყო ჰაიავათა
და დაუყოვნა მამას პასუხი,
თითქოს დაფიქრდა და შეყოყმანდა,

ვერ გამონახა თითქოს სათქმელი,
მერე კი უთხრა: „ო, დიდო მამავ,
არაფერია ჩემი მომრევი,
არაფერია, იმ ლერწმის გარდა,
მხოლოდ აპუკვა, დიდი ლერწამი!“
და როცა ადგა ქართა ბატონი
და გაიშვირა ლერწმისკენ ხელი,
ისიც წამოხტა შეშინებული
და დაიყვირა: „ო, კავო, კავო,
არ ახლო ხელი, არ ახლო ხელი,
არ მოამტვრიო ჩემი ლერწამი!“
და გახარებულ მაჭეკიუისს
ხელი გაწვდილი დარჩა ჰაერში.

და საუბარი გაგრძელდა ისევ,
მათ გაიხსენეს შაუონდასი,
კაბიბონოკა და უაბენი,
ჰაიავათას უფროსი ძმები.
მერე ლამაზი იუნონაპი,
თვალმშვენიერი და უბედური.
დიდხანს ყვებოდნენ მის გაჩენაზე
მინდვრის ბოლოში, ყვავილებს შორის.
დიდხანს ყვებოდნენ აღელვებულნი
და გაიხსენეს მისი სიკვდილიც.

მაშინ შესძახა ჰაიავათამ:
„ო, გულბოროტო მაჭეკიუის,

შენა ხარ მკვლელი იუნონაპის,
შენ გადათელე მინდვრის სოსანი,
შენი უხეში და მძიმე ტერფით.
შენ გაწევს ცოდვა იუნონაპის.“
და ქართა მამამ, დამწუხრებულმა,
ჩამოიშალა ჭადარა თმები,
ჩამოიშალა და დაბნეულმა
თანხმობის ნიშნად ჩაქინდრა თავი.

ცეცხლი აენტო გმირის თვალებში,
მერე წამოდგა და უობიკი
დააქუცმაცა ერთი შემოკვრით,
დააქუცმაცა და დააქცია
და დაუშინა შავი ლოდები
სინდისის ქენჯნით და შვილის რისხვით
გუნებაწამხდარ მაჭეკიუისს.
გული კი ისევ ცეცხლივით ენთო.
ცეცხლივით ენთო ამაყი გული.

მაგრამ დასავლის ქარის მმართველი
იგერიებდა შავი კლდის ლოდებს,
იგერიებდა სულის შებერვით
და ცოდვებს ყრიდა განრისხებული.
მერე მოგლიჯა დიდი ლერწამი,
ძირფესვიანად მოგლიჯა იგი,
დიღხანს იცინა ჰაიავათამ,
დიღხანს ისმოდა მისი სიცილი.

შემდეგ დაიწყო ნამდვილი ომი,
დაიწყო ნამდვილ მთათა ჭიდილი
და საბუდრიდან აფრინდა ზანტად
კენიუ, ომის დიდი არწივი.

~~და მედიდურად შემოჯდა კლდეზე,
და კლდეს შემოკრა ძლიერი ფრთები.~~

იზნიქებოდა დიდი ლერწამი,
როგორც მაღალი ხე ქარიშხალში
და იშლებოდა მძიმე ლოდებად
საბედისწერო კლდე უობიკი.
მიწა იწვოდა მებრძოლთა ფეხქვეშ,
ზეცას სწვდებოდა მათი ყვირილი.

უკან იხევდა ქარების მამა,
დასავლეთისკენ იხევდა იგი,
დასავლეთისკენ, დასავლეთისკენ,
დასავლეთისკენ იხევდა ბრძოლით.
მაგრამ ფეხდაფეხ მოსდევდა შვილიც,
შურისძიების სურვილით მთვრალი.
ბოლოს გამოჩნდა მზის დასავალი,
გამოჩნდა დიდი მზის საბუდარი,
სადაც სადამოს ეშვება ხოლმე
მზე, მოწყენილი და დაქანცული,
ეშვება ხოლმე ფლამინგოსავით.

მაშინ შესძახა ქარების მამამ:
„შეჩერდი, ჩემო თამამო შვილო,

არ შეიძლება უკვდავის მოკვლა,
არ შეიძლება ჩემი სიკვდილი.
მე მსურდა მხოლოდ, ჩემი ოინით
გამომეცადე გულადობაში,
გამომეცადე მამაცობაში,
გამეგო შენი შნო და უნარი.
ახლა კი წადი, გაბრუნდი უკან,
შენ გიციხის შენი სახლი და ხალხი,
შენ კი ხალხისთვის გიბოძა მხოლოდ
ღმერთმა: გონებაც, ღონეც და გულიც.
წადი, გაწმინდე ტყე და მიწაღორი,
გაასუფთავე მდინარეები,
მუსრი გაავლე ჭინკებს და ქაჯებს,
გაანადგურე ავი სულელები,
ამოუქოლე გველებს ხვრელები,
ძაღლებს მიუგდე ურჩხულის ლეში,
როგორც მე მოვსპე მრისხანე დათვი,
ხალხის მტარვალი და შემმუსვრელი.
და ბოლოს, როცა მოგეპარება,
როცა მოგნახავს სიკვდილის ჩრდილი
და სიბნელიდან შემოგანათებს
ცივი და მკაცრი თვალი პოგაკის,
წაგიყვან ჩემთან, სამეფოს ჩემსას
გაგიზიარებ და შენც გახდები
ჩრდილო-დასავლის ქარის მმართველი.“

ასე დამთავრდა მრისხანე ბრძოლა,
ღიღი ხნის წინათ, უხსოვარ დროში.

მაგრამ იმ ბრძოლის ნაშთი და კვალი
აქამდე დარჩა და მონადირე
შავი კლდის ლოდებს და ლერწმის ფესვებს
ახლაც ნახულობს ხოლმე შემთხვევით.

და გამობრუნდა შინისკენ გმირი,
გახარებული და კმაყოფილი.
ირგვლივ მღეროდნენ მშვიდი მინდვრები,
ცაც მშვიდი იყო და მოწმენდილი,
რადგან სიბრაზემ და გააფთრებამ
სამარადისოდ დატოვა იგი,
აღარ ბორგავდა მისი გონება,
აღარ ეწვოდა მხურვალე გული.

ის მხოლოდ ერთხელ შეჩერდა გზაში,
დეკოტაჰების ლამაზ მხარეში,
მოინახულა ისრის ოსტატი,
სახელგანთქმული და ხანდაზმული,
დეკოტაჰების ლამაზ მხარეში,
სადაც ამაყად დგანან მუხები
და მინეჰაჰას თეთრი ზვირთები
მიიჩქარიან თავქვე სიცილით.

დეკოტაჰების ლამაზ მხარეში
ისრის ოსტატი ცხოვრობდა ძველი,
ცხოვრობდა მშვიდად და ისრის წვერებს
ჰკვეთდა ბეჭითად და მონდომებით.
ქვიშაქვისაგან და კაჟისაგან

ჰკვეთდა ბეჯითად და მონდომებით,
მერე კიდევებს უპრიალებდა,
განთქმული იყო მისი ისარი.

თავის შავთვალა ასულთან ერთად
მშვიდად ცხოვრობდა ძველი ოსტატი.
მას ჰყავდა მხოლოდ ერთი ასული,
ლალი და მკვირცხლი, მდინარესავით.
მდინარესავით ეყარა მხრებზეც
ხშირი და რბილი და თბილი თმები
და ნათლებოდა მოხუცის გული
შვილის სილადით და სილამაზით,
და ამის გამო დაარქვა კიდევ
ლალი მდინარის ლალი სახელი.

და ნუთუ ჩენი ჰაიავათაც
ისრებისათვის შეყოვნდა მხოლოდ
და ნუთუ მხოლოდ ისრებს არჩევდა
დეკოტაჰების ლამაზ მხარეში,
სადაც ამაყად დგანან მუხები
და მინეჰაჰას თეთრი ზვირთები
მიისწრაფვიან თავქვე სიცილით.

იქნებ უნდოდა, რომ კვლავ ეხილა
ნაზი ასულის შავი თვალები,
ვით მინეჰაჰას უცქერენ ხოლმე
აციმციმებულს მუხის ტოტებში.

ან იქნებ სურდა, რომ მოესმინა
ნაზი ქალწულის კაბის შრიალი,
ვით მინეჰაჰას უსმენენ ხოლმე
აკისკისებულს ტყეების იქით.

მაგრამ ვინ იცის, რა ფიქრი ავსებს
ყმაწვილი კაცის გულს და გონებას...
და როცა ჩვენმა ამაყმა გმირმა
დაღამებისას შინ მიაღწია,
მან, ყველაფერი, რაც კი გადახდა,
მოხუც ნაკომისს უამბო წერილად.
ოღონდ ისრებზე ხმა არ დაუძრავს,
არ დასცდენია არც ერთი სიტყვა.





ჰანიავათას მარხულობა

ხლა გაიმბობთ, თუ ჩვენმა გმირმა,
როგორ ილოცა და იმარხულა,
არა იმიტომ, რომ ენადირა
ან ეთევზავა ყველაზე კარგად,
არც გამარჯვების და არც დიდების
და არც სიმდიდრის მოსაპოვებლად,
არამედ ხალხის საკეთილდღეოდ
და სასიკეთოდ დაეცა ლოცვად.

მან აიშენა პატარა ქოხი,
პატარა ქოხი, დიდი ზღვის პირას
და მთელი კვირა, იმ მყუდრო ქოხში,
მარტომ ილოცა და იმარხულა.

პირველ დღეს იგი ხეტიალობდა
გადაყრუებულ და უღრან ტყეში
და უყურებდა ქორბუდა ირმებს,
ილტაცებული ირმის ნახტომით.
ხიდან ესმოდა ციყვის ფაჩუნი,
ესმოდა ბენას დოლის ბუბუნი
და უყურებდა, როგორ აგებდა
ფიჭვებში ბუდეს მტრედი, ომიმი,
და ხელს უქნევდა გარეულ ბატებს
გადაჭიმულებს ცაზე ლარივით
და ჩურჩულებდა: „ო, შემოქმედო,
ნუთუ მათზეა დამყარებული
ჩვენი ცხოვრების არსი და ბედი.“

მარხვის მეორე დღეს მოწყენილი
ხეტიალობდა მდინარის პირას,
მზით გაბრუებულ მდინარის პირას,
მზით განათებულ მდინარის პირას.
მასკედეიზე, მწვანე მდელოზე
უცქერდა ბრინჯის გარინდულ ყანას,
უცქერდა მოცვის მობუზულ ბუჩქებს,
და თხმელის ხეზე გაკიდულ ვენახს.
თან ჩურჩულებდა: „ო, შემოქმედო,
ნუთუ მათზეა დამყარებული
ჩვენი ცხოვრების არსი და ბედი.“

მესამე დღეს კი ტბის პირას იჯდა,
ჩაფიქრებული და მოწყენილი
და უყურებდა, თამამი თართი
როგორ ისროდა ბრჭყვიალა შხეფებს.
დიდხანს უცქერდა ლამაზ ქორჭილას.
და მასკენოზას, ქარიყლაპიას,
უცქერდა ქაშაყს, ოკაპაუისს
და კიბორჩხალას, შავსა და უძრავს.
თან ჩურჩულებდა: „ო, შემოქმედო,
ნუთუ მათზეა დამყარებული
ჩვენი ცხოვრების არსი და ბედი.“

მარხვის მეოთხე დღეს ქოხში დარჩა,
ფოთლების ტახტზე იწვა გულადმა,
ფოთლებისა და რტოების ტახტზე
იწვა, ფიქრობდა და უყურებდა
მუქი ჩრდილებით და აჩრდილებით
თუ მირაჟებით გავსებულ სივრცეს
და ათრთოლებულ მდინარის ზვირთებს,
გაბრწყინებულებს ტყეების მიღმა.
უცებ შენიშნა: უცხო ყმაწვილი,
ტანშემოსილი მწვანედ და ყვითლად
და ქრელი ფრთებით თავშემკობილი,
როგორ შეჩერდა ქოხის კარებთან.

ქოხის კარებთან შეჩერდა უცხო,
ოქროსთმიანი და იღუმალი,

და მიაჩერდა ტახტზე მწოლარეს,
და თავის დაკვირვით სალამი უთხრა.
კეთილი შუქით და თანაგრძნობით
სავსე თვალეები მიაპყრო მშვიდად
და მერე, როცა ხმა ამოიღო,
გარინდულ ხეთა კენწეროებში
თითქოს სამხრეთის ქარი აკვნესდა.

და თქვა ყმაწვილმა: „ო, მეგობარო,
ღმერთმა მიიღო შენი ლოცვები,
ღმერთმა მიიღო და შეისმინა
და შეიწყნარა შენი ლოცვები.
რადგან აქამდე, მხოლოდ და მხოლოდ,
ხალხის გულისთვის იდექი ლოცვად.
არც გამარჯვების და არც დიდების
და არც სიმდიდრის მოსაპოვებლად
და არც იმიტომ, რომ გენადირა
ან გეთევზავა ყველაზე კარგად.

მე, მონდამინი, ღმერთის რჩეული
და მეგობარი აღამიანთა,
ღმერთის ბრძანებით მოვედი შენთან,
ღმერთის სურვილის გადმოსაცემად.
მოვედი შენთან, შენი ოცნების
და იმედების განსამტკიცებლად.
ახლა კი ადექ და დამეჭიდე,
რომ დაგიბრუნდეს ჯანი და ძალა.“

შიმშილისაგან დასუსტებული
ძლივს აითრია გმირმა სხეული,
ძლივს აითრია და ბნელ ქოხიდან
ძლივს გამოვიდა დაისის შუქზე.
და როგორც უთხრა მას მონღამინმა,
მივიდა მასთან და დაეჭიდა
და ყმაწვილს ხელი ახლო თუ არა,
გამბედაობა კვლავ დაუბრუნდა.
კვლავ დაუბრუნდა ბრძოლის უნარი
და სითამამე გულს და გონებას.
და უცებ იგრძნო, სისხლით და ღონით
ძარღვები როგორ გაევისო ისევ,
როგორ გაევისო და გაუმაგრდა.

დიდხანს გაგრძელდა მათი ჭიდილი
დაისის შუქზე და სიჩუმეში,
და ჩვენი გმირიც უფრო და უფრო
ძლიერდებოდა და მაგრდებოდა,
ძლიერდებოდა და მაგრდებოდა,
რაც უფრო დიდხანს იბრძოდა იგი,
რაც უფრო დიდხანს იბრძოდა იგი,
მით უფრო დიდხანს შეეძლო ბრძოლა.
ბოლოს წყვედიადი ჩამოწვა ირგვლივ
და ქაობიდან შუპ-შუპ-გაიმაც
თავის მწუხარე ხმით დაიყვირა.

„ახლა კი კმარა! — თქვა მონღამინმა
და გაუღიმა დაღლილ ფალავანს, —

ხვალ, მზის ჩასვლისას მე ისევ მოვალ,
შენი ძალ-ღონის გამოსაცდელად.“
და უცებ გაქრა, გაუჩინარდა,
თვალს და ხელს შუა გაუჩინარდა;
ასე უჩუმრად მალღდება ბინდი,
ასე უჩუმრად ეშვება წვიმა.
და დაინახა ჰაიავათამ,
რომ ცაზე უკვე ენთო ვარსკვლავი,
ქვემოთ კი ღიღი ტბა ციმციმებდა.

მეორე დღესაც, როცა მნათობმა
ცა მოიარა და მწუხრის ბინდში
გავარვარებულ ნაღვერდალივით
დასალიერის წყლებს მიაშურა,
ისევ მოადგა ქოხს მონდამინი,
მოადგა ჩუმად და შეუმჩნევლად,
ასე უჩუმრად და შეუმჩნევლად
ციდან მიწაზე ცვარი ეშვება
და იღებს თავის უბრალო სახეს,
როგორც კი მიწის პირს შეეხება.
მაგრამ ვერასდროს ვერ ამჩნევს კაცი,
ცვარი მიწაზე როდის ეშვება
ან როდის მიდის იგი მიწიდან.

დიდხანს გაგრძელდა მათი ჭიდილი
დაისის შუქზე და სიჩუმეში.
ბოლოს წყვდიადი ჩამოწვა ირგვლივ,

ზეცაც წყვდიადში გაუჩინარდა
და ჭაობიდან შუპ-შუპ-გაიმაც
თავის მწუხარე ხმით დაიყვირა.
და მონდამინი შეჩერდა უცებ
ფრთებით შემკული თავი დახარა.
ხოლო მის შუბლზე და დაღლილ მკერდზე
ოფლი ათრთოლდა და აბრჭყვიალდა.
ბნელში ელავდა მისი სამოსი
და ირხეოდნენ ფერადი ფრთები,
აყოლილები პატრონის სუნთქვას.

ბოლოს შესძახა: „ო, მეგობარო,
დღეს ღონიერი იყავი ბევრად,
დღეს ძნელი იყო შენთან ჭიდილი
და შემოქმედიც, აუცილებლად,
შენ მოგანიჭებს გამარჯვებასაც!“

მერე დასძინა: „ხვალ ბოლო დღეა,
ჩვენი ჭიდილი ხვალ დამთავრდება
და მოამზადე მყუდრო სამარე
ჩემი სხეულის მოსასვენებლად.
ოღონდ ჩემამდეც აღწევდეს წვიმა
და მზის სხივებიც, მარად და მარად,
გამიფხვიერე სამარის მიწა
და დამაყარე, უსულოს, ფრთხილად,
რომ სამუდამო თავშესაფარში
გულზე მეყაროს მსუბუქი მიწა.“

და სანამ თვითონ არ გავიღვიძებ,
ძილს ნუ დამიფრთხობს ნურავის ხელი,
არ შემაწუხოს სამარის ჳიამ
და არც მრისხანე მეფემ ყორანთა.
მხოლოდ შენ მოდი ჩემს სამარესთან,
მხოლოდ შენ მოდი ჩემს მოსავლელად,
ვიდრე მე თვითონ არ გავიღვიძებ
და არ აღვსდგები მზის შესახვედრად.“

თქვა და წავიდა, მაშინვე გაქრა,
გაქრა მაშინვე და შეუმჩნეველად,
და ბრძოლით დაღლილ ჰაიავათას
იმ ღამეს ქოხში მშვიდად ეძინა.
ეძინა, მაგრამ ესმოდა ძილში
ქოხზე შემომჭდარ ფრინველის მოთქმა,
ისიც ესმოდა, რომ სებოუშა
ეუბნებოდა ხეებს რაღაცას.
ესმოდა დაღლილ ხეთა ჳკრიალიც,
ფოთლის ჩურჩულიც და ტოტის კვნესაც,
ესმოდა, მაგრამ ფოთლების ტახტზე
მშვიდად ეძინა, მშვიდად და დიდხანს.

დილით ეახლა მას ნაკომისი
და მოუტანა თბილი სადილი
და შეევედრა შვიდი ღლის უჭმელს,
გადაეცდინა როგორმე ლუკმა,

რათა ამდენი ლოცვა და მარხვა
თავშისაცემი არ გახდომოდა.

მაგრამ მან ხელიც არ ახლო საჭმელს
და უთხრა ასე: „ჩემო ნაკომის,
დაღამებამდე უნდა მაცალო,
ვიდრე წყვდიადი არ გამეფდება
და შუქ-შუქ-გაიც ჭაობებიდან
კვლავ არ გვაუწყებს დღის დამთავრებას.“

და ნაკომისიც გაბრუნდა უკან,
ატირებული გაბრუნდა უკან.
გმირი კი ქოხში უჩუმრად იჯდა,
უჩუმრად იჯდა და მოთმინებით
ლამაზ მონღამინს ელოდებოდა.
ვიდრე მინდვრებზე და ჭაობებზე
ჩრდილებს კისრები არ დაუგრძელდათ,
ვიდრე არ მოწყდა ზეცას მნათობი,
ვიდრე არ მოწყდა და არ გაცურდა;
ვით შემოდგომის ჭრელი ფოთოლი,
მღუმარე წყალზე რომ გაცურდება.

და მონღამინიც მოადგა კარებს,
შეჩერდა ზღურბლთან და თავის დაკვირით
ტახტზე მწოლარეს სალამი უთხრა.
და ჩვენი გმირიც, მთვარეულივით
გაფითრებული და უშიშარი,
გრძნეულ მონღამინს კვლავ დაეჭიდა.

კვლავ აბარბაცდა მის ფეხქვეშ მიწა,
ვრცელი მინდორი კვლავ დაბზრიალდა
და ყველაფერი განათდა ირგვლივ,
თითქოს ათასი მზე ამოვიდა,
თითქოს ერთბაშად და ერთდროულად
ათი ათასი მზე ამოვიდა.

ის კი იბრძოდა და მისი გული,
როგორც ბადეში გაბმული თართი,
ხტოდა, ბორგავდა და ცახცახებდა.

უეცრად მარტო აღმოჩნდა იგი,
მარტო აღმოჩნდა შუა მინდორში,
დაისის მწუხარში და სიჩუმეში
მარტო აღმოჩნდა მოულოდნელად.
ხოლო ყმაწვილი, თმაგაწეწილი,
გაფითრებული და დაწრეტილი
და მწვანე სამოსშემოხეული,
უსულოდ იწვა გმირის ფეხებთან.
და დაქანცულმა ჰაიავათამ
მყუდრო სამარე იქვე გათხარა
და სამარეში ჩაუშვა გვამი,
როგორც უბრძანა მას მონღამინმა.
გვამს მოაშორა მწვანე სამოსი —
და სამარეში ჩაუშვა ფრთხილად.
ამასობაში დაღამდა კიდევ
და ჭაობიდან შუჰ-შუჰ-გაიმაც
თავის მწუხარე ხმით დაიყვირა.

გამოტრიალდა შინისკენ გმირი,
რაკი ილოცა და იმარხულა,
რაკი გაუძლო და პატიოსნად
ყველა წესი და რიგი დაიცვა.
მაგრამ იმ ადგილს ვერ ივიწყებდა,
სადაც მონდამინს ეჭიდებოდა,
სადაც დამარხა მან მონდამინი,
სადაც სამარე გაუფხვიერა.
ვერ ივიწყებდა და ყოველ დილას
ასუფთავებდა სამარის მიწას,
თან კი უქშევდა ყორანთა მეფეს,
ბელტებს ესროდა და უკიოდა.

ვიდრე სამარის მწუხარე ბორცვზე
მწვანე მცენარე არ ამოვიდა,
რომელიც ცისკენ წავიდა წამსვე
და გაზატხულზე სიმინდად იქცა.
ააშრილა ყვითელი თმები,
ყვითელი თმები და მწვანე კაბა
და მოხიბლულმა ჰაიავათამ
წამოიყვირა უცებ ხმამაღლა:

„შეხედეთ, ეს ხომ მონდამინია,
თვალმშვენიერი და საამური
და მეგობარი ადამიანთა.“

მერე მოუხმო მოხუც ნაკომისს
და იაგუსაც, ორივეს ერთად.

და დანახვა ნაზი სიმინდი
და ყველაფერი უამბო წვრილად.
უამბო, როგორ ეჭიდებოდა
იგი მონდამინს ყოველ სადამოს,
ვიდრე არ სძლია და ღმერთისაგან
ეს დიდი ჯილდო არ მოიპოვა.

მერე კი, გვიან შემოდგომაზე,
როცა სიმინდის მწვანე ფოთლები
სულმთლად გაყვითლდა და ნედლი ტაროც
სულმთლად გაყვითლდა და ვამბუმივით
გახმა, გამაგრდა და აბრჭყვიალდა,
მან ტაროები მოტეხა სიმინდს
და მოაშორა ხმელი ფუჩიჩი,
ვით მონდამინის დაწრეტილ სხეულს —
მწვანე სამოსი, დიდი ხნის წინათ.
და მონდამინის მოსახსენებლად
დიდი ნადიმი გადაიხადა,
გადაიხადა და ხალხს აგემა
ჯილდო, რომელიც უბოძა ღმერთმა.





ჰაიავათას მემორაუბი



ველაზე მეტად ჰაიავათას
ორი ძმობილი უყვარდა მაინც:
ჩიბიაბოსი, ტკბილი მგოსანი,
და კუასინდი, მძლეველი მძლევა.
ისინი იყვნენ მისი წუხილის
თუ სიხარულის მოზიარენი
და გამტანებიც, ყველაზე მეტად.

არ მოსდებია მტვერი და ხავსი
ძმობილთა შორის გაკვალულ ბილიკს
და ჭორიკანა ჩიტებიც ხეზე
ამაოდ ისხდნენ ყურდაცქვეტილნი:

ერთგული იყო ყველა ძმობილი
და სუფთა იყო წყაროს წყალივით,
რადგან ერთმანეთს არ უმაღავდნენ
თუკი რაიმე ჰქონდათ სათქმელი.
და თუ როდისმე დავობდნენ კიდევც,
მხოლოდ და მხოლოდ ხალხის გულისთვის,
რომ ყოფილიყო ადამიანი
უფრო თამამი და ბედნიერი.

გულს უხარებდა ჰაიავათას
ბავშვივით ლალი ჩიბიაბოსი.
მოქნილი, როგორც ტირიფის ტოტი
და ტანწერწეტა, როგორც ირემი.
უპირველესი მგოსანთა შორის,
უმამაცესი მამაცთა შორის,
მაგრამ ქალურად მოკრძალებული.

ფეხზე დგებოდა მთელი სოფელი,
როცა მღეროდა ჩიბიაბოსი,
მის მოსასმენად და საყურებლად
მოიჩქაროდა მთელი სოფელი
და გარინდებულ მსმენელის სული
ხან ივსებოდა მძაფრი ვნებებით,
ხან კი ცრემლებით და მწუხარებით.

ინაბებოდნენ ნაკადულებიც,
ნაკადულებიც და ტყის ჩიტებიც,

როცა მღეროდა ჩიზი. ბოსი,
როცა მღეროდა ჩიბიაბოსი.
და ცელქი ციყვიც, აჯიდაუმო,
უჩუმრად იჯდა ბნელ ფულუროში
და ბუჩქებიდან თეთრი კურღლეულიც
იციქირებოდა ყურდაცქვეტილი.

ის კი მღეროდა და სებუოშა
ევედრებოდა ათრთოლებული:
„ო, ჩიბიაბოს, ტკბილო მგოსანო,
უპირველესო მგოსანთა შორის,
მასწავლე, როგორ უნდა ვიმღერო
ასე უბრალოდ და ასე ტკბილად.“

და ლურჯი ჩიტიც, ლურჯი ყაპყაპიც
ევედრებოდა ლამაზ მომღერალს:
„ო, ჩიბიაბოს, მეც მსურს ვიმღერო
ასე თამამად და ვნებიანად.“

და მხიარული ოპიჩიც ასე
ევედრებოდა გულკეთილ მგოსანს:
„ო, ჩიბიაბოს, მასწავლე მალე
ნაზი სიზმრებით და ოცნებებით
და სიხარულით საეწე სიმღერა.“
ასევე სთხოვდა ბოლოკარკაზიც,
ასევე სთხოვდა და ქვითინებდა:
„მასწავლე, როგორ უნდა ვიმღერო
ასე მწუხარედ და სევდიანად.“

ასეთი ძალა ჰქონდა სიმღერას,
უცებ იპყრობდა მსმენელთა გულებს,
რადგან მღეროდა იგი ძმობაზე,
ერთგულებაზე და მშვიდობაზე,
რადგან მღეროდა იგი სიკვდილზე,
სილამაზეზე და სიყვარულზე.
ის აღიდებდა თავისუფლებას,
თანასწორობას და უკვდავებას.

ჰაიავათას ყველაზე მეტად
უყვარდა ნაზი ჩიბიაბოსი
ის მოხიბლული იყო მეგობრის
კეთილი გულით და მოკრძალებით.
ხოლო სიმღერა ძალით ავსებდა
ათამამებდა და ახარებდა.

მას კუასინდიც უყვარდა ძლიერ,
უძლიერესი მოკვდავთა შორის
ძლიერ უყვარდა და უხაროდა,
რომ კუასინდი ჯანსა და ღონეს
სიკეთისათვის ხარჯავდა მხოლოდ.
თუმცა მის ძმობილს, ზანტსა და ზარმაცს,
არაფრის დარდი არ აწუხებდა,
უქმად ჯდომასა და ოცნებაში
გაფრინდა მისი მშვიდი ბავშვობაც.
ის არც ტოლებთან არ თამაშობდა,
არც სათევზაოდ არ დადიოდა,

არც სანადიროდ არ დადიოდა,
მაგრამ ყოველთვის ბევრს მარხულობდა
და თავის მფარველ სულის წინაშე
ბევრს ლოცულობდა ათრთოლებული.

ერთხელ, ფიქრებში გართულ კუასინდს
თავზე დაადგა მოხუცი დედა
და ასე უთხრა: „ხომ ხედავ, შვილო,
რომ აღარ მყოფნის გული და ძალა.
შენ კი, უქნარა და უდარდელი,
მთელი ზაფხული დაქროდი ველად,
ახლა კი ფიქრებს გადაყოლილი
ბერიკაცივით ზიხარ კერასთან.
მე კი ვალამებ თოვლში და ქარში
და ვწვალობ, რამე თუ მოგაკლდება.
ადექი, ბადეს მაინც მიხედე,
ხომ შეგიძლია ბადის გაშრობა.“

და კუასინდი წამოდგა ნელა,
გათეთრებული ნაცრით და ფერფლით,
დაბუყებული კერასთან ჯდომით
ძლივს გამოვიდა გამთბარ ქოხიდან.
მერე უსიტყვოდ ჩამოხსნა ბადე,
რომელიც ქოხის კართან ეკიდა,
უქმად ეკიდა და ზამთრის ქარში
აჩხრიალებდა ლოლუებს ზანტად.
მან კი გაწურა ჩხრიალა ბადე,

მაგრად გაწურა და გადაფხრიწა,
რადგან ძლიერი იყო ძალიან
და არ შეეძლო ძალის მოზომვა.

ერთხელ კი, ფიქრში გართულ კუასინდს
მამა დაადგა თავზე უეცრად
და უთხრა: „ჩემო ზარმაცო შვილო,
რა უქმად აცდენ დროსა და ძალას.
არ გამოდგები შენ მონადირედ,
ხელში წყნელივით ჩაიმტვრევ ისარს
და ტყეში ისე მაინც წამყევი,
ნანადირევის გადმოსაზიდად.“

ისინი გაყვნენ ვიწრო ხეობას,
ახმაურებულს ნაკადულებით,
თავბრუდახვეულს ბიზონის სუნით
და სავსეს ირმის ახალი კვალით.
მაგრამ ვეება ხეების გროვამ
მამა-შვილს უცებ გზა ჩაუკეტა.
მთლად ამოევსო ვიწრო ხეობა
ნაძვებს, მოგლეჯილს ძირფესვიანად.

„რას იზამ, უნდა დავბრუნდეთ უკან, —
თქვა მამამ, როცა ნაძვებს შეხედა.
აქ თრითინებიც ვერ გაძვრებიან,
ამხელა მორებს რა მოერევა.“
თქვა და გამართა ძველი ჩიბუხი

და მოწყენილი ჩამოჯდა ქვაზე,
მაგრამ ის ვიდრე ჩიბუხს მოწევდა,
ვიწრო ხეობა ისევ გაიხსნა,
ისევ განათდა და გასუფთავდა.
თურმე კუასინდს მძიმე მორები
აელო გზიდან და... ისრებივით
ისროდა ნაძვებს მთების გადაღმა.

ერთხელ კი, თურმე, სოფლის ბიჭები
გამოსულიყვნენ სალაყბოდ მინდვრად
და ერთობოდნენ ქვების სროლაში,
ექიდებოდნენ ერთმანეთს ძმურად.
უცებ კუასინდს შეასწრეს თვალი
და დაუძახეს: „ჭეი, კუასინდ,
გადმო, გვაჩვენე რა შეგიძლია,
რას ღვახარ ცალკე, გადმოდი ჩვენთან.“

მაგრამ სად ჰქონდა პასუხის თავი
ან სად ეცალა ზანტსა და ზარმაცს.
ის მხოლოდ კლდისკენ შებრუნდა უხმოდ
და კლდეს მოხვია ხელი, ვეება.
მერე მოგლიჯა ძირფესვიანად
და მდინარეში გადაუძახა,
აღრიალებულ პაუატინგში
რიყის ქვასავით გადაისროლა,
და თუ არ გჯერათ, იქ გდია ახლაც.


ერთხელ კი, თავის ტოლებთან ერთად
წყალზე კანოეს მიაცურებდა
და უყურებდა ბობოქარ ზვირთებს,
უთვალთვალეებდა ზვირთებს ნავიდან.
უცებ ზვირთებში შენიშნა თახვი,
ამიკს შეასწრო თვალი უეცრად,
რომელიც თავის მძლავრი თათებით
აღრიალებულ მორევს ებრძოდა.

დაუფიქრებლად წამოდგა იგი,
წყალში გადახტა დაუფიქრებლად,
მერე ჩაყვინთა და თახვისაკენ
გაცურა წყალქვეშ, წავივით სწრაფად.
შეაგვიანდა წყალქვეშ კუასინდს
და დაბნეული თანატოლები
უკვე ყვიროდნენ: „მშვიდობით ძმაო,
ველარასოდეს ველარ გიხილავთ!“ —
და სწორედ ამ დროს გამოჩნდა იგი,
გამარჯვებული და ბედნიერი,
მხრებზე შეეგდო მკვდარი ამიკი,
მზით გაბრწყინებულ მხრებით მოჰქონდა.

ჰაიავათას ყველაზე მეტად
ეს ორი კაცი უყვარდა მაინც:
ჩიბიაბოსი, ტკბილი მგოსანი,
და კუასინდი, მძლეველი მძლეთა.
დიღხანს ცხოვრობდნენ ისინი ერთად,

და არ ჩამდგარა მათ შორის ჩრდილი,
რადგან ერთმანეთს არ უმაღავდნენ,
თუ ერთმანეთთან სათქმელი ჰქონდათ.
ან თუ როდისმე დავობდნენ კიდევ,
მხოლოდ და მხოლოდ ხალხის გულისთვის,
რათა ეცხოვრათ ადამიანებს
უფრო თამამად და ბედნიერად.





ჰანიავათას ნაოსნობა

”**მ**

, არყის ხეო, ლამაზო ხეო,
 ხეო ნათელო და ტანწერწეტავ,
 მომეცი შენი მსუბუქი ქერქი,
 შენი მსუბუქი და ნაზი ქერქი,
 მე შენი ქერქით ნავს ავიშენებ,
 ნავს ავიშენებ და მდინარეზე
 ღუმფარასივით გავცურავ ლალად.

გაიძრე შენი ნაზი სამოსი,
 მალე გაიძრე, ლამაზო ხეო,
 ზაფხული კარზე მოგვადგა უკვე
 და უკვე ძალა დაკარგა ქარმაც.“ —
 ვვედრებოდა ხეს ჩვენი გმირი

მზით განათებულ პატარა ტყეში,
მზით გაბრუებულ პატარა ტყეში
ევედრებოდა და უჩოქებდა.
როცა ფოთოლთა თვით მოხიბლულნი
ტკბილად გალობდნენ კრელი ჩიტები,
ტკბილად გალობდნენ ნაკადულებიც
და მზეც თავისკენ ეძახდა ყველას.
ხე კი, ნიავით გარემოცული
და დაფარული შიშით და ოხვრით,
ასე ამბობდა: „წაილე ძმაო,
აჰა, წაილე, თუკი გჭირდება.“

და ბედნიერმა ჰაიავათამ
ხეს მოაშორა მსუბუქი ქერქი:
დანით გადაჭრა ტოტების ძირში
და ფესვებს ზემოთ გადაჭრა ფრთხილად.
მერე სიგრძეზე გაკვეთა ქერქი
და აუწია მას კიდევები
და ასე, ნელა და მოთმინებით,
არყის ლამაზი ხე გააშიშვლა.
მერე კედართან მივიდა იგი,
ახლა გარინდულ კედარს მიმართა:
„მომეცი შენი მძლავრი ტოტები,
რომ გავუმაგრო ნავს ხერხემალი
და შევაცურო წყალში თამამად.“
სულ ერთი წუთით შეკრთა კედარი,
კენწერო შიშით გადაუქანდა,

მერე მორჩილად წაიჩურჩულა:
„აჰა, წაიღე, თუკი გჭირდება.“

მან კი ტოტები ჩამოჭრა კედარს,
და მერე წელში მოღუნა ფრთხილად,
და დაემსგავსნენ მოზიდულ მშვილდებს
წელში მოხრილი ნეღლი ტოტები.

მერე ლარიქსთან მივიდა იგი
და ახლა შემკრთალ ლარიქსს მიმართა:
„ლარიქსო, ჩემო კარგო ლარიქსო,
შენი მოქნილი ფესვი მჭირდება,
რომ ჩემი ნავი, ჩემი ჩიმონი,
მორევს ეკვეთოს დაუფიქრებლად.“
და აუთრთოლდა ლარიქსს ფესვები,
საბრალოს შიშით გააქრიალა,
მაგრამ დახარა ხუჭუჭი თავი
და უპასუხა გაბმული ოხვრით:
„აჰა, წაიღე, თუკი გჭირდება.“

და მან ფესვები მოგლიჯა მყისვე,
მყისვე მოგლიჯა და იმ ფესვებით
არყის მსუბუქი და თეთრი ქერკი
მოღუნულ ტოტებს მაგრად მიაკრა.
მერე ფიქრიან ნაძვს მიუბრუნდა,
ფიქრი დაუფრთხო გარინდულ ნაძვსაც:
„ნაძვო, მომეცი შენი ცრემლები,

მომეცი შენი მძიმე ცრემლები.
მე ნავს გავლესავ შენი ცრემლებით
და წყალი ველარ მიეკარება.“
და აჭრიალდა მაღალი ნაძვი,
მუქი ჩრდილები ააცახცახა.
ბოლოს კი უთხრა გაბმული მოთქმით:
„აჰა, წაიღე, თუკი გჭირდება.“

მან წამოიღო ნაძვის ცრემლები,
აკრიფა ნაძვის მძიმე ცრემლები
და იმ ცრემლებით შელესა ნავი
და ამოქოლა ყველა ნახვრეტი,
ყველა ნაკერი და ყველა ბზარი
მაგრად შელესა და ამოქოლა.
ბოლოს კი ზღარბთან მივიდა იგი,
ზარმაცი ზღარბიც გამოაფხიზლა,
გამოაფხიზლა და გაუმხილა
თავისი ფიქრი და სათხოვარი:
„ზღარბო, მომეცი შენი ეკლები,
მომეცი შენი ბასრი ეკლები,
რომ ნავს შევაბა ეკლის სარტყელი
და ჩამოვკიდო ორი ვარსკვლავი.“
ძლივს გაიღვიძა ზარმაცმა ზღარბმა,
ძლივს გამოერკვა და ისრებივით
გადმოისროლა ბასრი ეკლები,
გადმოისროლა და აბუზლუნდა:
„აჰა, წაიღე, თუკი გჭირდება.“

მან შეაგროვა ბასრი ეკლები
და მერე, გამხმარ ფესვების წვენში
შეღება წითლად, ყვითლად და ლურჯად
და საზეიმოდ მოკაზმა ნავი:
მკერდზე დაჰკიდა ორი ვარსკვლავი
და შემოარტყა წელზე სარტყელი.

ასე ააგო ჰაიავათამ,
ასე ააგო არყის ჩიმონი,
მზით გაბრუებულ მდინარის პირას,
მზით გაბრუებულ პატარა ტყეში.
და ნავს გადასცა ტყის სურნელება,
სული და სუნთქვა, ძარღვი და სისხლი.
და კედარივით მოქნილი ნავი
და ლარიქსივით ამტანი ნავი,
თვალებამღვრეულ მდინარის ზვირთებს
ღუმფარასავით მშვიდად მისდევდა.
თვითონაც მშვიდად იჯდა კიჩოზე,
არც აფრა ჰქონდა და არც ნიჩაბი.
მისი ნიჩაბი იყო გონება
და მისი აფრა იყო სურვილი
და მიცურავდა საითაც სურდა:
მარჯვნივ თუ მარცხნივ, აღმა თუ დაღმა.
მერე მოიხმო მან კუასინდი
და უთხრა ასე: „ჩემო კუასინდი,
უნდა წამომყვე და მომეხმარო,
გავასუფთავოთ ჩვენი მდინარე,
წამოდი, შენი ღონე მჭირდება.“

და კუასინდიც გადახტა წყალში,
თავქვე წავიდა წამსვე წავივით.
აადგაფუნა მღვრიე ტალღები,
მთლად გადარია ავი მორევი,
და ამოზიდა ფსკერიდან შლამი,
მძიმე კუნძები და ბალახები.

ასე დაიწყეს მათ ნაოსნობა,
დიღხანს იცურეს ზევით თუ ქვევით
და განრისხებულ ტაქუამინოს
არ დაუტოვეს არც ერთი კუთხე.
გაძსუფთავეს, გაათართოვეს,
დააშოშმინეს და დააოკეს,
არ დაუტოვეს არც ერთი ტოტი,
არ დაუტოვეს არც ერთი ღელე.
დიღხანს იცურეს აღმა თუ დაღმა,
დიღხანს იცურეს მარჯვნივ თუ მარცხნივ,
ეზიდებოდნენ შლამსა და ბალახს
ტოტებს და ფესვებს, კუნძებს და მორებს.
და სათავიდან შესართავამდე,
ოდესლაც შიშისმგვრელი მდინარე
მოასუფთავეს და მოარჯულეს.





პანავათას თევზაობა



იტჩი-გიუმის ვეება ტბაზე
მიისწრაფოდა ჩვენი ძმობილი.
ხელში ეჭირა გრძელი ანკესი
და მიფრინავდა მსუბუქი ნავით,
რომ მიშე-ნამა, თევზების მეფე,
იქნებ ჩაეგლო ხელში, როგორმე.

და წყალი იყო ისეთი წმინდა,
ისეთი წმინდა და გამკვირვალე,
რომ თავისუფლად ხედავდა თევზებს,
ათასნაირად შეღებილ თევზებს.

იგი ხედავდა ყვითელ ქორჭილას,
კარგად ხედავდა ყვითელ ქორჭილას,
კარგად ხედავდა კიბორჩხალასაც,
ობობასავით გაფენილს ფსკერზე.

მას კი ეჭირა გრძელი ანკესი
და მშვიდად იჯდა ნავის კიჩოზე
და ზღვის ნიაფი ურხევდა ნელა
თმებში ჩარჭობილ ლამაზ ბუმბულებს.
და ნავის ცხვირზე დახტოდა ციყვი,
კუდაბზეკილი და უდარდელი
ხოლო ნიაფი მის ფაფუკ ბეწვზე
დანავარდობდა, როგორც მდელიოზე.

მაგრამ თევზების მრისხანე მეფე
ნებივრად იწვა შლამიან ფსკერზე,
ნებივრად იწვა გარინდულ შლამში
სახელგანთქმული თევზების მეფე
და კუდით ხვეტდა ჩხრიალა ქვიშას,
და ილესავდა ქვებზე ლაყუჩებს.
ელავდა მისი მძიმე სხეული,
მკვრივი ჯავშანი ეფარა შუბლზე,
მკვრივი ჯავშანი ეფარა ზურგზეც,
მთელ სიგანეზე და მთელ სიგრძეზე.
თვითონ კი თვლემდა და ნებივრობდა
ტანმოხატული ჭრელი ზოლებით,
ხოლო მის ზემოთ, მოულოდნელად,
პატარა ნაფი შოცურდა უცებ.

თამამი ჩანდა ნავის პატრონი,
მან მიზე-ნამას ჩასძახა ასე:
„აღეჭ, ჩაყლაპე ჩემი ანკესი,
ო, მიზე-ნამა, აღეჭი მალე,
ო, მიზე-ნამა, ამოდი მალლა,
ამოდი მალლა და დამეჭიდე,
ვნახოთ, ვინ უფრო მძლავრია ჩვენში,
ამოდი მალლა და დამეჭიდე.“
მაგრამ ამაოდ უცდიდა პასუხს,
არც განძრეულა თევზების მეფე.

გმირი კი იჯდა ნავის კიჩოზე
და დაძაბული უცქერდა ანკესს,
ხოლო თევზების მრისხანე მეფე
ნებივრად იწვა შლამიან ფსკერზე.
და ყურს უგდებდა გმირის მუქარას,
მშვიდად მოსმენა შეეძლო ვიდრე.
ბოლოს კი უხმო ქარიყლაპიას
და სმენადქცეულ ქარიყლაპიას
განრისხებულმა უბრძანა ასე:
„წადი, წაართვი თავხედს ანკესი
და მომაშორე ეს კაცი მალე!“

უეცრად იგრძნო ჰაიავათამ,
როგორ შეთრთოლდა ანკესის ძაფი,
როგორ შეთრთოლდა და დაიჭიმა
ანკესის ძაფი, წვრილი და გამძლე.

და როცა მაგრა მოქაჩა იგი,
მსუბუქი ნავი დადგა ყირაზე,
თითქოს უეცრად არყის ლამაზი
ხე ამოვიდა წყლის ზედაპირზე
და ცელქი ციყვი, აჯიდაუმოც,
მშვიდად დასკუპდა ხის კენწეროზე.

განრისხდა ჩვენი ამაყი გმირი,
როცა იხილა ქარიყლაპია,
როცა იხილა ქარიყლაპია,
რომელიც სწრაფად მოქროდა მისკენ.
და მან შესძახა ქარიყლაპიას:
„ო, იზე, იზე, სირცხვილი შენი,
მე არ მოვსულვარ შენს დასაჭერად,
შენ ის არა ხარ, მე ვისაც ვეძებ.“
და შერცხვენილი ქარიყლაპია
შეცბუნებული გაბრუნდა წამსვე
და მიშე-ნამამ. ჰოისხანე მეფემ,
უგუდუოშას მოუხმო ახლა
და რაც ვერ შეძლო ქარიყლაპიამ
მას დააეღა მრისხანე მეფემ.

და წამოვიდა უგუდუოშა,
გაბრწყინებული და შედიდური.
ის მთვარესავით აცურდა მალღა
და ისე მძლავრად მოქაჩა ანკესს,
რომ ტბაც დაიბნა და აცახცახდა

და აბარბაცდა მთვრალივით უცებ.
ნაეიც ათრთოლდა და დაბზრიალდა
და ბზრიალებდა, ვიდრე ჭავლებმა
ქვიშიან ნაპირს არ მიაღწიეს
და ლელიანის მძინარე ჩრდილი
მოულოდნელად არ დააფეთეს.

მაგრამ როდესაც მღელვარე წყლიდან
თავი ამოყო უგუდუოშამ,
ისევ განრისხდა ჰაიავათა
და დაიყვირა: „ო, იზე, იზე!
მე არ მოვსულვარ შენს დასაჭერად,
შენ ის არა ხარ, მე ვისაც ვეძებ.“

გაწბილებული დაეშვა თავქვე,
მთვარის მაგვარი უგუდუოშა.
ხოლო ზემოდან გმირის მუქარა
და გამოწვევა ისმოდა ისევ.

მაშინ იკადრა მრისხანე მეფემ,
ველარ გაუძლო ამდენ მუქარას
და თვალისმომჭრელ ჯავშნის ჩხრიალით
გამწარებელი ამოხტა წყლიდან.
ამოხტა წყლიდან და მისი ტანი
იშკუდასავით გაბრწყინდა მზეზე,
მერე დაალო ვეება ხახა,
დაალო ხახა და გადაყლაპა
ნაეიც და კაციც, ერთად ორივე.

უცებ წყვედიადში აღმოჩნდა გმირი,
უძირო ჭაში ჩაეშვა თავქვე,
ასე მრისხანე მორევში მორი
მოულოდნელად გაქრება ხოლმე.
მაგრამ ამ ამბით გულგატეხილმა
ვეება გული შენიშნა იქვე.
ბნელში ხმამალა ფეთქავდა გული
და გმირს იმედი მიეცა ისევ.

და ისიც მთელი ძალით და ბოლმით
თართის ვეება გულს ჩააფრინდა
და იგრძნო, თევზთა მრისხანე მეფე,
როგორ ათრთოლდა და აცახცახდა,
როგორ გამწარდა და გაწიწმატდა,
თჳნდათან როგორ მოღუნდა მერე.

მაშინ მან ნავე გვერდულად ჩადგა,
რომ გამწარებულ თევზს უცაბედად
არ ამოეგდო იგი უკანვე
და ნაფოტებად არ დაემსხვრია.
ხოლო ყოჩალი ციყვი მეგობარს
ეხმარებოდა და ამხნევებდა,
დაფაჩუნობდა ბნელში თამამად,
არ იზოგავდა ჯანსა და ძალას.

და ასე უთხრა ჰაიავათამ:
„ჩემო პაწია ძმობილო ციყვო,

შენი გმირობა და ერთგულება
მე სიკვდილამდე მემახსოვრება.
ჩემო ძვირფასო აჯიდაუშო,
რაც მე დაგარქვეი, ის გერქვას მარად.
კუდი ჰაერში, კუდი ჰაერში! —
ასე გეძახონ ბავშვებმა ყველგან.“

ისევ ათრთოლდა თართის სხეული,
ისევ ათრთოლდა და აცახცახდა,
მერე მოდუნდა და გაირინდა
და ის გარიყეს მღვრიე ტალღებმა.
და ცხელ რიყეზე მძიმე სხეულმა
უკანასკნელად გაიჩხრიალა
და ჩვენი გმირიც მაშინვე მიხვდა,
მაშინვე მიხვდა, რომ მიშე-ნამა
რიყეზე ეგდო და სულს ლაფავდა.

მერე მოესმა ფრთების დგაფუნი,
ფრთების ტკაცუნი და ყრიაშული,
ნათლად მოესმა და ნეკნებს შორის
უცებ სინათლის ზოლიც გამოჩნდა.
შემოაღწია მკრთალმა სინათლემ
და მან თოლიებს შეასწრო თვალი
და გაიგონა მათი ყვირილიც:
„იქ ჩვენი ძმაა, იქ ჩვენი ძმაა!“

და მან შესძახა ერთგულ თოლიებს:
„ო, თოლიებო, კეიოშკებო,

მალე გაგლიჯეთ ურჩხულის მძორი.
მე მოვაშორე იგი ქვეყანას.
მალე გაგლიჯეთ ურჩხულის მძორი
ჩემო ერთგულო ძმებო და დებო,
მალე გაგლიჯეთ ბასრი კლანჭებით
და დამიბრუნეთ თავისუფლება.
ხოლო თქვენს საქმეს და ერთგულებას
დალოცავს ხალხი მარად და მარად.“
და თოლიებიც აურზაურით,
ბასრი ბრჭყალებით და ნისკარტებით
დააცხრნენ ნადავლს და მაშინათვე
გამოაღარეს გვერდი მთლიანად.
გამოაგლიჯეს გვერდი მთლიანად
და ტყვეობიდან დაიხსნეს გმირი,
დაიხსნეს იგი თართის მუცლიდან,
გადაარჩინეს ნესტსა და წყვილიადს.

ქოხთან მივიდა ჰაიავათა,
ისევ მივიდა საყვარელ ქოხთან
და დაუძახა მოხუც ნაკომისს,
რომ მკვდარი ნამა ეხილა მასაც,
ნამა კი ქვებზე ევდო გულადმა
და თოლიების ჯარი ეხვია.

„ჩემო ნაკომის, ჩემო ძვირფასო,
მე მოვაშორე ხალხს მიწე-ნამა.
ოდესღაც ხალხის ზარი და რისხვა

დღეს თოლიების კერძი გამხდარა.
ეს თოლიები ჩემი დებია,
მათ დამიბრუნეს თავისუფლება
და ნუ განდევნი, სანამ ისინი
არ გაივსებენ კუჭსა და ჩიჩახვს.
და როცა კარგად დანაყრდებიან
და კმაყოფილნი, დაისის შუქზე,
ბუდეებისკენ გაფრინდებიან,
მაშინ მოზიდე შენი ქოთნები
ზამთრის მარაგის მოსამზადებლად.“
და ნაკომისიცი მშვიდად იცდიდა,
ვიდრე ფერმკრთალი და წყნარი მთვარე
არ ამოვიდა ნელ-ნელა წყლიდან
და თოლიებიც, ფრთებისტკაცუნით
არ აიშალნენ და მთვარის შუქზე
არ მიაშურეს ბუდეებს სწრაფად.

ჰაიავათამ ძილს მისცა თავი,
ხოლო ნაკომისს საქმე უცდიდა
და ის შრომობდა გათენებამდე,
ვიდრე ფერმკრთალმა და წყნარმა მთვარემ
მზეს არ დაუთმო ცაზე ადგილი
და ვიდრე ზეცა აღმოსავლეთით
არ შეიღება თანდათან წითლად
და თოლიებიც ფრთების დგაფუნით
არ დაუბრუნდნენ გუშინდელ ნადავლს.
სამ დღეს ჯიჯგნიდნენ ლეშს თოლიები,

სამ დღეს ჯიჯვნიდნენ და სამი ლამე
არ ძინებია მოხუც ნაკომისს;
არ ძინებია და ზამთრისათვის
ქონით ავსებდა ვეება ქონებს.
ბოლოს ლეშისგან ძვლებილა დარჩა,
და თოლიებიც აღარ მოფრინდნენ,
აღარ მოფრინდნენ და მიშე-ნამას
შიშველი ჩონჩხი დარჩა რიყეზე.





პაიავათა და მეგისოგვენი



იტჩი-გიუმის გაშლილ ნაპირზე,
 გიტჩი-გიუმის ელვარე წყალთან
 ძლივს იბრუნებდა სულს ნაკომისი,
 ძლივს იკავებდა ბრახსა და რისხვას.
 მზე ჩადიოდა და თავის გზაზე
 ყველაფერს წვავდა ცხელი სხივებით
 და ნაკომისიც, გააფთრებული,
 ხელებს იწვდიდა ჩამავალ მზისკენ.

მზე ჩადიოდა და თავის გზაზე
 ყველაფერს წვავდა ცხელი სხივებით,
 ყველაფერს წვავდა ცხელი სხივებით

და მიცურავდა დასავლეთისკენ.
ასე დევნილი რაზმები, ხოლმე,
ცეცხლს უკიდებენ ტყესა და მინდორს,
ცეცხლში ახვევენ ირგვლივ ყველაფერს,
რომ აურიონ გზა-კვალი მდევარს.
და დიდი მთვარეც, ღამის მნათობი,
მზეს დაედევნა უხმოდ და უცებ.
მზეს დაედევნა და გადაედო
მზის სიმხურვალე და ბრწყინვალება

და ნაკომისი, მთვარის ასული,
უკვე მოხუცი და მოტეხილი,
დასავლეთისკენ იწვდიდა ხელებს,
დაკოჲრილ ხელებს და თავის გაზრდილს
ეუბნებოდა, საბრალო, ასე:
„იქ სამეფოა მეგისოგვენის,
იქ ცხოვრობს დიდი მეგისოგვენი,
სიმდიდრის სული და ჯადოქარი,
იქ ცხოვრობს დიდი მეგისოგვენი,
გარშემორტყმული კუპრის ტბორებით
და ცეცხლოვანი გველების ჯარიო.
იქ, თვალუწვდენელ კუპრის ტბორებში
ნებივრად წვანან კენაბიკები,
კენაბიკები — დიდი გველები
იკლაკნებიან კუპრის ტბორებში.

მან მოკლა ჩემი საბრალო მამა
თავის ხრიკებით და ოინებით,

როცა მთვარიდან უცხო მიწაზე
ჩემს მოსაძებნად დაეშვა იგი.
უბოროტესი ბოროტთა შორის
და ჯადოქარი მეგისოგვენი
ჩვენთან აგზავნის ჭირსა და სიკვდილს,
მიწას გვიწამლავს ჭაობის ორთქლით
და ხავსმოდებულ ტუნდრების ნისლით.

ო, ჩემო შვილო, აილე მშვილდი,
აილე შენი ბასრი ისრები,
აილე შენი მძიმე კომბალი,
მძიმე კომბალი-პოგაუგენი
და თათმანები-მინჯიკაუნი.
და მიზე-ნამას ქონით გაპოხე
შენი ჩიმონი, რომ უფრო სწრაფად
გაცურო კუპრის შავი ტბორები,
და მოაშორო ხალხს ჯადოქარი,
გადაარჩინო ციებას ხალხი,
გადაარჩინო ჭირსა და სიკვდილს
და მამაჩემის იძიო შური.“

შეიარაღდა სასწრაფოდ გმირი,
ნავს გადაუსვა ალერსით ხელი
და ჩასჩურჩულა: „ჩემო ძვირფასო,
ჩემო ერთგულო, გასწი, გაფრინდი,
იქ, სადაც თვლემენ კუპრის ტბორები,
გველებით სავსე კუპრის ტბორები“.

სწრაფად გაცურდა ლალი ჩიმონი,
გულმიცემული გმირის სიმღერით,
ველური იყო გმირის სიმღერა,
ომახიანიც და სევდიანიც.
და აწრიალდა გარინდულ ცაზე
კენიუ, ომის დიდი არწივი,
ბატონ-პატრონი ყველა ფრინველის,
ბატონ-პატრონი და მეთაური.

მალე მიადგა ცეცხლოვან გველებს,
მალე მიადგა სწრაფი ჩიმონი.
იკლაკნებოდნენ დიდი გველები,
ათასნაირად დაგრეხილები,
ასისინებდნენ შემართულ თავებს,
გახვეულები ორთქლში და ნისლში.

და უშიშარმა ჰაიავათამ
შესძახა ყალყზე შემართულ გველებს:
„ჩამომეხსენით, გველებო, გზიდან,
არ გაიფუჭოთ თავი ტყუილად.“
გველებმა ორთქლში გახვიეს ნავი
და გმირს სისინით მიუგეს ასე:
„უკან გაბრუნდი, შოგოდაია,
მშიშარავ, უკან გაბრუნდი მალე.“

მაშინ გაბრაზდა ჰაიავათა,
განრისხებულმა მოზიდა მშვილდი

და დაუშინა ბასრი ისრები
ასისინებულ გველების ბუდეს.
ლარის ზუზუნი ყიყინას ჰგავდა
და ყველა ისრის ბრჭყვიალა წვერზე
გახარებული იჯდა სიკვდილი
და სულს დაფავდნენ გველები წამსვე.
და განგმირულნი ბასრი ისრებით
იკლაკნებოდნენ და ფართხალებდნენ,
ხოლო მათ შორის ლალი ყიყინით
მიაცურებდა გმირი კანოეს.

მერე მან ნამას ქონით გაპოხა
ნავის გვერდები და ნავის ცხვირი,
რომ უფრო სწრაფად გადაეცურა
ნისლმოხვეული ტბორები კუპრის.
მან მთელი გრძელი ღამე იცურა
აბუტბუტებულ და მდორე წყალში,
ღამპალ ფოთლებით და მყრალი ობით
და გახრწნილ ხავსით დაფარულ წყალში.
მას მთელი ღამე მიჰყავდა ნავი,
მშვიდად მიჰყავდა ერთგული ნავი
და საცოდავად ბუტავდნენ ირგვლივ
მოხეტიალე მკრთალი სანთლები,
და ამ სანთლებით ძლივს მიიკვლევდნენ
თავის დამქანცველ გზას აჩრდილები.

ცაზე ეფინა ფერმკრთალი მთვარე
წყალი კი იყო ჩუმი და შავი

და ეხვეოდნენ ნავს კოლოები
და აყრუებდა ყველაფერს ირგვლივ
მათი სიმღერა, ყურიაწამლები.
ბნელში ბეუტავდა ციციანათელა,
ციციანათელა—უა-ტეისი
და შეჰყურებდა თვალდაჰყეტილი
უზარმაზარი მწვანე ბაყაყი.
მერე ატირდა მწვანე ბაყაყი,
მწარედ ატირდა და მდორე წყალში
გაუჩინარდა ატირებული.
მერე გაისმა გაბმული სტვენა
და შუჰ-შუჰ-გაიმ გაბმული სტვენით
ლამის წყვდიადში ჩაძირულ სივრცეს
მოახლოება აუწყა გმირის.

ასე ილტვოდა დასავლეთისკენ
ჩვენი ამაყი და მშვიდი გმირი,
მეგისოგვენის სამეფოსაკენ
ილტვოდა ჩვენი თამამი გმირი.
ვიდრე უცქერდა ფერმკრთალი მთვარე,
გადაღეული და გადაღლილი,
ვიდრე ნელ-ნელა არ ამოვიდა
მზე, მედიდური და დიდებული,
ვიდრე ნელ-ნელა არ ამოვიდა
და არ დააწყო მხრებზე ხელები.
მაშინ შენიშნა ჰაიავათამ
ბორცვზე შემდგარი ბრჭყვიალა ქოხი,

გრძნეულთა შორის უგრძნეულისს,
ბოროტთა შორის უბოროტესის
და საგანძურთა მანიტოს ქოხი.

მან ერთხელ კიდევ შეაქო ნავი,
მოუთათუნა ხელი ალერსით
და მოხიბლული პატრონის ქებით,
გულმიცემული და ბედნიერი,
უფრო თამამად გაცურდა ნავი,
უფრო თამამად გაცურდა იგი,
მიადგა ნაპირს და გაარღვია
ლერწმების ჯარი და ლელიანი.

გმირმა აიღო ბასრი ისარი
და ამოიღო ნიშანში ქოხი
და ქოხისაკენ გაფრინდა მაცნე,
ლაღად გაფრინდა ამღერებული:
„ო, მარგალიტის ბუმბულო, მალე
გამოდი გარეთ, შენთან მოვედი“.

და გამოვარდა ქოხიდან უცებ
ძლევაშოსილი მეგისოგვენი,
უზარმაზარი და საშინელი,
ათასნაირი მძივით მორთული,
თავშემკობილი არწივის ფრთებით,
ტანშეჩავეშნული და აღჭურვილი
და მოხატული დილის ცასავით.

და დაიქუხა მეგისოგვენმა, —
ხმა ჰქონდა მძლავრი და დამცინავი,
„უკან გაბრუნდი, შოგოდაია;
არ აატირო სოფლის ქალები,
წადი, მიხედე ბებერ ნაკომისს,
თორემ ჩიტივით შემომაკვდები.“

არ დაბნეულა ჰაიავათა,
არ შეკრთომია არც ერთი ძარღვი
და უთხრა ასე: „მშვილდის მოზიდვა
უფრო ძნელია, ვიდრე ტრაბახი,
არც დაცინვაჲ ისარზე ბასრი,
საქმე სჯობია სიტყვას ყოველთვის.“

მერე დაიწყო მრისხანე ბრძოლა,
დაიწყო ბრძოლა ჯერარნახული,
აქამდე თვითონ მზეც არ ყოფილა
მომსწრე ასეთი მკაცრი ჭიდილის.
მთელ ღღეს გაგრძელდა მათი ჭიდილი,
გათენებიდან დაღამებამდე
შეუნელებლად გაგრძელდა იგი,
შეუნელებლად, რადგან ისრები
ვერას აკლებდნენ გრძნეულის პერანგს,
ურყევი იყო მძივის პერანგი.
ამაოდ დაშვრა მინჯიკაუნი,
ამაოდ დაშვრა მძიმე კომბალიც,
ურყევი იყო მძივის პერანგი,
ურყევი, მკვრივი და შეუუვალი.

ბოლოს, დაჭრილი ჰაიავათა,
გულგატეხილი და დაბნეული,
მშვილდზე დაეყრდნო დაისის ბინდში
და შერცხვენილმა ჩაქინდრა თავი.
იქვე ეყარა მთლად დაგლეჯილი
და დაწეწილი ხელთათმანები
და ნაფოტებიც საომარ კომბლის,
ხოლო გარინდულ ფიჭვის ფესვებთან
მიწაზე ეგდო სამი ისარი.
ფიჭვს შესეოდა ბებერი ხავსი,
ბებერი ხავსი და სოკოები, —
მიცვალებულთა ფეხსაცმელები.

უცებ ფიჭვიდან ჭრელმა კოდალამ
გამოარკვია ფიჭრში წასული:
~~„უნდა ესროლო მხოლოდ კეფაში,
მხოლოდ და მხოლოდ ნაწნავის ძირში,~~
როცა კეფაში მოარტყამ ისარს,
მაშინ მოკვდება მეგისოგვენი.“

ლაღად გაფრინდა ბასრი ისარი
და მთელი ძალით ეცა კეფაში
ქვის ასაღებად დახრილ ჯადოქარს,
წივილით ეცა ნაწნავის ძირში.
და შეტორტმანდა მეგისოგვენი
და აღრიალდა, როგორც ბიზონი,
როგორც პეზეკი ბლავის დაჭრილი.

პირველს მეორე ისარი მიჰყვა,
უფრო თამამი და ღონიერი
და განგმირული მეგისოგვენი
ათრთოლდა, როგორც ლერწამი ქარში,
და აცახცახდა, ვით ლელიანი.

მეორე ისარს მესამე მიჰყვა,
მთელი სისწრაფით გაფრინდა ისიც
და დაინახა მეგისოგვენმა
ცივი და მკაცრი თვალი პოგაკის.
მერე სიკვდილის ხმაც გაიგონა
და გაიშხლართა გმირის ფეხებთან
უგრძნეულებსი გრძნეულთა შორის.

და მადლიერმა ჰაიავათამ
თავისთან იხმო კეთილი ჩიტი
და შეუღება, მადლობის ნიშნად,
ქრელი ქოჩორი გრძნეულის სისხლით
და წითელ ქოჩორს დღემდე ატარებს,
დღემდე ატარებს ამ ქოჩორს იგი.

მერე გახადა უსულო სხეულს
მძივის პერანგი და წამოიღო
ამ დიდი ბრძოლის მოსაგონებლად,
ის ჯადოსნური პერანგი მძივის.
ხოლო ჭაობში თავჩაყოფილი
იქვე დააგდო მეგისოგვენი.

და ცაზი უცებ აყვლდა ისევ
კენიუ, ომის დიდი არწივი,
აადგაფუნა ვეება ფრთები
და გვამისაკენ აილო გეზი.

ხოლო ჭკვიანმა ჰაიავათამ
ნავი აავსო ავლადიდებით,
ნავზე დააწყო მთელი ქონება
კეფაშელეწილ მეგისოგვენის.
ნავზე დააწყო მძიმე მძივები,
ბიზონისა და თახვის ტყავეები,
ყელსაბამები და ნაზი ბეწვი
ყარყუმისა და სიასამურის,
მოსართავეები და კაპარჭები,
პირამდე სავსე ვერცხლის ისრებით.


გამოტრიალდა შინისკენ გმირი,
გამარჯვებული და ბედნიერი.
კვლავ გადაცურა კუპრის ტბორები
სავსე გველების გახრწნილ გვამებით
და მიაყენა ნაპირს ყიჟინით
ნაალათარით სავსე ჩიმონი.

ნაპირზე შეხვდა მას ნაკომისი,
ჩიბიაბოსი და კუასინდი,
ნაპირზე შეხვდა მთელი სოფელი,
მთელი სოფელი ცეკვა-სიმღერით.
აღტაცებული ცეკვავდა ხალხი,

აღტაცებული ყვიროდა ხალხი:
„დიდება მამაც ჰაიავათას! —
ვინც მოგვაშორა ბოროტი სული,
უგრძნეულესი გრძნეულთა შორის,
ბნელი ბუნაგი ყოველგვარ სენის
და მოციქული შავი სიკვდილის.“

შან სამუდამოდ ჩაიდო გულში
კოდალას ვალი და სიყვარული,
და სიყვარულის აღსანიშნავად
კოდალას ფრთებით მორთო ჩიბუხი,
ჯოლო ნადავლი ხალხს დაურიგა,
ყველას თანაბრად გაუყო იგი.





ჰაიავათას ნიშნობა

„**მ**

შვილდი კაცია, ლარი კი ქალი,
 მშვილდს წელში ღუნავს ლარი ძლიერი,
 ღუნავს და მაინც ემორჩილება,
 იშორებს, მაგრამ თან მისდევს მაინც.
 არ შეიძლება მათი გაყოფა,
 ცალ-ცალკე არც ერთს არა აქვს ფასი.“
 ასე ფიქრობდა ჩვენი ძმობილი
 და ბრუვდებოდა საამურ ფიქრით
 და თვალწინ ედგა მშვილდი მუხნარი
 და მინეჰაჰას თეთრი ზვირთები.

„არ გინდა, შვილო, უცხო მხრის ქალი, —
 ეუბნებოდა მას ნაკომისი, —

ქალის საძებრად. ნუ წახვალ სხვაგან,
რაში გარგია უცხო მხრის ქალი.
როგორც ახლოა კერიის ცეცხლი,
ისე ახლოა მეზობლის ქალიც,
ხოლო უცხო მხრის ქალი შორია,
როგორც ვარსკვლავის და მთვარის შუქი.“

ასე ურჩევდა მას ნაკომისი
და პასუხობდა გმირიც სიცილით:
„ჩემო ნაკომის, ჩემო ძვირფასო,
მეც ძლიერ მიყვარს კერიის ცეცხლი,
მაგრამ კერიის ცეცხლს მირჩევნია
ვარსკვლავის შუქი და მთვარის შუქი.“

მაშინ გაბრაზდა მთვარის ასული
და აბუზღუნდა გაბრაზებული:
„არ მოიყვანო უქნარა ქალი,
ხელუბარაქო და ფეხებზანტი.
ხალისიანი ქალი შეირთე,
ოჯახის მცოდნე და მოყვარული.“

და უპასუხა გმირმა ღიმილით:
„დეკოტაპების ლამაზ მხარეში,
სადაც ამაყად დგანან მუხები
და უსასრულოდ მღერის ჩანჩქერი,
თავის მშვენიერ ასულთან ერთად
ცხოვრობს ისრების ოსტატი ძველი.“

მშვენიერია მისი ასული
უმშვენიერეს ასულთა შორის.
მე მას მოვიყვანე შენს მყუდრო ქოხში
და ის იქნება შენი მორჩილი,
შენი კერიის ნათელი ცეცხლიც,
ვარსკვლავის შუქიც და მთვარის შუქიც
და ჩვენი ხალხის მანათობელიც.“

მაინც იცავდა თავს ნაკომისი:
„ფიცხი ხალხია დეკოტაპები,
ჯერ არ ჩამქრალა ჩვენს შორის შულლო
და არც კრილობას შეუქრავს პირი.“

ისევ სიცილით მიუგო გმირმა,
რომ არ წყენოდა მოხუც ნაკომისს:
„სწორედ ამიტომ უნდა შევიერთო
დეკოტაპების ნაზი ასული,
რომ დაძმობილდნენ ჩვენი ტომები
და მეგობრობამ შეცვალოს შულლი.
გადავივიწყოთ მტრობაც და ჯიბრიც,
ცრემლიც და სისხლიც და კრილობებიც.“

და გზას დაადგა ჰაიავათა,
გაბრუებული საამურ ფიქრით,
ლამაზ ქალებით განთქმულ ქვეყნისკენ
მიაბიჯებდა გახარებული,
მიაბიჯებდა გაშლილ ველებზე
და გარინდებულ ტყეების გასწვრივ-

და ჯადოსნური მოკასინებით
მთელი დღის სავალს გარბოდა წამში.
გზა კი არაფრით არ თავდებოდა
და წინ უსწრებდა მღელვარე გული.
ის კი მიქროდა შეუსვენებლად,
ვიდრე ჩანჩქერის ხმა არ მოესმა
და არ შენიშნა მშვიდი მუხნარი
და ბრწყინვალეა მინეჰაპასი.
„რა ტკბილი ხმა აქვს ამ ლამაზ ჩანჩქერს,
რა ტკბილი ხმაა, მე მიხმობს იგი,“ —
თავისთვის ასე გაივლო გულში.

მზით და ჩრდილებით მოხატულ ველზე,
ტყის პირას მშვიდად ძოვდნენ ირმები
და ვერ ამჩნევდნენ ჰაიავათას,
გაბრუებულნი მზით და ჩრდილებით.
მან კი მოზიდა ერთგული მშვილდი
და წასჩურჩულა: „აბა, შენ იცი.
არ გამაწბილო, ჩემო ისარო“
ისარსაც ასე უთხრა ჩურჩულით
და მშვილდს სიმღერით მოსწყდა ისარი,
მონახა ირმის მფეთქავი გული
და ბეჭებს შუა ამოყო თავი.

ქოხის წინ იჭდა ისრის ოსტატი,
სახელგანთქმული და ხანდაზმული
და იქვე იჭდა მისი ასულიც,
თვალმშვენიერი, ნაზი და ჩვილი.

იჯდა და ლერწმის ფარდაგებს ქსოვდა,
ფარდაგებს ქსოვდა ფიქრში გართული.
გამოვლილ გზაზე ფიქრობდა მამა,
გასავლელ გზაზე ფიქრობდა შვილი.

მამა ფიქრობდა იმ ტკბილ დღეებზე,
როდესაც მისი ბასრი ისარი
გულში ხვდებოდა ირემს და ბიზონს,
აფრენილ ფრინველს ხვდებოდა ფრთაში.
„ვინ იცის ახლა ისრების ფასი,
ღიაცებს ჰგვანან ახლა კაცები
და ისრის ნაცვლად ენას ხმარობენ,“ —
ასე ფიქრობდა ძველი ოსტატი.

მინეჰაჰა კი სხვებზე ფიქრობდა,
მონადირეზე ფიქრობდა იგი,
უცხო ქვეყნიდან მოსულ ყმაწვილზე,
თვალმშვენიერზე და ახოვანზე,
რომელიც ერთხელ ესტუმრათ მხოლოდ,
რათა შეეცხო ისრის მარაგი.
მერე კი უკან რჩებოდა თვალი,
უკან რჩებოდა თვალიც და გულიც
და მერე ხშირად აქებდა ხოლმე
იმ უცხო ყმაწვილს ძველი ოსტატი.
„ნეტავ როდისმე თუ მოვა კიდევ,
თუ დასჭირდება კიდევ ისარი“, —
ასე ფიქრობდა ოსტატის შვილი
და ნეტარებით ნაბავდა თვალებს
და ჭრელ ფარდაზე ეწყო ხელები.

ასეთ ფიქრებში გართულ მამა-შვილს
უცებ მოესმა ტოტის შრიალი
და უცებ, ოფლით შუბლდაცვარული
და მხრებზე ირემაკიდებული,
თავზე დაადგა უცხო ყმაწვილი.

მოხუცმა გვერდზე გადადო საქმე,
მკაცრად ახედა უეცარ სტუმარს
და როცა იცნო, გახარებულმა,
მიიპატიჟა ქოხში ღიმილით.

და მინეჰაჰას ჰაიავათამ
ნანადირევი დაუგდო ფეხთით,
ფეხთით დაუგდო დიდი ირემი
და მორიდებით შეავლო თვალი.
მინეჰაჰამაც ახედა სტუმარს
და წამოიჭრა გახარებული,
გვერდზე გადადო ლერწმის ფარდაგი
და მშვიდად უთხრა: „ქოხში მობრძანდი.“

ნათელი იყო ოსტატის ქოხი,
ნათელი იყო და მოფენილი
ბიზონისა და ირმის ტყავებით,
ყარყუმის ბეწვით და ფარდაგებით.
მაღალი იყო ქოხის კარებიც,
ისე მაღალი, რომ ჩვენმა გმირმა
ოდნავ მოხარა ამაყი თავი,

ოდნავ მოხარა და კარის ღირეს
ოდნავ შეეხო არწივის ფრთებით.

და მინეჰაჰამ სანატრელ სტუმარს
მოურბენინა წყაროდან წყალი,
მერე ხალისით გაშალა სუფრა,
და გადმოაწყო თიხის ჭურჭელი.
და წინ დაუჯდა საამურ სტუმარს,
ათრთოლებული და გატრუნული,
უჩუმრად იჯდა და ყურს უგდებდა
კეთილ საუბარს მამის და სტუმრის.
თვითონ კი პირიც არ გაუღია,
არ დასცდენია სიტყვა არც ერთი.

გაოგნებული უსმენდა იგი
სანამ ჰყვებოდა მათი სტუმარი
თავის ყრმობაზე და ნაკომისზე,
ჩიბიაბოსზე და კუასინდზე,
ოჯიბუების შორეულ ქვეყნის
სილამაზეზე და სიმდიდრეზე
და მშვიდობიან ოჯიბუებზე,
სანამ ჰყვებოდა მათი სტუმარი.

„მრავალი მტრობის და შუღლის შემდეგ
მრავალი სისხლის და ცრემლის შემდეგ
მშვიდობიანად ცხოვრობენ ახლა
და მეგობრობენ ჩვენი ტომები.“

ასე ჰყვებოდა მათი სტუმარი
და დაუმატა ბოლოს ღიმილით:
„უნდა შევიერთო შენი ასული,
რომ ეს მშვიდობა გაგრძელდეს მარად,
რომ უფრო მტკიცედ და საიმედოდ
შევუქავშიროთ გულებს გულები.
უნდა შევიერთო შენი ასული
მშვიდი და ზრდილი და მშვენიერი.“

და მინეჰაჰა, მცინარე წყალი,
უფრო დამშვენდა და გალამაზდა,
მერე სტუმართან მივიდა ფრთხილად
გვერდით მიუჯდა და ასე უთხრა:
„ჩემო ძლიერო ქმარო, შენი ვარ.“
და გამოვიდა ქოხიდან იგი,
გახარებული და ბედნიერი
და მინეჰაჰაც თან წაიყვანა,
თან წაიყვანა „მცინარე წყალი.“
მარტო დატოვეს ძველი ოსტატი,
მარტო დატოვეს მოწყენილ ქოხთან
და მინეჰაჰას თეთრი ჩანჩქერი
მზეზე ბრწყინავდა და მისძახოდა:
„გზა მშვიდობისა, გზა მშვიდობისა!“

ისევ ჩამოჯდა ძველი ოსტატი
თავის მოწყენილ ქოხის კარებთან,
კვლავ მიუბრუნდა საყვარელ საქმეს,

თავი ჩაქინდრა და აბუზღუნდა:
„ასე დაუთქვამს ღმერთს და ბუნებას,
ასე იქნება მარად და მარად,
როგორც არ უნდა უყვარდეს მამა,
მამინაც დატოვებს და გაფრინდება.
დანიშნულ დროზე მოვა ყმაწვილი
გაწკეპილ ფრთებით და სალამურით,
ივლის კარდაკარ და შუკა-შუკა,
მერე აირჩევს ყველაზე ლამაზს
და ქალიც უხმოდ გაეკიდება.“

საამო იყო გზა შინისაკენ
გაშლილ მინდვრებზე და ტყეთა გასწვრივ,
მდინარეებზე და ხეობებზე,
მზეში და ჩრდილში, აღმა და დაღმა.
გზას მიჰყვებოდნენ ისინი ნელა,
სულ არ ჩქარობდა ჰაიავათა,
სულ არ ჩქარობდა, რომ მინეჰაჰა
უცხო ბილიკებს არ დაეღალა.
მდინარეებზე და ხეობებზე
ატატებული მიჰყავდა იგი
და ბუმბულივით მსუბუქი ტვირთი
ძალით ავსებდა და ახარებდა.
ეკალ-ბარდებში გზას უკაფავდა,
ღამით ტოტების ქოხს უშენებდა,
საწოლად ხავსს და ბალახს უგებდა
და ცეცხლს უნთებდა ნათელს და მაღალს.

მოხეტიალე და უსაქმური
გრილი ნიავი მისდევდა უკან,
არ აცილებდნენ თვალს ვარსკვლავები,
არ აცილებდნენ და ფულუროდან
ციყვიც უჩუმრად უთვალთვალებდა,
უთვალთვალებდა თეთრი კურდღელიც,
თეთრი კურდღელიც თავის სოროდან
ცნობისმოყვარე თვალს ადევნებდა
და გრძელ უღვაშებს აცმაცუნებდა.
საამო იყო გზა შინისაკენ,
ტყეში ჩიტები გალობდნენ ტკბილად,
ბედნიერების ლამაზ სიმღერას
ყველანი ერთხმად გალობდნენ ტკბილად.
„ბედნიერი ხარ, ჰაიავათავ,
ასეთი ცოლი რომ მოგცა ღმერთმა,“ —
ასე გალობდა ჭრელი ყაპყაპი
და ხმას უწყობდა მას გულწითელა:
„ბედნიერი ხარ, მცინარე წყალო,
ასეთი ქმარი რომ მოგცა ღმერთმა.“

დღისით კეთილი მზე აცხუნებდა
და გახარებულ ჰაიავათას
რჩევას აძლევდა მამაშვილურად:
„დაიმახსოვრე, ჩემი სხივები
სიყვარულია, ჩრდილი კი მტრობა.
ორივეს ერთად ცხოვრება ჰქვია,
ცხოვრება ჰქვია ორივეს ერთად.“

შენ სიყვარულის გზებით იარე,
ის იყო სენი მფარველი მარად.“

ღამით კი მთვარე, თეთრი და მშვიდი,
ქოხში ჩურჩულით ჩამოდიოდა
და სიყვარულით ანთებულ გულებს
ისიც აძლევდა საჭირო რჩევას:
„ღამე ქალია, დღე კი კაცია,
ღამე მშვიდია, დღე კი შმაგია,
აი, ხომ ხედავ, მეც მორჩილი ვარ,
თუმცა ვანათებ ქვეყნის ნახევარს.
ასეთად შექმნა ქალი ბუნებამ,
იყავ მორჩილი, ო, მინეჰაჰა.“

ასე დასრულდა მათი მგზავრობა
თავბრუდამხვევი და საამური,
ასე მოჰგვარა მოხუც ნაკომისს
ნაზი ასული ჰაიავათამ.
ასე მოჰგვარა კერიის ცეცხლი,
ვარსკვლავის შუქიც და მთვარის შუქიც,
ღამაზ ქალებით განთქმულ ქვეყნიდან
ასე მოჰგვარა მან მინეჰაჰა.





ჰანიავათას ქორწილი



ხლა მოისმენთ, როგორ ცეკვავდა
თვალმშეენიერი პო-პაკ-კივისი,
ერთგულებაზე და სიყვარულზე,
როგორ მღეროდა ჩიბიაბოსი,
ანდა იაგუ, დიდი ტრაბახა,
ტკბილი მეზღაპრე და მოსაუბრე,
როგორ ჰყვებოდა უცნაურ ამბებს,
რომ გატკობოდათ სტუმრებს ქორწილი.

არ დაუზოგავს თავი ნაკომისს,
თვითონ გაშალა ამხელა სუფრა,
გააპრიალა ცაცხვის ჩამჩები

და რქის კოვზებიც გააპრიალა,
და ნაკომისის გაშლილი 'სუფრა
სიმდიდრითა და მადლით ბრწყინავლა

მიიპატიუა მთელი სოფელი,
მაცნე გაგზავნა ძეწნის რტოებით,
ეს კი ნიშნავდა, რომ ნაკომისის
პატარა ქოხში ზეიმი იდგა.
და საზეიმოდ გამოწყობილი
კარზე მოადგა მთელი სოფელი:
თავშემკობილი ლამაზი ფრთებით,
მკერდშემკობილი მძიმე მძივებით,
წელშემკობილი ფართო ქამრებით, —
მთელი სოფელი ეწვია სტუმრად.

და ნაკომისმა, გახარებულმა,
ჯერ თევზეული მიართვა სტუმრებს,
მიართვა ნამა და მასკენოზა
შეზავებული ათასნაირად.
მერე მიართვა ცვრიანი მწვადი,
მერე მიართვა კამეჩის ტვინი,
მერე მიართვა ბიზონის სუკი,
მერე მიართვა ირმის ბარკალი,
მერე მიართვა ველური ბრინჯი
და მონღამინის ტკბილი ნამცხვარიც
ჩამოარიგა გახარებულმა.

ხოლო გულუხვი ჰაიავათა,
მცინარე წყალი და ნაკომისი
თავს ევლებოდნენ საამო სტუმრებს,
რომ არათფერი არ მოჰკლებოდათ.

და მერე, როცა მორჩა პურობა,
როცა დანაყრდა ყველა სტუმარი,
ჩამოუარა სუფრას ღიმილით
და ნაკომისმა თახვის გუდიდან
სტუმრებს თუთუნი ჩამოურიგა:
შეზავებული ტირიფის ქერქით,
ხმელი ბალახით და ყვავილებით,
სურნელოვანი და მათრობელა.

მერე კი სთხოვა მან პო-პაკ-კივისს:
„ო, პო-პაკ-კივის, შენი ცეკვები
ახლა საამო იქნება ჩვენთვის.
იცეკვე შენი მათხოვრის ცეკვა,
რომ უფრო დიდხანს ვიმხიარულოთ,
რომ უფრო დიდხანს გაგრძელდეს ლხინი.“
ფეხზე წამოდგა პო-პაკ-კივისი,
ფეხზე წამოდგა იენადიზი,
თავქარიანი და უდარდელი
და მოტრფიალე აურზაურის,
აყალმაყალის და დროსტარების,
გალიმებულები ფეხზე წამოდგა.

ის იყო ყველა თამაშის თავი,
ეხერხებოდა ყველა თამაში:
მიზანში სროლაც, ლახტიც და ბურთიც,
პაგესეინგიც და კუნტასუიც.

თუმცა ბავშვები და მეომრები.
მას ეძახოდნენ იენადიზის,
მას ეძახოდნენ შოგოდაიას,
არად აგდებდა დაცინვას იგი.
სამაგიეროდ უყვარდათ ქალებს,
ქკუას კარგავდნენ სოფლის ქალები,
როცა შუკაში გამოჩნდებოდა
თვალმშვენიერი პო-პაკ-კივისი.

მას ეცვა ირმის თეთრი პერანგი,
გამდიდრებული და გაწყობილი
ქრელი მძივებით და არშიებით.
ფეხზე ემოსა მოკასინები,
დამშვენიებული ზღარბის ეკლებით,
და მოარხევდა მელიის კუდებს,
გედის ბუმბულით თავშემკობილი.
ცალ ხელში ეპყრა ფართო მარაო
და მეორეში — გრძელი ჩიბუხი.

და შეღებილი ათასნაირად
ყველას თვალს ქრიდა პო-პაკ-კივისი,
შუბლზე ეფინა პრიალა თმები

გადავარცხნილი და გაყოფილი,
უკან დაწნული და განასკვეული
სურნელოვანი ბალახის ღერით.
ასე მორთული და მოკაზმული
წამოიმართა პო-პაკ-კივისი
ხალამურების წკრიალ-წკრიალში,
დოლის გუგუნში და სიმღერებში,
წამოიმართა პო-პაკ-კივისი
და საცეკვაოდ გაშალა ხელი.

ჯერ ის ცეკვავდა დარბაისლურად,
დინჯი ნაბიჯით და მიმოხვრებით.
იგი ცეკვავდა კაშკაშა მზეზე
და ხან ფიჭვნარის გარინდულ ჩრდილში.
ჯერ დადიოდა ავაზასავით
აღფრთოვანებულ სტუმრების წრეში,
მერე აჩქარდა და დაბზრიალდა
კარებდაღებულ ვიგვამის ირგვლივ
და დააყენა კორიანტელი
ჭრელი ფოთლების და ბალახების.

მერე რიყეზე გავიდა ცეკვით
და გააღვიძა მძინარე ქვიშა,
აჩხრიალა მძინარე ქვიშა
და აისროლა ბზრიალა ქარში,
მერე კი ქარი სამუშაოდ იქცა
და აიხვეტა ვრცელი კალთებით

ქვიშა და სილა და მოეფინა
გიტჩი-გიუმის გარინდულ ნაპირს.

ასე ცეკვავდა პო-პაკ-კივისი,
ასე ცეკვავდა მათხოვრის ცეკვას,
მერე დაღლილი და გაოფლილი
ისევ მიუჯდა სუფრას სიცილით.
ამაყად იჯდა და იცინოდა
და იგრილებდა შუბლს მარათი.

მერე მოიხმეს ჩიბიაბოსი,
უპირველესი მგოსანთა შორის,
ჰაიავათას ერთგულ მეგობარს
სტუმრებმა ერთ ხანს მიმართეს თხოვნით:
„ო, ჩიბიაბოს, გვიმღერე რამე,
ერთგულებაზე და სიყვარულზე,
რომ უფრო კარგად ვიმხიარულოთ
და უფრო ტკბილი იყოს ნადიმი.“

და გულკეთილი ჩიბიაბოსიც
უცებ ამღერდა ნაზად და ტკბილად.
იგი მღეროდა იდუმალ ვნებით
ერთგულებაზე და სიყვარულზე.
იგი მღეროდა და უყურებდა
ჰაიავათას და მინეჰაჰას,
და ასე ყლერდა მისი სიმღერა:

„ონეუეი! გეყოფა ძილი!
შინდერის ყვავილო, გეყოფა ძილი,
პრერიის ჩიტო, გეყოფა ძილი,
შემომანათე ნუკრის თვალები,
მოლივით რბილი და დანამული.

შემომანათე შენი თვალები
და მე ვიქნები კვლავ ბედნიერი,
როგორც პრერიის ჩუმი სოსანი,
როგორც სოსანი ცვარნაპკურევი.

საამურია შენი ჩურჩული,
როგორც სურნელი ველურ ყვავილის,
დილის ბურუსში თუ მწუხრის ბინდში,
როდესაც ხეებს ცვივა ფოთოლი.

შენკენ მოიწევს და შენკენ ილტვის
ჩემი არსება და ჩემი სისხლი,
როგორც ილტვიან სინათლისაკენ
ნაზი კვირტები აპრილის თვეში.

ონეუეი! გული სავსეა
შენი სინათლით და შენზე მღერის,
ასე მღერიან მწვანე რტოები,
როცა ბალახში იელვებს მარწყვი.

შენ თუ მოიწყენ, მეც ვიჩრდილები,
მეც ვიჩრდილები და ვიღუშები,

როგორც მდინარე, რომელსაც თავზე
გადაუვლიან ხოლმე ღრუბლები.

მაგრამ როდესაც შენ ილიმები,
მეც ვილიმები და მეც ვნათლები,
ვით ამომავალ მნათობის შუქზე
ნათლება ხოლმე მდინარის ჭავლი.

ღიმილი მოსავს ცასა და მიწას,
ტყესა და მინდორს, მთას და მდინარეს,
მე კი ღიმილი არ შემიძლია,
როდესაც შორს ხარ და მენატრები.

ო, ჩემო სისხლო, გეყოფა ძილი,
შემომანათე ნუკრის თვალები,
ონეუეი! ძვირფასო სატრფოვ,
ონეუეი, ონეუეი!“

ასე მღეროდა ჩიბიაბოსი
ერთგულებაზე და სიყვარულზე,
მაგრამ იაგუ, დიდი ტრაბახა
და ათასნაირ ამბების მცოდნე,
შურით უცქერდა ლამაზ მომღერალს,
თუმცა ხედავდა, რომ მოუთმენლად
მისჩერებოდა ამდენი ხალხი.

ტრაბახა იყო ჩვენი იაგუ
და რასაც იგი ჰყვებოდა ხოლმე,

ჰყვებოდა, როგორც თავებადასავალს,
ტყუილს ჰყვებოდა სიმართლესავით.
და თუ იაგუს ყურს დაუგდებდით
და თუ მის ნათქვამს დაიჭერებდით,
არავინ იყო იაგუსთანა
არც მონადირე, — არც მოისარი.
ყველაზე უკეთ ის თევზაობდა,
ყველაზე უკეთ ცურავდა იგი,
ყველაზე უკეთ ყვინთავდა იგი,
ყველაზე უკეთ დარბოდა იგი, —
ასეთი იყო ჩვენი იაგუ,
თუკი მის ნათქვამს დაუჭერებდით.


მისი სახელი ანდაზად იქცა,
ხუმრობასავით გავრცელდა ხალხში
და როცა ვინმე, ნაცნობებს შორის
დაიკვებინდა რამეს შემთხვევით,
შემოსძახებდნენ ერთხმად ყველანი:
„აგერ, იაგუ მოსულა ჩვენი.“

მან თავის ხელით გამოუთალა
ჰაიავათას ცაცხვის აკვანი,
მანვე ჩააკრა იგი აკვანში,
მაგრად ჩააკრა ირმის თასმებით.
მანვე ასწავლა მშვილდის მოზიდვა,
ასწავლა ირმის ტყორცნა მიზანში.
ახლა კი ჩუმად იჯდა იაგუ
ახმაურებულ მეზობლებს შორის,

მრავალ უცნაურ ამბების მცოდნე,
დაბერებული და დაღრეჯილი.

ხალხი კი სთხოვდა: „ო, ჩვენო კარგო,
ჩვენო იაგუ, გვიამბე რამე,
შიშისმომგვრელი და უცნაური,
რომ უფრო დიდხანს ვიმხიარულოთ
და კმაყოფილნი დავრჩეთ ყველანი.“
არ სჭირდებოდა იაგუს ხვეწნა
და პა'უხობდა სტუმრებს ღიმილით:
„რახან ასეა, მე თქვენ გიამბობთ
მწუხრის ვარსკვლავის ჯადოსან შვილზე,
საოცარია მისი ამბავი.“





მწუხრის ვარსკვლავის შვილი

მს ჩამავალი მზის სხივებია
ათრთოლებული წყლის ზედაპირზე,
ანდა გედია, წითელი გედი,
მკერდგანგმირული გრძნეული ისრით
და მისი სისხლი აწითლებს ტალღებს
და ჰაერს ავსებს სიელვარეთი,
სისხლიან ფრთების სიელვარეთი.

ღიახ, ეს მზეა, სალამოს მზეა,
რომელიც ნელა ეშვება წყალში,
რომელიც ზეცას ვარდისფრად ღებავს

და მერე ნელა ეშვება წყალში.
იგი მიცურავს წყალზე გედივით,
მეწამულ ცისკენ ფრთებაპყრობილი
და მერე ნელა ეშვება წყალში.

ხოლო მის ზემოთ მწუხრის ვარსკვლავი
დნება, ციმციმებს და კვლავ ციმციმებს,
როგორც ვამბუმის ძვირფასი მძივი
უზუნაესის დიდებულ მკერდზე.

ამას უცქერდა ჩვენი იაგუ
მერე წამოდგა და თქვა: „შეხედეთ!
მწუხრის ვარსკვლავი აენტო უკვე,
კარგად შეხედეთ და მოისმინეთ,
რასაც ვიამბობთ მე-ოსგოზე,
მწუხრის ვარსკვლავის ჯადოსან შვილზე.“

დიდი ხნის წინათ, დიდი ხნის წინათ,
ჩვენთვის უხსოვარ და უცნობ დროში,
როცა ღმერთები უფრო კეთილნი
და ახლობელნი იყვნენ კაცისთვის,
ცივ ჩრდილოეთში ერთ მონადირეს
ყინულზე ედგა პატარა ქოხი
და იქ ცხოვრობდა ნანადირევით
თავის მშვენიერ შვილებთან ერთად.
მას ჰყავდა ათი ნაზი ასული,

ათივე ნორჩი და მშვენიერი,
ათივე ქორთა და საამური,
დაჩიტებული და დასაფრენი,
ხოლო ყველაზე უმცროსს და ლამაზს
და მეოცნებებს ერქვა ოვინი.

მალე გათხოვდნენ ოვინის დები,
გაპყვნენ ბრძოლებში განთქმულ მეომრებს.
მხოლოდ ოვინი არ თხოვდებოდა
და იშორებდა ყველას დაცივნით.
თუმცა მრავალი ჰყავდა მთხოვნელი
ბოლოს ოსეოს მისთხოვდა მაინც,
ბებერს და უშნოს, დამკჷნარს და ჩიას,
კბილებჩაცვენილს და წელში მოხრილს.

მაგრამ საბრალო ოსეოს სული
იყო დიადი და მშვენიერი,
ის იყო მწუხრის ვარსკვლავის შვილი,
ის იყო ქალის ვარსკვლავის შვილი,
ის იყო ვნების ვარსკვლავის შვილი
და მისი სულიც ცეცხლივით ენთო
და ანათებდა, როგორც ვარსკვლავი.

მასხრად იგდებდნენ ოვინს ყველანი,
ოდესღაც მისი მოტრფიალენი,
ახალგაზრდები, მედიდურები,
მოხატულები და მორთულები.

მაგრამ ოვინი სულ არ ბრაზობდა
და პასუხობდა დამშვიდებული:
„თქვენ არაფერი არა ხართ ჩემთვის,
თქვენს სილამაზეს და მორთულობას
არაფრის ფასი არა აქვს ჩემთვის,
მე ბედნიერი ვარ ოსეოსთან
და არცკი მესმის თქვენი ხითხითი.“

ერთხელ ოვინი და მისი დები
ნადიმზე იყვნენ მიწვეულები
და ქმრებთან ერთად სალამოს ბინდში
მისაუბრობდნენ ოვინის დები,
ხოლო ოვინი და მისი ქმარი
არ ერეოდნენ ტკბილ საუბარში
და მიდიოდნენ ყველაზე უკან
ჩვეულებრივად მოწყენილები.

ცას უყურებდა ოსეო ჩუმად,
ცნსთვის მიეპყრო წყნარი თვალები,
და მოციმციმე მწუხრის ვარსკვლავი
ოსეოს თვალებს უვსებდა შუქით.
და გაიგონეს ოვინის დებმა
ბებერ ოსეოს ჩუმი ჩურჩული.

„გესმითო — შესძახეს დებმა სიცილით, —
გესმით, მამიკოს ეძახის იგი,
ნეტავი რამეს წამოჰკრას ფეხი
და მოიტეხოს ბნელში კისერი.“

ასე ხუმრობდნენ ოვინის დები
და ტყეს ავსებდნენ ურცხვი სიცილით.

ბილიკზე ეგდო ვეება მუხა,
ქარის მოთხრილი და მოგლეჯილი,
ტანდალეწილი და დაკორძილი
და სანახევროდ ხავსში ჩაფლული.
და რა იხილა იგი ოსეომ,
უცებ აღმოხდა სიმწრის კივილი
და დამპალ მუხის ბნელ ფულუროში
ძლივს შეათრია ბებერი ტანი.
ხოლო ფულუროს მეორე მხრიდან,
წელში მოღუნულ მოხუცის ნაცვლად,
ის გამოვიდა წელგამართული,
სიცოცხლით სავსე და მშვენიერი.

ასე გარდიქმნა ლამაზ ვაჟკაცად
ოსეო, მწუხრის ვარსკვლავის შვილი,
მაგრამ ოვინი, მისი ერთგული,
უკბილო ბებრად იქცა, საწყალი.
და რაკი დებმა ნაზი ოვინი
ნახეს სიბერის კუზით მოხრილი,
კვლავ აწრიალდა მათი სიცილით
ტყე, ჩათვლემილი და გარინდული.

მაგრამ ოსეომ საბრალო ოვინს,
სიბერით მოხრილ და უშნო ოვინს,

ხმელ ფოთოლივით დამჟკნარს და დაღლილს,
ნაზად ჩაჰკიდა ძლიერი ხელი
და შეიყვანა მასპინძლის ქოხში
და სიყვარულით მოისვა გვერდით.

გაოგნებული იჯდა ოსეო,
გაოგნებული და მონუსხული.
სამაგიეროდ მღეროდნენ სხვები,
მოხიბლულები მდიდრული სუფრით.
პირს არ ადებდა ოსეო საჭმელს,
ხმას არ იღებდა იგი სრულებით,
არც სხვებს უსმენდა და იჯდა ასე
გაოგნებული და მონუსხული.
და ხან საბრალო ოვინს უცქერდა,
ხან კი ცისაკენ ეჭირა თვალი.

და უცებ ნათელ ვარსკვლავებიდან
მან გაიგონა მშვიდი ჩურჩული,
აცახცახებულ ვარსკვლავებიდან
უცებ მოესმა ხმა სანატრელი.
„ოსეო, ჩემო ძვირფასო შვილო,
უკვე დამარცხდა შენი ეშმაკი,
დაიმსხვრა ყველა ჯადო გრძნეულთა
შენი მტანჯველი და შემბორკავი.
ოსეო, ჩემო ძვირფასო შვილო,
ჩემთან ამოდი, ჩემთან ამოდი.

- ნუ ზიხარ ასე, შეჭამე რამე,
შელოცვილია შენი საჭმელი,
შეჭამე რამე და შენც მაშინვე
სულად იქცევი, გამსუბუქდები.
ვერცხლად იქცევა თიხის ჭურჭელი
და გაბრწყინდება ნიჟარასავით,
ალაპლაპდება ცეცხლის ალივით.
მერე ოვინის ლამაზი დები,
ლამაზი დები და სიძეები
გადიქცევიან ფერად ჩიტებად,
მოირთვებიან ჭრელი ბუმბულით.“

სხვებისთვის მხოლოდ მუსიკა იყო,
ის რაც ოსეოს ესმოდა ციდან,
სხვებისთვის მხოლოდ მუსიკა იყო,
თითქოს ჩიტები გალობდნენ ცაში,
თითქოს გალობდა ბოლოკარკაზი
და ქოხის ირგვლივ გარინდულ ტყიდან
თითქოს გალობა ისმოდა მისი.

მაგრამ უეცრად შეინძრა ქოხი,
უცებ შეინძრა და აცახცახდა
და ყველამ იგრძნო, რომ ქოხთან ერთად
იწევდნენ ზევით, ზევით და ზევით.
როდესაც ასცდნენ ტყის კენწეროებს,
ვერცხლად გადიქცა თიხის ჭურჭელი
და ვერცხლად იქცა ქოხის სვეტებიც

და აპრიალდა ხოჭოს ფრთებივით
ქოხის კედელი თუ სახურავი.

მერე ოსეომ მოავლო თვალი
აბარბაცებულ ქოხსა და სუფრას
და დაინახა ოვინი^ა დები;
ოვინის დები და სიძეები
ფერად ჩიტებად გარდაქმნილები.
ზოგი კაჭკაჭის და ზოგიც შაშვის
და ზოგიც ჩხიკვის კაბით მორთული.
იფოფრებოდნენ ისინი მაინც
და მაგიდაზე დახტოდნენ მშვიდად,
თავს იწონებდნენ ჭრელი ბუმბულით
და კულებს შლიდნენ მარაოსავით.

მხოლოდ ოვინი ისევე იჯდა
და სხვებს უცქერდა დამწუხრებული,
მხოლოდ ოვინი არ შეცვლილიყო
და მობუზული იჯდა თავისთვის.
მაშინ ოსეომ ახედა ზეცას,
ზეცას მიაპყრო ისევ თვალები
და დაიკვნესა სწორედ ისევე,
როგორც მუხასთან, დაბურულ ტყეში.

და დაუბრუნდა ოვინს მაშინვე
ახალგაზრდობაც და სილამაზეც.
ანაზღად მისი ძველი სამოსი

ყარყუმის ძვირფას სამოსად იქცა
და ახლა, ხმელი ჯოხის მაგივრად,
ვერცხლის მარაო ეჭირა ხელში.

კვლავ აზანზარდნენ ქოხის კედლები
და ქოხიც მთელი ძალით ეკვეთა
მწუხრის ბურუსში ჩაწოლილ დრუბლებს
და ბოლოს მწუხრის ვარსკვლავს მიადგა.

ვარსკვლავზე დახვდათ ოსეოს მამა,
თმაშევერცხლილი და მოლიმარი,
მან სიხარულით მიაპყრო სტუმრებს
წყნარი თვალები და თქვა: „მობრძანდით!
ოსეო, ჩემო ძვირფასო შვილო,
კართან დაკიდე შენი გალია,
კართან დაკიდე ვერცხლის გალია,
გალია, სავსე ჭრელი ჩიტებით.“
და ჩამოკიდა ოსეომ კართან
ვერცხლის გალიად ქცეული ქოხი,
მერე მობრუნდა და გაიხარა
მშობლის საუბრით და სიახლოვით.

მამამ კი უთხრა: „ჩემო ოსეო,
შე დაგიბრუნე ახალგაზრდობა,
მევე ვაქციე ფერად ჩიტებად
ოვინის დები და სიძეები,
რადგან ისინი მასხრად გიგდებდნენ,

ბებერს და უშნოს გხედავდნენ როცა,
და ვერ ხვდებოდნენ, რომ შენს სხეულში
გული ფეთქავდა ახალგაზრდული
მხოლოდ ოვინი ხვდებოდა ამას,
მხოლოდ ოვინის კეთილმა გულმა
დაგიმეგობრა და შეგიყვარა.

ხოლო იმ ქოხში, შორს რომ ციმციმებს,
ბნელში ხანდახან რომ გამოკრთება,
იქ უებინო ცხოვრობს გრძნეული,
შენც უებინომ გაქცია საპყრად.
ახლა კი მეტი სიფრთხილე გმართებს.
მეტი სიფრთხილე გმართებს დღეიდან:
თვალი ადევნე და მოერიდე
სხივებს, გამომკრთალს იმ ვარსკვლავიდან.
მათ უებინო ისრებად ხმარობს
და მათში აქსოვს ჯადოსნურ ძალას.“

და ამის მერე მწუხრის ვარსკვლავზე
დიდხანს ცხოვრობდა ოსეო მშვიდად,
დიდხანს ეკიდა ვერცხლის გალიაც,
დიდხანს ეკიდა ქოხის კარებთან,
ხოლო ოვინმა კეთილ ოსეოს
თვალმშვენიერი ვაჟი აჩუქა.
ვაჟს კი გამოყვა დედის სინაზე,
მამის ძალ-ღონე და მამაცობა.

ის იზრდებოდა და მშვენივრდებოდა
და მისი გულის გასახარებლად
ოსეო თლიდა მშვილდსა და ისარს
და ასწავლიდა მიზანში სროლას.
მერე გააღო გალიის კარი
გააღო კარი და გამოუშვა
ვაჟის ბიძები და დეიდები,
თავის ნებაზე მიუშვა ყველა,
რომ ასე უკეთ გაწაფულიყო
ისრის ტყორცნაში მისი პატარა.

ცას მიაშურეს ჩიტებმა მყისვე,
ფრთების ფრთხილით აავსეს ზეცა,
თავისუფლების და სიხარულის
ტკბილი გალობით აავსეს ზეცა.
ვიდრე არ სტყორცნა პატარა ბიჭმა
საბედისწერო ისარი ჩიტებს
და ვიდრე ისრით გულგანგმირული
ფერადი ჩიტი ძირს არ დაეცა.
მაგრამ როგორც კი დაეცა იგი
აკიჟინებულ ბავშვის ფეხებთან,
მშვენიერ ქალად იქცა მაშინვე,
ისრით განგმირულ მშვენიერ ქალად.

და როცა მიწას შეეხო სისხლი,
ჯადო დაიმსხვრა და გაბათილდა
და მონადირეც, გაოცებული,

მთელი სისწრაფით დაეშვა დაბლა.
ბოლოს კი მწვანე კუნძულზე დაჯდა,
მწვანე კუნძულზე აღმოჩნდა იგი
და დაბნეული ცას მიაჩერდა.

მერე შენიშნა, რომ მის გარშემო
ჭრელი ჩიტებიც ცვიოდნენ ნელა,
როგორც ნისლიან შემოდგომაზე
ცვივა ფოთოლი, ნელა და ნელა.
და ქოხიც ვერცხლის მძიმე სვეტებით
უკვე ღრუბლების ქვემოთ ბრწყინავდა,
მზეზე ბრწყინავდა ხოჭოს ფრთებივით
და მთელი ძალით თავქვე მოქროდა.
ქოხში კი მშვიდად იჯდა ოსეო
თავის საყვარელ ოვინთან ერთად.

მერე ჩიტები, ჭრელი ჩიტები,
მწვანე კუნძულზე დასხდნენ თამამად,
თამამად დასხდნენ და ისევ იქცნენ
ოვინის დებად და სიძეებად.
ისინი იქცნენ ქონდრის კაცებად,
ქონდრის კაცებად — პაკ-უჭიებად.
და ყოველ დამე, როდესაც ცაზე
მწუხრის ვარსკვლავი ამობრწყინდება,
ყველანი ერთად იწყებენ ცეკვას,
მწვანე კუნძულის კლდოვან ნაპირზე
ხელჩაკიდულნი იწყებენ როკვას.

და ახლაც მოჩანს მათი ვიგვამი,
განათებული და მოკაშკაშე,
და მეზადური თავის ნავიდან
ყოველ საღამოს უყურებს ხოლმე,
როგორ ცეკვავენ ვარსკვლავის შუქზე,
როგორ მღერიან ყველანი ერთად.“

და როცა ამბავს მორჩა იაგუ,
თვალი მოავლო მსმენელებს ფრთხილად,
გაოცებულებს უცნაურ ამბით,
და განაცხადა ბოლოს ზვიადად:

„ქვეყნად ბევრია დიდბუნოვანი
და დიდებული ადამიანი,
მაგრამ ვერაფრით ვერ ჩასწვდომია
მათ სიდიადეს უბრალო ხალხი.
ვერ ჩასწვდომია და მაახრად იგდებს,
რომ უვიცობა დაფაროს ამით.
ახლა კი ბევრმა გაიგო, ალბათ,
როგორ ისჯება ხოლმე უგნური.
ვინც მოუსმინა ოსეოს ამბავს,
ეს გაკვეთილი იქნება მისთვის.“

კარგ ხასიათზე დადგნენ ყველანი,
იაგუს ამბით მოხიზლულები.
დააჯილდოეს იაგუ ტაშით
და აღტაცების შეძახილებით.

მერე ამღერდა ჩიბიაბოსი,
ისევ ამღერდა ტკბილი მგოსანი,
ერთგულებაზე და სიყვარულზე,
გულში ჩამწვდომი ხმით და სინაზით.
იგი მღეროდა, თუ როგორ წუხდა
თავის მიჯნურზე ნაზი ქალწული:

„როცა შორსაა ჩემი მიჯნური,
გულიც მძიმდება მაშინ ლოდივით.
სადა ხარ, ჩემო ტკბილო მიჯნურო,
სადა ხარ, ჩემო ტკბილო ალგონქინი
მან ჩამომკიდა ყელზე მძივები
და ჩამჩურჩულა ყურში ცახცახით.
სადა ხარ, ჩემო ტკბილო მიჯნურო,
სადა ხარ, ჩემო ტკბილო ალგონქინ!
შენთან ვიქნები ყველგან, ყოველთვის,
ასე დამპირდა ჩემი მიჯნური, —
მეც წამოგყვები შენს სამშობლოში,
მომეცი ნება შენთან სიკვდილის.
მე მას ვუთხარი, თუმცა არ მახსოვს,
როგორ ვუთხარი, ან რა ვუთხარი.
ჩემი სამშობლო შორზე შორსაა,
შორზე შორია, ჩემო ალგონქინ!
მე მას ვუცქერდი დამწუხრებული,
უკან მრჩებოდა, საწყაალს, თვალები.
ისიც შეჩერდა და მიყურებდა.
ვაი, სადა ხარ, ჩემო ალგონქინ!

ის იდგა ხესთან, უფსკრულის პირას,
გაფითრებული და მოწყენილი,
ხე წაეჭვია ქარსა და წვიმას.
ო, ჩემო ტკბილო, ჩემო ალგონქინ!
როცა შორსაა ჩემი მიჯნური,
გულიც მძიმდება მაშინ ლოდივით.
სადა ხარ, ჩემო ტკბილო მიჯნურო,
სადა ხარ, ჩემო ტკბილო ალგონქინ!“

ასე დამთავრდა დიდი ქორწილი
და კმაყოფილნი დარჩნენ ყველანი.
ასე ცეკვაოდა პო-პაკ-კივისი,
თვალმშენიერი იენადიზი.
ასე მღეროდა ჩიბიაბოსი,
უპირველესი მგოსანთა შორის,
ასე ჰყვებოდა ამბავს იაგუც,
მცოდნე ათასგვარ საოცარ ამბის.
და დაიშალნენ სტუმრები გვიან,
მოხიბლულები მდიდრულ ნადიმით,
და მასპინძელი მარტო დატოვეს
თავის მშენიერ მინეჰაჰასთან.





ქანების ლოცვა-კურთხევა



აივათაზე ვიმღეროთ ყველამ,
მან გაამდიდრა ქვეყანა ჩვენი,
მან გაგვიწმინდა მდინარეები
და მოგვაშორა ავი სულეები.
მან დაამკვიდრა მზე და მშვიდობა
ოჯიბუების ტკბილ ქვეყანაში
და მონდამინის გრძნეული ძალაც
მან მოიპოვა ხალხისთვის ტანჯვით.

დამარხულია შიძმე ნაჯახი,
ხმელი კომბალიც და მშვილდ-ისარიც,

გადავიწყა ხალხმა ყიენა,
ყიენა ბრძოლის ეინის აღმძვრელი.
და ქვეყნად ახლა მშვიდობა მეფობს
და მარტოხელა მონადირენიც
უკვე უშიშრად დადიან ტყეში.
აგებენ არყის ლამაზ ჩიმონებს
და დაოკებულ მდინარეებში
ბადეს ივსებენ გემრიელ თევზით.
მშვიდად შრომობენ უკვე ქალებიც,
მშვიდად შრომობენ ნეკერჩხლის ტყეში,
ბრინჯის ყანებში და ვენახებში.

და დამშვიდებულ სოფლების ირგვლივ
ლაღად შრიალებს მწვანე სიმინდი,
ლაღად შრიალებს თმა მონდამინის,
ლაღად შრიალებს რბილი და ნაზი.
ყოველთვის, როცა დამზრალი მიწა
იშორებს ხოლმე თოვლის საფარველს,
მინდვრებს ავსებენ სიმინდის თესლით
ხალისიანი სოფლის ქალები.
ხოლო ნისლიან შემოდგომაზე
შეესევინა ყანებს სიმღერით,
შეესევინა და ტაროები
შინისკენ მიაქვთ კაბის კალთებით.

ერთხელ, როდესაც უკვე ღხვებოდა
გამთბარ ხნულებში სიმინდის თესლი,

ჩვენმა ჭკვიანმა ჰაიავათამ
თავისთან იხმო „მცინარე წყალი“
და უთხრა ასე: „უნდა დალოცო,
უნდა აკურთხო ამლამ ყანები,
უნდა მოავლო გრძნეული რკალი,
რომ ყველაფრისგან დაიცვა იგი,
რომ სიმიდს მწერიც ვერ მიეკაროს
და ვერც თხუნელას მსუნაგი ცხვირი.

და ღამით, როცა ბნელდება ირგვლივ,
როცა ჩუმდება ირგვლივ ყოველი
და ძილის სული, ნეპაუენი
ჩადგება ხოლმე ქოხის კარებში,
ისე ჩადგება, რომ მთელი ღამე
ვერაფერს ველარ გაიგებს ყური,
ვერაფერს ველარ იხილავს თვალი, —
შენც, ჩემო კარგო, მაშინ აღექი
და გადი გარეთ, სულმთლად შიშველი.
ტანს გიფარავდეს მხოლოდ ნაწნავი,
მხოლოდ ნაწნავი, მძიმე და გრილი.
შემოუარე ყანებს გარშემო,
მარტო იარე ყანების ირგვლივ
და შენი კვალი ყანების ირგვლივ
ჯადოსნურ რკალად იქცევა უცებ
და ყანებამდე ველარ მიაღწევს
ვერც ჭიალუა, ვერც კუო-ნი-ში,
ვერც კუო-ნი-ში, ჭრიჭინობელა
და ვერც მუხლუხო, ძლევაძოსილი.“

ხის კენწეროზე, ყანების ახლოს,
იჭდა მშვიერი ყვავების ჭარი,
იჭდა კაგაგი, ყორანთა მეფე,
გარშემორტყმული ყაჩაღთა რაზმით.
და დასცინოდნენ ჰაიავათას
ხის კენწეროზე მახდარი ყვავები:
„გესმით? — რას ამბობს, ჭკუის კოლოფი,
თურმე რა ფიქრი სდებია გულში.“
ასე ამბობდნენ შავი ყვავები
და ცას სწვდებოდა მათი სიცილი.

მაგრამ, როდესაც სიმინდის ყანებს
დააწვა ღამე მთელი სიმძიმით
და კვლავ ამღერდა ბოლოკარკაზი
მუქი ჩრდილებით მოფენილ ტყეში
და ძილის სული ნებაუენი
ჩუმად მოადგა ვიგვამის კარებს,
სწრაფად წამოდგა „მცინარე წყალი“,
შემოიძარცვა წამსვე სამოსი.
და შემოსილი ღამის წყვდიადით,
დარწმუნებული და უშიშარი,
დაადგა ბილიკს ყანების ირგვლივ
და შემოავლო გატრუნულ ყანებს
გრძნეული რკალი ნაფეხურების.

იმ თბილი ღამის წყვდიადის გარდა
არვის უხილავს მისი სხეული,

არ გაუგია ქვეყნად არავის
მისი ლამაზი მკერდის ბუბუნი.
და მხოლოდ თბილი ღამის წყვდიაღი
მჭიდროდ მოსავდა წმინდა მანტიით,
და ქვეყნად კაცი არ არსებობდა
მნახველი მისი მშვენიერების.

ხოლო, როგორც კი ინათა ოღნავ,
ყორანთა შავმა მეფემ კაგაგიმ
მაშინვე უხმო თავის ყაჩაღებს,
მაშინვე იქვე გაჩნდნენ ისინიც.
ყორნებს ფეხდაფეხ მოჰყვნენ ყვავები,
ყვავებს — შაშვები, შაშვებს — ჩხიკვები
და მონღამინის სამარისაკენ
სწრაფად დაეშვნენ ფრთების დგაფუნით.

„უნდა მოვთხაროთ ჩვენ მონღამინი, —
ჰე მღეროდა შავი ლაშქარი, —
ვერ შეგვაჩიერებს გრძნეული რკალი,
ჩვენთვის არაფერს არ ნიშნავს იგი,
არც მინეჰაჰას ნაფეხურები,
შემოვლებული ყანების ირგვლივ.“

მაგრამ ჭკვიანმა ჰაიავათამ
ღროზე გაიგო მათი სიცილი,
როცა ისინი იჭაჭებოდნენ
კენწეროებზე დაკუბებულნი.

და თქვა: „კეთილი, ჩემო ყვავებო,
დიდხანს გიცოცხლოთ ღმერთმა კაგაგი,
მე კი გასწავლით ისეთ გაკვეთილს,
რომ მადლობელნი იქნებით ჩემი.“

ის ჩუმად ადგა, ვიდრე რიჟრაჟი
ამოცდებოდა გარინდულ ტყეებს
და სიმინდებზე დიდი სიფრთხილით
გადაათარა მან ბადეები.
თვითონ კი ჩაჭდა ფიჭვების უკან,
მყისვე მონახა მყუდრო საფარი
და დაელოდა ყაჩაღთა ლაშქარს,
სეირის ხილვას მონატრებული.

მალე გამოჩნდა შავი ლაშქარიც,
მალე აიკლო სივრცე ყრანტალით
და მოეფინა სიმინდის ყანას
ბასრი ბრჭყალებით და ნისკარტებით.
მაგრამ ბადეში აღმოჩნდა უცებ
ავი კაგაგის მთელი ლაშქარი
და აფართხალდა გამწარებული
ჰაიავათას ასმენაკებში.

მაშინ წამოდგა ჰაიავათა,
ფეხზე წამოდგა განრისხებული
და წამოვიდა ისეთი სახით,
რომ შეკრთებოდა უმამაცესიც.

ის დაერია ყაჩაღთა ლაშქარს,
თავებს აგლეჯდა დაუნდობელი,
ხოლო სხეულებს ხეზე კიდებდა,
ვით გაფრთხილების ნიშანს სხვეებისთვის.

მხოლოდ ყორანთა მეფე დაინდო,
მხოლოდ ყორანთა მეფე კაგაგი
თან წაიყვანა, როგორც მძევალი,
თან წაიყვანა ფეხგაკოჭილი.
და მერე ქოხის თავზე დააბა,
ფრთაგაჩეჩილი და მოღუშული.
და უთხრა ასე: „ჩემო კაგაგი,
როგორც ყორანთა უფროსს და მეფეს
და როგორც ყველა საქმის მოთავეს,
შეგინარჩუნებ სიცოცხლეს მაინც
და დაგიტოვებ ჩემს ქოხში მძევლად,
რომ შენმა მოდგმამ ასეთი რამე
აღარ გაბედოს აღარასოდეს.“
და აფართხალდა შავი კაგაგი,
ფრთაგაჩეჩილი და მოღუშული,
ააფართხალა ვეება ფრთები,
თოკს ჩააფრინდა ბასრი ბრჭყალებით.
მაგრამ ამოდ იბრძოდა იგი,
ხეზე ეკიდა მისი ლაშქარი.
განვლო ზაფხულმა და ერთხელ კიდევ
ამოისუნთქა შაუონდასიმ
და ერთხელ კიდევ გამოუგზავნა


ტყეებს და მინდვრებს ცხელი ამბორი.
და გაიზარდა სიმინდის ყანა,
წამოიშალა მთელი სიმაღლით,
აშრილა მწვანე სამოსი,
მზეზე გაფინა ოქროს ქოჩორი.
და ტარობმაც თეთრი კბილებით
გამოარღვიეს უცებ ჯავშანი.

და ნაკომისმა მოიხმო რძალი,
მოიხმო რძალი და უთხრა ასე:
„ხედავ, მოვიდა თვე ფოთოლთცვენის,
უკვე მწიფეა მინდორში ბრინჯი.
უკვე მწიფეა ჩვენი სიმინდიც
და შევეჭიდოთ, მოდი, მონდამინს,
შემოვახიოთ მწვანე ფუჩეჩი
და გავუჩეჩოთ ოქროს ქოჩორი.“

და გამოვიდა „მცინარე წყალი“,
ყანისკენ წაჰყვა მოხუც ნაკომისს.
მერე მოუხმეს მეზობელ ქალებს,
გამოეთინენ მალე ქალებიც,
გამოეთინენ გოგო-ბიჭებიც
და შეესიენ ყანებს სიმღერით.
ხოლო ფიჭვნარის საამო ჩრდილში
წყნარად მოეწყვენენ ბერიკაცები,
ბერიკაცები და მეომრები,
გახვეულები თუთუნის ბოლში.
ისინი ისხდნენ და უყურებდნენ
მხიარულ შრომას გოგო-ბიჭების

და უხაროდათ მათი სიცილი,
მათი სიმღერა და ღრიანცელი.
და თუ ნახავდა პატარა გოგო
სისხლივით წითელ ტაროს, შემთხვევით,
აყვირდებოდნენ დანარჩენები:
„შენ გეყოლება ლამაზი ქმარი!“
„ღიახ, ასეა!“ — ეთანხმებოდნენ
მათ მოხუცები და მეომრები.
და თუ ნახავდა პატარა ბიჭი
წელში მოღუნულ ტაროს, შემთხვევით,
აირეოდნენ ერთად ყველანი,
მოედებოდნენ ყანას კოჭლობით
და თან ყვიროდნენ: „დაიჭით ჩქარა,
ჩქარა დაიჭით სიმინდის ქურდი!“
და სანამ შვეებით ავსებდა ყანებს
მათი სიცილი და ჟრიამული,
სანამ კაგაგი სახურავიდან
მწარედ კიოდა განრისხებული
და მისი ლაშქრის საბრალო ნაშთი
გამწარებული ჩხაოდა ტყეში,
თანხმობის ნიშნად თავებს იქნევდნენ
ბერიკაცები და მეომრები.





ღამფარლობა

„**ს**

ედავთ, რა უცებ ქრება ყოველი,
როგორ უკვალოდ ქრება ყოველი.
არც მოხუცების ხსოვნაში რჩება
ძველი ამბები და თქმულებები.
უკვალოდ ქრება მიდების სიბრძნე,
უკვალოდ ქრება მისანთა ღვაწლიც.

უკვალოდ ქრება ხსოვნიდან გმირი,
უკვალოდ ქრება ბრძნული სიტყვებიც
და ხალხს, რომელიც ჩვენს მერე მოვა
აღარ დახვდება აღარაფერი,
რადგან უკვალოდ ქრება ჰაერში
საქმეც და სიტყვაც მისი წინაპრია.

ვის ეკუთვნიან ეს საფლავეები,
არც ერთს არ ადევს გვარის ნიშანი,

არც ერთს არ ადევს ტომის ნიშანი,
მხოლოდ და მხოლოდ პირქუში ქვეები.
და არც ჩვენ ვიცით ჩვენი პაპების
არც ასავალი, არც დასავალი.
თუ მეგობარი შორსაა ჩვენგან
ველარ მივაწვდით სიტყვას ვერაფრით,
არ შეგვიძლია, რომ საიდუმლოდ
გავანდოთ ვინმეს გულისნადები,
ხომ შეიძლება, გაგთქვას შიკრიკმა,
ანდა შეცვალოს დანაბარები.“

ასე ფიქრობდა ჰაიავათა
და მიდიოდა დაბურულ ტყეში,
შეწუხებული თავისი ხალხის
უხუსურობით და უვიცობით.
მერე ჩამოჯდა და ამოაწყო
ტყავის ჩანთიდან საღებავები
და ათასნაირ ზომის ნიშნებით
აავსო არყის ქათქათა ქერქი.
და თავისთავად ყველა ნიშანი
იყო რაღაცის გამომხატველი.

მან ჯერ ლამაზი კვერცხი დახატა,
გიტჩი-მანიტო აღნიშნა კვერცხით,
და ეს ნიშნავდა, რომ დიდი სული
არსებობს ყველგან და ყველაფერში.
მერე დახატა ქერქზე წრეები

სიკვდილ-სიცოცხლის გამომხატველი,
სიცოცხლე თეთრი ფერით დახატა,
ზოლო სიკვდილი მუქი ფერებით.
მერე დახატა მზე და სხივები,
დახატა მთვარე და ვარსკვლავები,
ტყე და მდინარე, კაცი და მხეცი,
ყველანაირი ქვეწარმავალი,
ყველანაირი თევზი და ჩიტი.

ზაზებით გაყო მიწა და ზეცა,
ფერებით გაყო დღე და წყევდიადი,
მარცხნივ აღნიშნა აღმოსავლეთი,
მარჯვნივ აღნიშნა მზის დასაუალი,
ზოლო ამინდის გამომხატველად
ცაზე გაავლო მრუდე ზაზები.
კვალნი ქოხისკენ — ნიშნავდა სტუმარს,
ანდა ზეიმზე მიპატიჟებას,
ზოლო ხელები, სისხლში მოსვრილი,
უბედურების იყო ნიშანი.

მერე კეთილმა ჰაიავათამ
თან წამოიღო არყის ქერქები
და გოცებულ ხალხს განუმარტა
თავის ნაფიქრი და ნახელავი.
და უთხრა ასე: „წადით და ყველამ
მოხატეთ თქვენი საფლავის ქვები,
დაადეთ თქვენი გვარის ნიშანი,

ტოტემი — თქვენი გვარის და ტომის:
დათვი ან თახვი, ანდა ირემი,
ან კუ ან წერო, რომელიც გინდათ,
ოღონდ მიწისკენ უყავით თავი,
რადგან მიწაში მარხია უკვე
ყველა ოჯახის მამამთავარი.“

და გაიწათნენ ხატვაში უცებ
ჯოსაკიდები და მიდიები,
ხატავდნენ ხეზე, ქვაზე და ტყავზე
ათასნაირი საღებავებით
და გადაჰქონდათ ქვაზე თუ ტყავზე
ძველი ამბები და სიმღერები.
აქ იყო ქვეყნის უმეჭმნელი სულიც
და კენაბიკიც, თავსისხლიანი,
მანათობლები ცისა და მიწის —
მზეცა და მთვარეც, წეროც და ქორიც-
და ჯადოსანი ფრინველი ჩვამაც,
და განგმირული გვამების ჯარიც,
საფლავის ქვებიც და მეომრებიც,
ცისა და მიწას ჩახვეულები.

ასე ხატავდნენ ბრძენი მისნები,
ექიმბაშები და ჯადოსნები,
ასე ხატავდნენ მქაზე სიმღერებს
მონადირეთა და მეომართა.
და, რა თქმა უნდა, არც სიყვარულის

მძლავრი სიმღერა არ დავიწყნიათ:
მკურნალი ყველა სნეულებათა,
სავსე სიამით და ხიფათებით.

ჯერ გამოხატეს კაცის სხეული,
შეყვარებული მგოსნის სხეული,
და ის ამბობდა: ღვთიური ძალა
მხოლოდ და მხოლოდ მე მაბარია.

შემდეგ დახატეს იგივე კაცი,
ოღონდ ჩამჯდარი ჯადოსნურ დოლთან,
და ის ამბობდა: მოდით, მისმინეთ,
ეს ჩემი გული გუგუნებს ახლა.

შემდეგ დახატეს იგივე კაცი,
ჩაფიქრებული კერიის პირას:
მე მოვალ შენთან, რადგან ჩემს ვნებას
ველარაფერი ვერ მოერევა.
ასეთი აზრი ჰქონდა ამ ნახატს,
ნახატი მნახველს ასე ესმოდა.

შემდეგ ეხატა კაცი და ქალი,
ორი სხეული ეხატა ერთად,
და ეს ნიშნავდა: აპა, გიხილე,
აპა, ვიგემე შენი ღაწვები.

შემდეგ ქალწული იჯდა კუნძულზე,
კუნძულზე მარტო იჯდა ქალწული.

ეს კი ნიშნავდა, რომ მძლავრი ცეცხლით და მძლავრი ვნებით აღგზნებულ გულეებს ვერ გათიშავდა ველარაფერი.

შემდეგ მძინარე ქალწულის გვერდით დაღონებული იჯდა მიჯნური და თავის სატრფოს ჩასჩურჩულებდა სიტყვებს, ყველაზე ნათელს და ლამაზს: „ძვირფასო, ახლა შორსა ხარ ჩემგან, მაგრამ მე მჯერა, რომ ძილშიც გესმის ჩემი ჩურჩული და გულის ცემა.“

და ასე, ყველა ნახატის გვერდით ეხატა გული, ჯადოსნურ წრეში, და ეს ნიშნავდა, რომ ყველა გული ღიაა დიდი სიყვარულისთვის.

ასე ასწავლა ხალხს დამწერლობა ჰაიავათამ, ხალხის ერთგულმა. და მხატვრობაში ხელგაწაფული, საფლავის ქვაზე, ხეზე თუ ტყავზე, ხატავდა ხალხი თავის ცხოვრებას.



ჰაიავათას გლოვა



რთხელ, შეგროვდნენ ავი სულეები,
ერთად შეგროვდნენ დაბურულ ტყეში,
აღწოფოთებულნი ჩიბიაბოსის
კეთილი გულით და სიწმინდითი.
ერთად შეგროვდნენ და დადეს ფიცი,
ფიცით შეიკრენ ავი სულეები,
რათა საყვარელ მეგობრებისთვის
რითიმე მაინც მოეკლათ გული.

თავის მეგობარს ჰაიავათა,
ჰაიავათა, ფრთხილი და ბრძენი,

ეუბნებოდა ყოველთვის შიშით:
„ძმაო, ნურასდროს ნუ მომშორდები,
ნუ მომშორდები, თორემ რაღაცას
გადაგკიდებენ ავი სულები.“
მაგრამ გულმშვიდი ჩიბიაბოსი,
სიცოცხლით სავსე და უდარდელი,
გადაიყრიდა კულულებს უკან
და პასუხობდა ძმობილს სიცილით:
„ჩემთან რა უნდა ქაჯსა და ეშმაკს,
ნუ გედარდება ძმაო, ნურაფრის.“

და ერთხელ, როცა თვითმა ზამთარმა
ყინვით დაფარა გიტჩი-გიუმი,
როცა ფიფქები თავქვე მოქროდნენ
და სისინებდნენ დამქკნარ ფოთლებში
და ქოხებს ჰგავდნენ თეთრი ფიქვები,
ჩამალულები თოვლში ყელამდი,
მხარზე მშვილდ-ისარგადაკიდული,
და თხილის სწრაფი თხილამურებით,
მიისწრაფოდა ტყისკენ ღიღინით
ჩვენი კეთილი ჩიბიაბოსი.

უცებ ყინულით დაფარულ ტბაზე
ტყიდან გამოხტა მხდალი ირემი
და დაედევნა ქორბუდა ირემს
გალაღებული ჩიბიაბოსი.
იგი მიქროდა სუსხიან ქარში
აღტყინებული და აღგზნებული.

მაგრამ ყინული არ იყო სანდო,
არ იყო სანდო თხელი ყინული,
ხოლო ყინულის ქვეშ ჩუმად ისხდნენ
ფიცით შეკრული ავი სულელები.
და ჩაუმტვრიეს ცხვირწინ ყინული
და ჩაითრიეს ფსკერზე ყიჟინით;
შეცბუნებული და დაბნეული
და ნირწამხდარი ჩიბიაბოსი.
მერე ანკტაჰიმ, წყალთა ღვთაებამ,
სილაში ჩაფლო მისი სხეული.

და უცებ ნაპირს მოსწყდა ღრიალი
თავზარდაცემულ ჰაიავათასი
და ველზე წამით შედგა ბიზონი
და პრერიებში აყმუვლდნენ მგლები.
ხოლო გარინდულ მთებსა და კლდეებს
მკერდზე შეასკდა ჰეჟა-ქუხილი.

შავი ჩაიცვა ჰაიავათამ
და შეიღება შავად ცხვირ-პირი,
მერე ვიგვამში პირქვე დაეცა
და უბედურმა მორთო ქვითინი:
„მკვდარია ჩემი ჩიბიაბოსი,
უკვე მკვდარია ტკბილი მგოსანი,
რა უცებ გაქრა მისი სიმღერა,
რა უცებ ჩაქრა მისი სანთელი,

რა უბედური ყოფილა თურმე
ჩემი საბრალო ჩიბიაბოსი.“

და მოწყენილი ნაძვის ხეები,
მეგობრის ტანჯვის მონაწილენი,
აქანავებდნენ ალისფერ გირჩებს,
სურდათ, რითიმე ეცათ ნუგეში,
და იდგნენ ჩუმად, ამ დიდი გლოვის
და დიდი ცრემლის მოზიარენი.

და მიიწურა ზამთარი ასე,
მაგრამ ამაოდ ელოდებოდნენ
მწვანე ტყეები საყვარელ მგოსანს,
ამაოდ წუხდნენ ნაკადულებიც,
ამაოდ წუხდა ნაზი ლერწამიც.

მწარედ ტიროდა ტყეში ყაპყაპი,
ყველას ესმოდა მისი ტირილი:
„აღარ გვყავს ჩვენი ტკბილი მგოსანი,
ჩვენი კეთილი ჩიბიაბოსი.“

ვიგვამის თავზე იჯდა ოპიჩი
და ცას სწვდებოდა მისი ტირილიც:
„აღარ გვყავს ჩვენი ტკბილი მგოსანი,
ჩვენი კეთილი ჩიბიაბოსი.“

და როცა ღამე წვებოდა ტყეზე,
მოთქმას იწყებდა ბოლოკარკაზი
და აყრუებდა მოთქმით ქვეყანას
გულდათუთქული ბოლოკარკაზი:
„ჩიბიაბოსი, ჩიბიაბოსი,
უპირველესი და უტკბილესი.“

მერე მოვიდნენ ექიმბაშები,
შემლოცველები და ჯადოქრები
და წამოჭიმეს წმინდა სახლაკი
ჰაიავათას ვიგვამის გვერდით,
რათა როგორმე ეცათ ნუგეში
და განეკურნათ სენისგან იგი.
და ყველანაირ სენის წამლები
მოზიდეს ტყავის დიდი ჩანთებით,
თან მოიტანეს დიდი ჩანთები
სავსე ყოველგვარ სენის წამლებით.

ფეხზე წამოდგა ჰაიავათა,
ჩამოირეცხა საღებავები,
შემოიხია თავსაბურავი
და შეაბიჯა წმინდა სახლაკში.
და გამოცდილმა ექიმბაშებმა
დაალევინეს პიტნის სასმელი,
მერე კი მისცეს ძილის წამალი,
ბალახისა და ფოთლის ნახარში.

მერე გარშემო შემოუარეს
დოლების ცემით და ქდარუნებით,
მერე სიმღერა დაიწყეს ერთხმად,
გაურკვეველი და უცნაური:

„მე თვითონა ვარ დიდი არწივი,
დამიგდე ყური, დამიგდე ყური,
თქვენც მომისმინეთ, თეთრო ყორნებო,
ჭექა-ქუხილი შემწეა ჩემი.
ჩემი შემწეა ყოველი სული,
თქვენთვის უცნობი და უხილავი,
მათი ხმაური მე მესმის მხოლოდ,
მე ყველგან მესმის მათი ხმაური.
მე შემიძლია ჩაგბერო ძალა,
მე შემიძლია გავდევნო სენი,
ჰაიავათავ, შენ გეუბნები!“

„ჰი-ო-ჰა!“ — ერთხმად მღეროდა გუნდი,
„ეი-ჰა-ეი, ეი-ჰა-ეი!“

„გველები ჩემი შეგობრებია,
კარგად დამიგდე ღორიხვავ ყური,
თეთრო ღორიხვავ, დამიგდე ყური,
მე შემიძლია დაგკოდო გულში,
მე შემიძლია შენი სიკედელი.
მე შემიძლია ჩაგბერო ძალა,
და მოგაშორო წყეული სენი,
ჰაიავათავ, შენ გეუბნები!“

„ჰი-ო-ჰა!“ — ერთხმად მღეროდა გუნდი,
„ეი-ჰა-ეი, ეი-ჰა-ეი!“

„მე მისანი ვარ, დიდი მისანი,
ყოვლის შემძლეა ჩემი სიტყვები,
შიშით ცახცახებს წმინდა სახლაკიც
ამ ჯადოსნური სიტყვების შიშით
და უხილავი ხელების შიშით,
ხელავ, ცახცახებს წმინდა სახლაკი.
ჩემს ფეხქვეშ ახლა ზეცა ხმაურობს,
ზეცა ხმაურობს და იზნიქება.
ძმაო, აღსდექ და ილაპარაკე,
ჰაიავათავ, შენ გეუბნები!“

„ჰი-ო-ჰა!“ — ერთხმად მღეროდა გუნდი,
„ეი-ო-ეი, ეი-ო-ეი!“

შემდეგ მისნები და ჯადოქრები
დიდხანს ცეკვავდნენ სნეულის ირგვლივ
და განერიდა ავადმყოფს სენი
და როგორც ახლად გაღვიძებული
წამოიშარათა ფეხზე ხალისით.
და როგორც ზეცას ტოვებს ღრუბელი,
ისე დატოვა წუხილმა სული,
ისე დატოვა გული ტკივილმა,
როგორც მდინარეს ტოვებს ყინული.

შერე მისნებმა და ჯაღოქრებმა
გამოიწვიეს ჩიბიაბოსი,
გიტჩი-გიუმის შლამიან ფსკერზე
ავი სულების ხელით ჩაფლული.
ისინი დიდხანს ეძახდნენ მგოსანს,
ეძახდნენ დიდხანს და დაჟინებით
და გაიგონა ჩიბიაბოსმაც,
ისე ძლიერი იყო ძახილი.

იგი ნელ-ნელა წამოდგა ფეხზე
და ხმას თანდათან მოჰყვა ქოხამდი,
მაგრამ მისნებმა არ შემოუშვეს
და შეაჩერეს კარებთან იგი
და მიაწოდეს მას ნაღვერდალი,
ხელში ჩაუდეს გაღვივებული
და ჩააბარეს სულთა ქვეყანა,
მკვდართა მართველად დანიშნეს იგი.
და დაარიგეს, დაენტო ცეცხლი
საიქიოსკენ მიმავალ გზაზე,
დაენტო ცეცხლი მკვდართა ბანაკში, —
ამიტომ მისცეს მას ნაღვერდალი.

ნელ-ნელა გაქრა ჩიბიაბოსი,
სამარადისოდ დასთმო სოფელი,
სამარადისოდ დასთმო სოფელი
თავის ბავშვობის და სიყმაწვილის.
კვამლივით გაქრა ჩიბიაბოსი,

კვამლივით უხმოდ გაქრა ტოტებში,
არც ერთი ტოტი და არც ფოთოლი
არ შერხეულა მისი შეხებით.
არ გათელილა ბალახის ღერიც,
მის ფეხქვეშ ფეხზე იდგა ბალახი,
არ შერხეულა მისი სიმძიმით
არც შარშანდელი ხმელი ფოთლები.

ოთხ დღეს იარა საბრალომ ასე,
ოთხ დღეს იარა სულთა ბილიკით,
გადაიარა მწუხრის მდინარე,
სულს იბრუნებდა კენკრით და მარწყვით.
და ვერცხლის ტბაში შეცურდა ბოლოს,
შეცურდა ვერცხლის მღუმარე ტბაში
და ძლივს მიაღგა, ღონემიხდილი,
ნეტართა კუნძულს, ქვის კანოეთი.
მას ბევრი სული შემოხვდა გზაზე,
წელში მოხრილი და დატვირთული
საგზლით და ჭურჭლით და იარაღით,
რასაც სიკვდილის მოსაწყენ გზაზე
ატანენ ხოლმე მკვდრებს მეგობრები.

და გულსაკლავად წუხდნენ ისინი,
გამწარებულნი ამ მძიმე ტვირთით:
„ჯობდა რომ გვევლო მშიერებს და შიშვლებს,
როგორ ვათრიოთ ამხელა ტვირთი.“ —

ასე მოთქვამდნენ სულები გზაზე,
მოკუზულები და დაღლილები.

ამ ამბის შემდეგ ჰაიავათამ

კვლავ მოიარა ქვეყანა ვრცელი


და ხალხს ასწავლა წამლების ხარშვა,

ყველას ასწავლა ხარშვა წამლების.

პირველად მაშინ გაიგო ხალხმა

ძალა და ფასი ამ ხელოვნების.





პო-პაკ-კივისი



ხლა მოისმენტ, პო-პაკ-კივისმა,
თავქარიანმა იენადიზიმ,
აყალმაყალის და ჩხუბისთავმა,
როგორ გალანძლა მთელი სოფელი,
როგორ განრისხდა ჰაიავათა,
როგორ განრისხდა და დაედევნა
იმ თავქარიან იენადიზის.

ახლა კი კარგად დამიგდეთ ყური
 და მომისმინეთ, რითი დაიწყო
 და რით დამთავრდა ეს ყველაფერი.

გიტჩი-გიუმის გაშლილ ნაპირზე,
 ნაგოუ-უჯუს სილის ბორცვებთან
 ცხოვრობდა ჩვენი პო-პაკ-კივისი.

იქ იდგა მისი ლამაზი ქოხი.
თქვენ, ალბათ, გახსოვთ, როგორ ცეკვავდა,
როგორ ცეკვავდა იგი ქორწილზე,
როგორი ვნებით და გაშმაგებით
ცეკვავდა იგი მათხოვრის ცეკვას,
კეთილ მასპინძლის და მეზობლების
გასახარებლად და საამებლად.

ახლა კი ჩვენი პო-პაკ-კივისი
კვლავ გამოვიდა თავის ქოხიდან
და სოფლისაკენ აიღო გეზი,
დროს სატარებლად და მოსალხენად.
ხოლო სოფლელი ახალგაზრდები
შეკრებილიყვნენ იაგუს ქოხში
და ყურს უგდებდნენ გაოცებულნი,
ბებერ იაგუს თავგადასავალს.

ის კი ყვებოდა, სინდიოფალამ
როგორ მონახა ზეცაში ხვრელი
და მერე როგორ შეძვრა ზეცაში
ცხელი ზაფხულის გამოსაშვებად.
როგორ ცდილობდა ზეცის გახვრეტას
სწრაფი ფოცხვერიც, მაჩვიც და ზღარბიც,
მაგრამ ამაოდ დაშერნენ ისინი
და შეალეწეს ცხვირები ზეცას.
და ბოლოს, როგორ აჯობა ყველას,

როგორ ეწია ბედს სამურავი,
როგორ გახვრიტა ზეცა მაგარი,
მრავალი ცდის და წვალების ფასად.

„როდესაც იგი პირველად ახტა, —
ასე ჰყვებოდა იაგუ ამბავს, —
ცა ჩაიღუნა, როგორც ყინული,
მოდუნებული და მოშვებული.
მეორე ცდაზე ცა გაიბზარა,
ვით მდინარეზე წყალდიდობისას
გაიბზარება ხოლმე ყინული,
ხოლო როდესაც მესამედ ახტა,
ცამ მაშინათვე დაალო პირი
და სამურავიც შევარდა ცაში,
ნაჯახირევი და ნაჯათარი.
ცაში შევარდა სინდიოფალაც,
კვალდაკვალ მიჰყვა სამურავს იგი.“

ამ დროს მოვიდა პო-პაკ-კივისიც,
ამ დროს გამოჩნდა ქოხის კარებში
და დაიყვირა: „დამიგდეთ ყური,
დროს რატომ კარგავთ ლაზღანდარობით,
მე ველარ ვიტან იაგუს ლაყაფს,
უკვე მომბეზრდა მისი ზღაპრები,
არსებობს ქვეყნად სხვა გასართობიც!“

მერე კი გახსნა მგლის ტყავის ქისა
და ამოიღო ქისიდან თასი

და ფიგურები პაგესეინგის.
წყვილი პაიკი და კენაბიკი,
და ერთი კიგო, პატარა თევზი,
ერთიც საბრძოლო პოგაუგენი .
და ოთხი მრგვალი ოზაუბიკი,
ოზაუბიკი და იხვის ჭუკი.
მან ფიგურები თასში ჩაყარა
და შეანჯღრია პრიალა თასი,
მერე მიწაზე დააპირქვა
და განუმარტა იაგუს სტუმრებს
თამაშის წესი და ხასიათი
და ოცი ცნობისმოყვარე თვალი
მას მიაჩერდა გაწვრთნილ ხელებში.

„ბევრი თამაში არსებობს ქვეყნად,
ღროს გასაყვანიც და ჰკვიანურიც, .
თვითონაც ბევრი მითამაშია
სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა ხალხში, —
თქვა და შეხედა სტუმარს იაგუმ
და დაუმატა ბოლოს ღიმილით:
— ის, ვინც იაგუს ეთამაშება
ძლიერი უნდა იყოს ყოველმხრივ.
თუმც თავი მოგაქვს თამაშის მცოდნედ,
დაჯექ და თამაშს ახლა გასწავლი.“

ასე გაჩაღდა დიდი თამაში,
ახალგაზრდებიც და მოხუცებიც
ჩაებნენ მთელი ძალით და გულით

და თამაშობდნენ გათენებამდე,
ვიდრე ეშმაკმა პო-პაკ-კივისმა
არ გაატყავა ბოლოს ყველანი
და წინ მთასავით არ დაიხვავა
მათი სამოსი და იარაღი,
მათი ქისები და ვამპუშები,
მათი ქამრები და ჩიბუხები...
და ოცი თვალი, გაშმაგებული,
შგლის თვალებივილ აენტო ქოხში.

ბოლოს ეშმაკმა პო-პაკ-კივისმა
და იღბლიანმა იენადიზიმ
ასე მიმართა მოთამაშეებს:
„მე მარტო ვცხოვრობ ჩემს საწყალ ქოხში
და ტყეშიც მარტო დავეხეტები.
მე კი მჭირდება კარგი მსახური,
ჩიბუხისა და სუფრის გამწყობი,
რომ აღარ იყოს ჩემი ცხოვრება
კვლავ ასე მკაცრი და მოსაწყენი.
მე მინდა მხოლოდ კარგი მსახური,
გამართობი ჩემი გზისა და ფიქრის,“ —
ექვეა და შეხედა იაგუს ძმისწულს,
იაგუს ძმისწულს დაადგა თვალი
და გააგრძელა: „თუ კვლავ მოვიგებ,
ამ ბიჭს მსახურად წაგიყვან მაშინ,
და თუ წავაგებ, უკანვე დავდებ,
რაც მომიგია აქამდე ტანჯვით.“

ის ბიჭი იყო თექვსმეტი წლისა,
„მოდულმულ მზერას“ ეძახდა ხალხი.

სისხლი მოაწვა ბებერ იაგუს,
ბრაზით აენტენ მისი თვალები,
მანც დათანხმდა და მთელი ტანით
წამოიმართა თუთუნის ბოლში.
მერე აიღო პრიალა თასი
და მოუჭირა ხმელი თითები
და შეანჯღრია გაშმაგებულმა.
პრიალა თასი და ფიგურები
დაასკდნენ მიწას ჟღრიალ-ჟღრიალით.
წამგებიანად დაახდნენ მიწაზე
კენაბიკებიც და პაიკებიც,
ოზაუბიკიც და იხვის ჭუკიც
და ერთადერთი პოგაუგენიც.
და მხოლოდ კიგო, პატარა თევზი,
მიწაზე თეთრი მხრიდან დაეცა,
ეს კი ძალიან ცოტაა ნიშნავდა
და გაიღიმა პო-პაკ-კივისმა,
გამარჯვებულად ჩათვალა თავი.

მერე სიამით თვალანთებულმა
აიღო თასი და მოიქნია
ისე მსუბუქად, რომ ფიგურები
მომგებიანად დასხდნენ ამჯერად.
და ოცმა თვალმა მკაცრად გახედა,

შმაგად გახედა და გააცილა,
როცა ქონიდან გავიდა იგი
და ის ყმაწვილიც თან გაიყოლა.
უსიტყვოდ გაჰყვა პატრონს ყმაწვილი,
ნადავლი ზურგზე წამოიკიდა:
მოსასხამები და პერანგები,
ბასრი შუბები და კაპარკები,
ფართო ქამრები და ვამპუშები, —
ზურგზე უსიტყვოდ წამოიკიდა.

„იქ მიიტანე, ჩემს ლამაზ ქონში,
ნაგოუ-უჯუს სილის ბორცვებთან,“ —
ასე უბრძანა პო-პაკ-კივისმა
და მარაოთი გზა დაანახვა.

თვითონ კი შუკებს გაჰყვა ღიღინით,
ლამენათევი და დაქანცული
და ბოლით თვალებდაწითლებული
გაცრეცილ შუკებს ღიღინით გაჰყვა.
ტკბილად მღეროდნენ კრელი ჩიტები,
ლალად გარბოდნენ ნაკადულები,
ჩიტვით ტკბილად მღეროდა გულიც
და ლალად სცემდა ნაკადულივით.
გამარჯვებული და ბედნიერი
მისეირნობდა პო-პაკ-კივისი,
დილის ბურუსში და სიწყნარეში
მისეირნობდა წელგამართული.

ხელში ეჭირა ფართო მარაო,
თავზე ეხურა გედის გვირგვინი
და შეუმჩნეველად გასცდა ვიგვამებს,
გასცდა ვიგვამებს და სოფლის თავში
გამოჩნდა ქოხი ჰაიავათასი.

მდუმარე იყო იგი ვიგვამი,
მდუმარე იყო და უკაცური,
ზღურბლზეც არავეინ არ გადმომდგარა,
რათა სტუმრისთვის ეთქვა სალამი.
მხოლოდ ჩიტები გალობდნენ ირგვლივ,
ეზოს იკლებდნენ ყივილ-ხივილით,
კენკავდნენ საკენკს და უდარდელად
დაფრთხილებდნენ ვიგვამის ირგვლივ.
ხოლო მდუმარე ვიგვამის თავზე
იჭდა ყორანთა მეფე კავაგი,
იფხორებოდა და პო-პაკ-კივისს
გადმოჰყურებდა ავი თვალებით.

„გადახვეწილა მთელი ჯალაბი, —
წამით შეჩერდა პო-პაკ-კივისი,
წამით შეჩერდა და შურიანმა
ბოროტი ზრახვა ჩაიდო გულში, —
წასულა ბრძენი ჰაიავათაც,
წასულა ბრიყვი „მცინარე წყალიც“
და ნაკომისიც, მყრალი ბებერი,
არ დარჩენილა სახლში არავინ.“

ასე იფიქრა პო-პაკ-კივისმა
და მერე ყორანს მისწვდა კისერში
და მთელი ძალით დააბზრიალა,
დაიტრიალა თავზე ყორანი,
როგორც ბიჭები სატკაცუნებელს
ატრიალებენ სოფლის შუკებში.
მერე კაგაგის უსულო გვამი,
სახლის პატრონის დასამცირებლად,
ვიგვამის ბოძზე დაკიდა ფეხით.

მერე ქურდულად შევიდა ქოხში
და გადმოყარა ძირს ყველაფერი,
ძირს გადმოყარა თიხის ჯამები,
თიხის თასები და სასმისები,
ძირს გადმოყარა მთელი ჭურჭელი,
მთელი მარაგი და მონაგარი:
მოსასხამები და პერანგები,
კამეჩისა და თახვის ტყავები,
შესაგინებლად და შესარცხვენად
„მცინარე წყალის“ და ნაკომისის.

მერე ბოროტი პო-პაკ-კივისი
დაბურულ ტყისკენ წავიდა სტვენით,
უსტვენდა ციყვებს, ხოლო ციყვები
რკოებს ესროდნენ აღშფოთებულნი.
უსტვენდა ჩიტებს და ფოთლებიდან
ესიტყვებოდნენ ჩიტებიც სტვენით.

მერე ავიდა გარინდულ ბორცვზე
და გადმოხედა გიტჩი-გიუმის,
მერე გულაღმა წამოწვა იგი,
გახარებული და კმაყოფილი.
და იწვა ასე გარინდულ ბორცვზე,
სეირის ხილვას მოწყურებული.

ქვემოთ კი ისევ დეღავდა წყალი,
ეხეთქებოდა ბორცვებს ტყლაშუნით,
ზემოთ კი ისევ ეღავდა ზეცა
თავბრუდამხვევი და იღუმალი.
ხოლო კაკბები, ბორცვზე მწოლარეს,
დასტრიალებდნენ თავზე ყვირილით,
დასტრიალებდნენ ფრთების დგაფუნით,
დასტრიალებდნენ გაბრაზებულნი.

ის კი ხოცავდა საბრალო კაკბებს,
ზედიზედ კლავდა წამოწოლილი,
მკვდრებს კი ისროდა მღელვარე წყალში,
გიტჩი-გიუმის მღელვარე წყალში.
უცებ იკივლა კლდეზე თოლიამ,
ერთმანეთს მაგრა შემოჰკრა ფრთები:
„ჩქარა! ვაცნობოთ ჰაიავათას,
თორემ გავგწყვიტავს პო-პაკ-კივისი!“





პო-პაკ-კივისის მღვწარი



ანრისხდა ჩვენი ჰაიავათა,
როცა სოფელში დაბრუნდა იგი,
როცა იხილა თავისი ქოხი
შევიწებული და შერცხვენილი,
როცა შეიტყო პო-პაკ-კივისის
ბოროტი საქმე და საქციელი,
გული აევსო ცეცხლით და ბოღმით
და გზას დაადგა გააფთრებული.

აღარ ჰყოფნიდა თითქოს ჰაერი,
ღრუბლებს აფრთხოვდა მისი, გუგუნი,
უკაწკაწებდა ბრაზით კბილები
და ბუტბუტებდა ცოფმორეული:
„თუ დაგიჭირე პო-პაკ-კივისო,
დაგახრჩობ!“ — ასე ამბობდა იგი,

—არც ქვეყანაა ისეთი ვრცელი
და არც გზებია ისე მრავალი,
რომ ვერ მოგნახო და ჩემი ხელით
არ ამოგართვა წყეული სული.“

და დაედევნა მთელი სოფელი,
გამოდევნა მთელი სოფელი
ეშმაკს და ბორბოტს და თავქარიან
და თავზე გასულ იენადიზის.
აიღეს კვალი და დაედევნენ,
მაგრამ ველარსად იპოვეს იგი,
ტყეც გაიარეს, ტყეც და მინდორიც,
ხრამიც და ხევიც, ლელეც და კონცხიც.
და მხოლოდ ერთგან, მოცვის ბუჩქებში,
ნახეს ბალახი გადათელილი,
კვლავ ეტყობოდა კაცის ნაწოლი
გათელილ ბალახს, მოცვის ბუჩქებში.

და უცებ ქვემოთ, გაშლილ მინდორზე
შემოტრიალდა პო-პაკ-კივისი
და ხალხს რაღაცა ანიშნა ხელით,
რაღაცა, ბილწი და თავხედური.
და დაიყვირა ჰაიავათამ,
ხმა ჰქონდა მძლავრი და საზარელი:
„არც ქვეყანაა ისეთი ვრცელი
და არც გზებია ისე მრავალი,

რომ ვერ მოგნახო და ჩემი ხელით
არ ამოგართვა წყეული სული!“

მაგრამ გარბოდა პო-პაკ-კივისი,
გარბოდა ტყეში და ბუჩქნარებში
და გადარბოდა მდინარეებზე
და გორაკებზე, გამწარებული.
სწრაფად მიხტოდა, როგორც ქურციკი,
მიგრიალებდა ველზე ქარივით,
ბოლოს მიადგა ლამაზ ნაკადულს,
აბუტბუტებულს მღუმარე ტყეში.

ლამაზი იყო ის ნაკადული
და შიგ ჩაედგათ თახვებს ჯებირი
და ჯებირიდან ანკარა წყალი
გადმოდიოდა თეთრი ზვირთებით.
მუხლამდე წყალში იღგნენ ხეები
და დაკურავდნენ წყალზე სოსნები
და ნაპირებთან ლურჯი ლერწმები
რაღაცას მშვიდად ბჭობდნენ ჩურჩულით.

ჯებირზე შედგა პო-პაკ-კივისი
და აჭრიალდნენ ძველი ბოძები
და ბოძებს შორის ანკარა წყალი
გადმოდიოდა შეუსვენებლივ.
უცებ ჯებირთან მოცურდა თახვი,

გაოცებული და დაბნეული
და მიაჩერდნენ უეცარ სტუმარს
გაოცებული თახვის თვალები.

ჯებირზე იდგა პო-პაკ-კივისი,
ჯებირზე იდგა და მის ფეხებთან
მიირწეოდა ანკარა წყალი,
ამღერებული და ვერცხლისფერი.
და მან ჩასძახა თახვს მოწიწებით
და აიფარა პირზე ღიმილი:
„ო, ჩემო ძმაო, ო, ჩემო ამიკ,
რა ლამაზია ეს ნაკადული,
გრილზე გრილია და საამური.
ნება მომეცი, ჩავყვინთო წყალში,
თახვად მაქციე, ო, ჩემო ამიკ.“

ფრთხილად მიუგო ამიკმა სტუმარს,
არც ისე ბრიყვი იყო ამიკი:
„მოდით, ჯერ სხვებსაც შევეკითხები,
ამ წყალში ბევრნი ვცხოვრობთ თახვები.“
და ის ნელ-ნელა ჩაეშვა წყალში,
მძიმედ ჩაეშვა წყალში ქვასავით,
ფსკერზე ჩაძირულ და ფერგადასულ
ფოთლებისაკენ ჩაეშვა იგი.

ჯებირზე იდგა პო-პაკ-კივისი,
ჯებირზე იდგა და ძველ ბოძებზე
გადადიოდა ანკარა წყალი

და იმსხვერეოდა ქვებზე ხმაურით,
მერე კი ისევ მშვიდად და წყნარად
მიირწეოდა ფართოდ გაშლალი,
და პაწაწინა ცისარტყელები
მკერდით მიჰქონდა, როგორც მძივები.

ისევ მოცურდა თახვი ჯებირთან,
ისევ ამოყო პრიალა თავი.
თან მოიყოლა მთელი ლაშქარი
და დაიფარა წყალი თახვებით.

ისევ მიმართა პო-პაკ-კივისმა,
ისევ მიმართა თახვებს მუდარით:
„ო, ჩემო ძმებო, ჩემო თახვებო,
რა საამოა თქვენი სადგომი,
რა საამოა და რა სანდოა
თქვენი სადგომი, თახვებო, ჩემთვის.
ნუთუ ვერ შეძლებთ, რომ თქვენი სიბრძნით,
თქვენი უნარით და მარიფათით
გადამაქციოთ თახვად, ლტოლვილი“.

„შევძლებთ!“ — მიუგო თახვების მეფემ,
ყველაფრის შემძლე იყო ამიკი,
— ჩვენთან ჩამოდი და შენც მაშინვე
თახვად იქცევი, წყალში ჩამოდი.“

წყალში ჩაეშვა პო-პაკ-კივისი,
გაშავდა მისი ირმის პერანგი,

გაშავდნეს ძისი შოკაისიხებიც
და კუდად ექცა უეტრად ფოჩი.

და თახვად იქცა პო-პაკ-კივისი,
მერე კი ასე მიმართა ამიკს:
„გამზარდე, კიდევ უფრო გამზარდე;
მე უნდა ვიყო ყველაზე დიდი.“

„კეთილი, — მშვიდად მიუგო მეფემ, —
ოღონდ, როდესაც შევალთ ვიგვამში,
მივიღეთ სახლში და ყველა თახვზე
შენ ათჯერ უფრო დიდი იქნები.“

ასე ჩაეშვა პო-პაკ-კივისი,
ასე ჩაეშვა ანკარა წყალში
და ფსკერზე დახვდა მყუდრო ვიგვამი
გადახურული ხეთა რტოებით,
გამოტენილი ზამთრის მარაგით,
ვრცელი და ფართო და თალიანი.

აქ ის გადიქცა ყველაზე დიდად,
ყველაზე დიდად, მთელ თახვებს შორის.
„დღეიდან შენ ხარ, — უთხრეს თახვებმა, —
ჩვენი მეფეც და ჩვენი მმართველიც.“

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ძლიერ
ეს განდიდება პო-პაკ-კივისის,

უცებ თახვების საგუშაგოზე
ყურისწამლები ატყდა განგაში:
„ძმებო, მრისხანე ჰაიავათა
კარზე მოგვადგა ურიცხვი ჯარით!“

მერე გაისმა თახვების თავზე
მძლავრი ყიჟინა და ლაწალუწი
და წყალმაც იკლო, რადგან ჯებირი
გადაანგრია ხალხმა ფეხებით.
მერე თახვების საბრალო ვიგვამს
შეადგა ხალხი, განრისხებული,
და ჩამონგრეულ სახურავიდან
მზემ ჩაანათა ცხელი სხივები.

მაშინ კი მაგრა დაფრთხნენ თახვები
და ჩაიმაღლნენ ღრმა ნაკადებში,
მაგრამ გაზრდილი პო-პაკ-კივისი
ვერ გაეტია ვიგვამის კარში,
ამდენი საჭმლით და სიამაყით
უცებ გასივდა იგი ბუშტივით.

მას დასცქეროდა ჰაიავათა
და დასძახოდა: „ო, პო-პაკ-კივის,
სულ ამაოა შენი ხრიკები,
მოხარშულს გიცნობ, ო, პო-პაკ-კივისის!“

მერე კი დასცხო ხალხმა კომბლები,
მიასიკვდილეს პო-პაკ-კივისი,

დანაყუა, როგორც ნაყავენ სიმინდს,
დაანთხევენეს კომბლებით ტვინი.

და მერე ექვსმა მოქნილმა ბიჭმა
წაილო მისი გვამი საკაცით.
მაგრამ არაფრით არ მოკვდა სული
და მისი სული თახვის სხეულში
ისევ იბრძოდა გაშწარებული,
გაცოფებული იბრძოდა სული,
როგორც ვიგვამის ფარდები ქარში,
როგორც სუხსიან ქარში ფარდები,
იბრძოდა სული, ვიდრე არ აღსდგა
და ვიდრე მკვდარი თახვის გვამიდან
არ დააღწია წამებით თავი
და არ მიიღო კვლავ ძველი სახე
იმ თავქარიან პო-პაკ-კივისის.
მერე კი სწრაფად გაქანდა ტყისკენ,
დაბურულ ტყისკენ გაახლტა შლეგივით.

მაგრამ ფხიზელმა ჰაიავათამ
ტყისკენ გაქცეულს შეასწრო თვალი,
შენიშნა, როგორ გაუჩინარდა
მისი სხეული ფიჭვების ჩრდილში.
სწრაფად გარბოდა პო-პაკ-კივისი,
თეთრი მინდვრისკენ გარბოდა იგი
და ერთმანეთში ჩახლართულ ტოტებს

გამწარებული გლეჯდა ხელებით,
მაგრამ მრისხანე ჰაიავათაც
უკან მისდევდა მან წვიმასავით.

და ტბას მიადგა პო-პაკ-კივისი,
სუნთქვაშეკრული და დაქანცული,
წყალზე ბრწყინავდნენ თეთრი სოსნები,
ტბა იყო მშვიდი და ლერწმებს შორის
ადგაფუნებდნენ ფრთებს ლერლეტები.
ხან შავ ნიკარტებს ატრიალებდნენ,
ხან უღარდელად ყვინთავდნენ წყალში,
ხან ჩრდილებისკენ გაცურდებოდნენ,
ხან კი მზისაკენ ეჭირათ თავი.

„პიშნეკუ, პეი, ჩემო პიშნეკუ! —
ტბასთან მოვარდა პო-პაკ-კივისი, —
გადამაქციეთ, ძმებო, ლერლეტად,
ძმებო, მომეციო ბრწყვიალა ფრთები,
მეც მინდა ვიყო დიდი ლერლეტი,
ყველა ლერლეტზე ათმაგად დიდი“.

და ლერლეტებმა წამსვე ლერლეტად
გადააქციეს პო-პაკ-კივისი,
მისცეს ძლიერი და მძიმე ფრთები,
მისცეს პრილა და მრგვალი მკერდი
და ნიჩაბივით დიდი ნიკარტი.
ის იყო ყველა ლერლეტზე დიდი,

ყველა ღერღეტზე ათმაგად დიდი
და სწორედ მაშინ იქცა ღერღეტად,
როდესაც ტყიდან ბრძოლის ყიჟინით
გამოეთინა ველზე მღვებარი.

და ღერღეტებიც ფრთების დგაფუნით
და ღრიანცელით აფრინდნენ ცაში,
ლელით დაფარულ კუნძულებიდან
ცაში აფრინდნენ ფრთების ტკაცუნით.
და გააფრთხილეს პო-პაკ-კივისი:
„არ ჩაიხედო ქვემოთ არაფრით,
ფრთხილად იყავი, თორემ საშინელ
უბედურებას გადაეყრები.“

და მიაშურეს ჩრდილოეთისკენ
და მიფრინავდნენ ღლისით და ღამით,
იკვებებოდნენ ცივ ჭანჭრობებში
და იძინებდნენ წუთით ღერწმებში.
და ერთხელ, როცა სამხრეთის ქარი
ძლიერად ცემდა ლტოლვილებს ზურგში,
უცებ მიწიდან მოესმათ ხმები:
მათ უკიოდა მთელი სოფელი,
მათ უყურებდა მთელი სოფელი
გამოფენილი ეზო-შუკებში.

ხალხს აოცებდა ცაში გაშლილი
ვეება ფრთები პო-პაკ-კივისის

და ცას უცქერდა გაოცებული
ამ უზარმაზარ ღერღეტის ხილვით.

პო-პაკ-კივისსაც კარგად ესმოდა
ფეხზე წამომდგარ სოფლის ყვირილი,
ხმაც კი გაიგო ჰაივათასი,
იცნო იაგუს წამოძახილიც.
და სულ დაკარგა სიფრთხილის გრძნობა,
დაბლა დასწია შავი ნისკარტი,
ჩამოიხედა და მძლავრმა ქარმა
თავქვე წაიღო ტრიალ-ტრიალით.

და ველარ შეძლო პო-პაკ-კივისმა
შენარჩუნება წონასწორობის
და ხან გამოშლილ სოფელს ხედავდა,
ხან კი გაფრენილ გუნდს ღერღეტების.
სოფელი უფრო ახლოვდებოდა,
გუნდი კი უფრო ქრებოდა ცაში
და იზრდებოდა ხალხის ხმაური,
ხალხის სიცილი და ღრიანცელი
და მოწყვეტილი გუნდსა და ზეცას
მიწას დაასკდა ფრთებდამსხვრეული.

შაინც არაფრით არ მოკვდა სული,
გადარჩა სული პო-პაკ-კივისის
და სულმა ისევ მიიღო სახე
იმ თავქარიან იენადიზის.

და მაშინათვე ტყისკენ მოკურცხლა
იმ მოხდენილმა იენადიზიმ.

კვლავ დაედევნა ჰაიავათაც,
კვლავ მისძახოდა განრისხებული:
„არც ქვეყანაა ისეთი ვრცელი
და არც გზებია ისე მრავალი,
რომ ვერ მოგნახო და ჩემი ხელით
არ ამოგართვა წყეული სული!“

და მერე ისე გამოეკიდა,
რომ თმებში ხელიც ჩაავლო ლამის,
მაგრამ ეშმაკი პო-პაკ-კივისი
შემობზრილდა მთელი სისწრაფით
და დააყენა ჰაერში ბული,
მტვრისა და სილის კორიანტელი.
თვითონ კი შეხტა ბნელ ფულუროში,
გადიქცა გველად და ფესვებს შორის
გაცურდა ჩუმად და შეერია
დამპალ ფოთლებში და მყრალ ნაგავში.

ჰაიავათამ დალეწა მუხა,
დაანაფოტა იგი მარჯვენით,
წვრილ ნაფოტებად აქცია იგი,
დააქუცმაცა ერთი შემოკვრით.
მაგრამ ამაოდ, პო-პაკ-კივისი,
თავის პირვანდელ სახით და ტანით,
გიტჩი-გიუმის ნაპირებისკენ

ისევ გაიქცა ელვის სისწრაფით
და მიაშურა გარინდულ კლდეებს,
გაბრწყინებულება ჩამავალ მზეში.

და მთების სულმა, მთების მანიტომ
ფართოდ გაუღო კარები ლტოლვილს,
ფართოდ გაუღო ღრმა უფსკრულები,
უსიტყვოდ მისცა თავშესაფარი
და დაქანცული პო-პაკ-კივისი
მიიპატიჟა სახლში ღიმილით.

გარეთ კი იდგა პაიავათა
და რაკი კარი დახვდა დახშული,
თავის ჭადოსნურ ხელთათმანებით
ჩამოამტვრია კლდეება ლოდები.
და დაიყვირა: „გამიღეთ კარი!“
მაგრამ არავინ გაუღო კარი
და არც პასუხი გასცა არავინ.

მაშინ მან ზეცას მიმართა თხოვნით,
ზეცას მიაპყრო თვალი და ხელი,
დასახმარებლად უხმო ქარიშხალს,
თავისთან უხმო ელვას და ქუხილს.
და მაშინათვე გაჩნდნენ ისინიც,
ღამის წყვედიადით გარემოცულნი,
გადმოირბინეს გიტჩი-გიუმი
და მთება შეასკდნენ ზათქით და ზარით.
და გაიგონა პო-პაკ-კივისმა

მათი ფეხის ხმა, თავზარდამცემი,
მან დაინახა ელვის თვალებიც
და მოიბუზა, საბრალო, შიშით.


მერე კი ელვამ თავისი კომბლით
გამოანგრია კლდეთა კარები,
თავისი მძიმე, მაგარი კომბლით
კლდეს მოანგრია ცხვირი და ყბები.
და ქარიშხალმა მძლავრი შებერვით
ჩამოანგრია კლდეთა თალები
და მოიყოლეს მძიმე ლოდებმა,
ქვეშ მოიყოლეს პო-პაკ-კივისი.
და ასე მოკვდა პო-პაკ-კივისი,
აჲ გასრისეს ლოდებმა იგი,
ასე დამიწდა სოფლის მუსუსი,
სოფლის ყოყოჩი და დარდიმანდი,
დასრულდა მისი ავანჩაუანი,
ეშმაკობები და ოინები.

მაგრამ კეთილმა პაიავათამ
მოიხმო სული პო-პაკ კივისის
და უთხრა აჲ: „ო, პო-პაკ-კივის,
კაცად ვერასდროს ველარ იქცევი,
ველარ მიიღებ სახეს კაცისას
და ველარც ხელებს გაშლი სიცილით.
ველარც იცეკვებ, მაგრამ იქ, ცაში,
კვლავ შეგიძლია ლალად ნავარდი,

რადგან მე ახლა კენიუდ გაქცევ,
არწივად გაქცევ და შენც გახდები
ყველა ფრინველის ბატონ-პატრონი,
მეფე იქნები ყველა ფრინველის.“

ხალხს დღემდე ახსოვს პო-პაკ-კივისი,
არ დაავიწყდა მისი სახელი,
აქამდე ცოცხლობს მისი სახელი
მუსიკოსებში და მომღერლებში.
და როცა თოვლის თეთრი ფიფქები
ცეკვავენ ხოლმე ქოხების ირგვლივ
და როცა ქარი საკვამურებში
ჩაძვრება ხოლმე მწარე ქვითინით:
„აი, მოვიდა პო-პაკ-კივისი!“ —
ასე ამბობენ ახლაც სოფელში.





კუასინდის სიკვდილი

„**მ**“

რო გადიოდა და კუასინდმა
 მალე გაითქვა ხალხში სახელი,
 არვის შეეძლო მასთან ჭიდილი,
 არავინ იყო მისი ბადალი.

მაგრამ ბოროტმა პაკ-უჯიებმა
 მისი დაღუპვა ჩაიდეს გულში,
 ერთად შეგროვდნენ პაკ-უჯიები
 და პირი შეკრეს ურყევი ფიცით.

„არ შეიძლება გაგრძელდეს ასე. —
 თქვეს ჯაღოქრებმა, — ეს კუასინდი

უკვე ზედმეტად გავიდა თავზე,
არ შეიძლება მოთმენა მეტის.
მხოლოდ კუასინდს აღიდებს ხალხი,
ჩვენ კი, საბრალო პაკ-უჯიები,
დავრჩით მარტონი და გარიყულნი.
და როცა ჩვენი ჯერიც დადგება
სოკოებივით გაგვეთლავს იგი
და მერე წყალში გადაგვყრის ყველას,
და შეგვ'ანსლავენ წყალთა სულელები,
ბოროტი ნი-ბა-ნო-ბეიგები.“

ასე ამხედრდნენ ქონდრის კაცები
და პირი შეკრეს ურყევი ფიცით
და გადაწყვიტეს, რომ კუასინდი,
უგულო, ხეპრე და საძულველი,
მოეკლათ ერთად და სამუდამო
განსაცდელიდან დაეხსნათ თავი.

ხოლო კუასინდს კეფაში ჰქონდა
ძალა, ყველაფრის დამაქცევარი,
კეფაში იყო მისი სისუსტეც,
და ვისაც სურდა მისი სიკვდილი,
კეფაში უნდა დაეჭრა იგი,
კეფაში უნდა მოერტყა გირჩი,
მაღალი ნაძვის ან ფიჭვის გირჩი.
მხოლოდ და მხოლოდ გირჩი მოკლავდა,

ლურჯი და მკვრივი და ხორკლიანი.
მხოლოდ და მხოლოდ პაკ-უჯიებმა
იციოდნენ ქვეყნად ეს საიდუმლო,
მხოლოდ და მხოლოდ ქონდრისკაცებმა,
სხვამ არათფერი იცოდა ამის.

და დაავროვეს ტყეში გირჩები
ქონდრისკაცებმა პაკ-უჯიებმა,
ნაძვის და ფიჭვის ლურჯი გირჩები
გორებად დადგეს მდუმარე ტყეში,
მერე მიზიდეს მდინარის პირას
და ჩაუსაფრდნენ ფხიზლად კუასინდს,
სადაც წითელი კლდეები ჩუმად
იციქირებიან მდინარის იქით.

იდგა ზაფხული, ცხელი ზაფხული,
მზით გაბანგული და გარინდული,
და დამშვიდებულ ტალღებს მდინარე
მიაკურებდა კლდეების ჩრდილში.
მზეზე ბრწყინავდა ნემსიყლაპია,
მზეზე ბრწყინავდა კოლო და ბუზი
და უთვალავი მათი ლაშქარი
სივრცეს ავსებდა გაბმულ ზუზუნით.

და კუასინდი არყის ჩიმონით
მოსდევდა ნელა მდინარის ნაპირს,

ნელა მოსდევდა დინებას იგი
ტაქუამინოს დამცხრალი წყლების.
და იჯდა ნავში გაბრუებული
და მოთენთოლი მზით და ღუმილით.

და მდინარეზე გადმოხრილ ხეებს
წყალში ჩაეყოთ გრძელი ტოტები
ტოტებს ჩამოყვა ნეპაუინი,
ტოტებს ჩამოყვა ჩრდილის სიფრთხილით.
ტოტებს ჩამოყვა ნეპაუინი
კუასინდს თავზე დააჯდა იგი,
დააჯდა, როგორც ნემსიყლაპია
და კუასინდმაც დახუჭა თვალი.

მერე მოესმა წყნარი ჩურჩული,
როგორც შორეულ ტალღის შრიალი,
როგორც შორეულ ჩანჩქერის სუნთქვა
ან ქარის სუნთქვა ფიჭვის ტყეებში.
და კუასინდმა დახუჭა თვალი,
დახუჭა თვალი და უცებ იგრძნო,
როგორ უშენდნენ საბრძოლო კომბლებს
ნეპაუინის ლეგიონები.

ჯერ შეეპარა თვლელმა კუასინდს
და მოუღუნდა მერე ხელები,
ველარ უსვამდა ნიჩბებს საბრძოლო,
ველარ მოუსვა მძიმე ნიჩბები.

მერე წყვდიადი ჩამოწვა ირგვლივ,
ბნელმა მოიცვა ირგვლივ ყოველი
და ძილის სულმა დაღლილ კუასინდს
მაგრა ჩაჰქიდა ორივე ხელი.


და მიცურავდა ის მდინარეზე,
ბრმასავით იჭდა არყის ჩიმონში
და მიჰყვებოდა მდინარეს თავქვე
გადმოკიდებულ ხეების გასწვრივ,
და ჩასაფრებულ ქონდრისკაცების
ხელმომარჯვებულ რაზმების გასწვრივ.


და დაუშინეს პაკ-უჯიებმა
ნავში მძინარეს მძიმე გირჩები,
ნაძვის და ფიჭვის მკვრივი გირჩები
ზუსტად ხვდებოდა, საწყალს, კეფაში.
„სიკვდილი მტარვალს!“ — ასე ყვიროდნენ
განრისხებული პაკ-უჯიები.

და ჩიმონიდან დამცხრალ ზვირთებში
ჩაცურდა მისი დიდი სხეული,
თავით ჩაეშვა დამცხრალ ზვირთებში,
თავით ჩაეშვა იგი წავეით.
წყალმა წაიღო არყის ჩიმონიც.
მიტოვებული და ცარიელი,
მერე ზვირთებში ამოტრიალდა
და ფსკერისაკენ წავიდა ისიც.

მაგრამ ის დარჩა ხალხის ხსოვნაში:
კეთილი, მშვიდი და ღონიერი
და ახლაც, როცა გაძარცულ ტყეში
ღრიალებს ხოლმე თეთრი ქარბუქი

და როცა ზამთრით შეწუხებულნი
იღწებიან ხოლმე ტოტები:
„გესმით, ეს ჩვენი კუასინდია!“ —
ასე ამბობენ ახლაც სოფელში.





ახრდილები



უღანახა ქორმა ბიზონი,
მკერდში დაჭრილი და მომაკვდავი,
მის ნაკვალევზე, აუცილებლად,
ჩამოფრინდება მეორე ქორიც.
მეორეს უნდა მესამე მოჰყვეს,
ხოლო მესამეს მთელი ლაშქარი,
მერე კი საწყალ ბიზონის თავზე
დაიფარება ზეცა ქორებით.

უბედურებაც ასეა სწორედ,
მარტო არასდროს არ მოვა იგი
და თუკი ერთი დაგატყდა თავზე,
გამოჩნდებიან დანარჩენებიც.

ისინიც, ხარბი ქორების მსგავსად,
ჩააკედებიან ბასრი ბრჭყალებით,
თუ დაინახეს საბრალო მსხვერპლი,
თუკი შეასწრეს თვალი შემთხვევით.

და აი, ისევ დადგა ზამთარი,
გრძელი და ცივი და სუსხიანი,
და პებოანმა, ძლევამოსილმა,
კვლავ გააქავა მდინარეები,
კვლავ დაიბერტყა ქალარა თმები
და ყველაფერი გახვია თოვლში,
ტყეებიც, მთებიც და ხეობებიც,
ვრცელი ველებიც და ლაქაშებიც.
მერე კი, თვითონ უზუნაესმა
თოვლს გადაუსვა მზრუნველი ხელი.

და მონადირე უღრან ტყეებში
ნადირს დასდევდა გამწარებული,
ხოლო ქალები ქოხებში ისხდნენ
და მძიმე ქვეებით ნაყავდნენ სიმინდს.
ხოლო სულელი გოგო-ბიჭები
გახარებულნი დახტოდნენ თოვლში,
კოტრილობდნენ და გუნდაობდნენ
და სრიალებდნენ თხილამურებით.

ერთხელ, როდესაც მზე ჩადიოდა
და კლებულობდა ვიგვამში შუქი,
„მცინარე წყალი“ და ნაკომისი

კერასთან ისხდნენ და მოუთმენლად
ელოდებოდნენ ოჯახის უფროსს,
დილიდან გასულს დათოვლილ ტყეში.

საამოდ ენთო კერიის ცეცხლი
და ცახცახებდა მხურვალე ალი
თიხის ჭურჭელზე და მათ თვალებში.
ის ნაკომისის დაღლილ თვალებში
კრთოდა მიღეულ მთვარის შუქივით,
ხოლო „მცინარე წყალის“ თვალებში
ენთო აგვისტოს ცხარე მზესავით.
და ირბოდნენ ქოხის კედელზე
და ქოხის ჭერზე მათი ჩრდილები
და მიიწევდა საკვამურისკენ
კერიის კვამლი, თბილი და მშვიდი.

უცებ ვიღაცამ ასწია ფარდა
ვიგვამის კარზე ჩამოკიდული.
წამით შეცბუნდა ცეცხლი და კვამლმაც
გზა გაიმრუდა ჭერისკენ წამით.
და უცებ ორმა უცნობმა ქალმა
შემოაბიჯა უსიტყვოდ ქოხში,
არ დასცდენია არც ერთს სალამი
და ბნელ კუთხისკენ დაადეს თავი
და ბნელ კუთხეში მოიკალათეს,
ჩრდილებში ჩასხდნენ მობუზულები.

არც ერთს არ ჰქონდა ნაცნობი სახე,
ჩაცმულობითაც იყვნენ უცხონი
და ბნელ კუთხეში უჩუმრად ისხდნენ
და ცახცახებდნენ, როგორც ჩრდილები.
არც ერთს არ ელო სახეზე ფერი,
სულს ძლივს ითქვამდნენ დაქანცულები.

უცებ გაისმა: „საიქიოდან
სტუმრად გეწვივნენ მკვდართა სულები,
მკვდართა სულები და აჩრდილები,
საიქიოდან — სააქაოში.“
თითქოს დამრეცილ საკვამურებში
ისევ აკვნესდა მწუხარე ქარი,
ან თითქოს ჭოტი ატირდა ტყეში,
შეწუხებული ქვეყნის ტკივილით.

ამ დროს დაბრუნდა ჰაიაუათაც,
ტყიდან დაბრუნდა ნანადირევით,
ტყიდან დაბრუნდა თმებდათოვლილი,
მოშიებული და გათოშილი.
მერე მოიხსნა ნანადირევი
და მინეჰაჰას დაუგდო ფეხთით,
დაუგდო, როგორც დიდი ხნის წინათ,
დეკოტაჰების ლამაზ მხარეში,
როგორც ნიშანი დიდი სურვილის,
ძლიერი ვნების და სიყვარულის.

მერე შენიშნა უცხო სტუმრები,
მობუზულები ქოხის კუთხეში
და გაიფიქრა: „ვინ უნდა იყვნენ,
ვინ სტუმრებია ჩემს ცოლს, ნეტავი?“
სტუმრებს კი მდაბლად დაუკრა თავი
და შესთავაზა ალალი გულით
საჭმელიც, ცეცხლიც და სასთუმალიც.
მალე სავანშმოდ გაშალეს სუფრა,
დაჭრეს ირემიც და ბნელ კუთხიდან
უცებ წამოხტნენ უცხო სტუმრები
და დაიტაცეს კარგი ნაჭრები,
ყველაზე უფრო მსუყვე ნაჭრები,
მინეჰაჰასთვის გადარჩეული.

დაუკითხავად დასტაცეს ხელი,
იქვე დააცხრნენ გაშმაგებულნი
და გადასანსლეს. მერე კი ისევ
უჩუმრად დასხდნენ ქოხის კუთხეში.
სიტყვა არ უთქვამს ოჯახის უფროსს,
არ შეუცვლია სახე ნაკომისს,
არც მინეჰაჰა არ განძრეულა,
არ შეკრთომია არც ერთი ნაკვთი.
და მხოლოდ წყნარად წაიჩურჩულა:
„მოშიებიათ საბრალო ქალებს,
მონატრებიანთ ცხელი საჭმელი.“

დღეები დღეებს მისდევდნენ ჩუმად,
უხმოდ გარბოდნენ ზამთრის დღეები,

ბევრჯერ გათენდა, ბევრჯერ დაღამდა,
ბევრჯერ დააფრთხო დილამ წყვილიადი.
მაგრამ სტუმრები ქოხის კუთხეში
ისევე ისხდნენ მობუზულები
და მხოლოდ ღამით, სუსხიან ქარში
გამოდრიდნენ გარეთ ფიჩხისთვის.
ტყიდან მოჰქონდათ ხმელი გირჩები,
ხმელი კუნძები და ნაფოტები,
მერე კი ისევ ქოხის კუთხეში
იბუზებოდნენ მოწყენილები.

და როცა ტყიდან ან მდინარიდან,
თმებდათოვლილი და გათოშილი,
შინ ბრუნდებოდა ჰაიავათა,
რათა ეჭამა ცხელი ვახშამი,
წამოხტებოდნენ ისინიც წამსვე
და ეცემოდნენ სუფრას მგლებივით
და დაითრევდნენ გემრიელ ნაჭრებს
გადარჩეულებს მინეჰაჰასთვის.
მერე კი ისევ ჩრდილებისაკენ
მიფარფატებდნენ მობუზულები.

და არასოდეს ჰაიავათას
არ დასცდენია სიტყვა საწყენი,
არც ნაკომისი აღშფოთებულა
და არც კეთილი „მცინარე წყალი“.
უხმოდ ითმენდნენ სტუმრებს ისინი,

ითმენდნენ უხმოდ და მორჩილებით,
რომ მკვახე სიტყვით ან გამოხედვით
არ შეებღალათ სტუმრის სახელი,
არ დაევიწყათ მასპინძლის ვალი,
არ დაერღვიათ ეს წმინდა წესი.
და ერთხელ, ფხიზელ ჰაიავათას
ძილში ჩაესმა მწარე ქვითინი,
კვნესა ჩაესმა ძილში, გაბმული,
კვნესა და ოხვრა ჩაესმა ძილში.
მთვარე კარგა ხნის ნაევანში იყო,
ძლივსლა ბეუტავდა კერიის ცეცხლი.

მაშინვე ტახტზე წამოჯდა იგი,
გადაიხადა წამსვე საბანი,
გადაიხადა ბიზონის ტყავი,
გახურებული და გაბურძგნული.
და გადასწია მალულად ფარდა
და უცნაური ნახა სურათი:
მისი სტუმრები საწოლზე იხდნენ
და ქვითინებდნენ თმადაშლილები.
და უთხრა სტუმრებს: ჩემო სტუმრებო,
ვინ დაგირღვიათ ტკბილი სიზმრები,
ან ასე მწარედ რამ აგატირათ,
ვინ შეგიშფოთათ, ნეტავ, გულები?
იქნებ ნაკომისს წამოსცდა რამე,
ვერ შეიკავა იქნება თავი,
ან ნაკომისი ან მინეჰაჰა

იქნებ არ იყვნენ თავაზიანნი
და დაივიწყეს დია'ახლისის
ყველაზე წმინდა და დიდი ვალი.“

მაშინ სტუმრებმა შეწყვიტეს მოთქმა,
უცებ შეწყვიტეს მოთქმა-ქვითინი
და უთხრეს ასე: „ჩვენ ვართ სულეები
დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ ხალხის,
რომლებიც ერთ ღროს თქვენთან ცხოვრობდნენ
და ერთ ღროს იყვნენ თქვენიანები.
დღეს კი მოველით მხოლოდ იმიტომ,
რომ შეგაწუხოთ და გაგაფრთხილოთ
და რჩევა მოგცეთ, დაგვიგდე ყური.
ჩვენამდეც აღწევს თქვენი ტირილის,
თქვენი გოდების და მოთქმის ხმები,
ჩვენც გვესმის, როგორ გვეძახით ხოლმე
და როგორ გვიხმობთ მკვდრებს ახლობლები.
მაგრამ გვაწუხებს ამაო მოთქმა,
მკვდრებსაც გვაწუხებს თქვენი წუხილი
და ამიტომაც მოვედით შენთან,
მაგრამ დავრწმუნდით, რომ ცოცხლებს შორის
აღარ ვახსოვართ უკვე არავის,
უკვე არავის აღარ ვჭირდებით
და უკვე ზედმეტ ტვირთად ვიქვცით.
სხვამ დაიკავა ჩვენი ადგილი,
ვერ იცხოვრებენ ამქვეყნად მკვდრები.

შენც დაუფიქრდი ამ ამბავს კარგად
და ხალხს უამბე, რაც ჩვენ გითხარით,
რათა შეწყვიტონ ამიერიდან
ამაო მოთქმა, ოხვრა და ცრემლი.
ნულა სტანჯავენ, ტყუილუბრალოდ,
გადახვეწილებს საიქიოში.


და როცა ვინმეს მარხავენ ხოლმე
ნუ ამძიმებენ ზედმეტი ტვირთით,
რაში სჭირდება მკვდარს იარაღი,
ანდა ჭურჭელი, ანდა ტყავები.
ისინი მხოლოდ სულს ამძიმებენ,
ზედმეტად წვალობს საწყალი სული,
მკვდარს კი სჭირდება მცირე საგზალი,
მცირე საგზალი და მცირე ცეცხლი,
რომ გაინათოს საიქიოსკენ
გზა, დამქანცველი და მოსაწყენი.

ოთხ დღეს გრძელდება სულის მგზავრობა,
ოთხ დღეს გრძელდება მისი ბილიკი
და ოთხჯერ უნდა აანთოს ცეცხლი,
ვიდრე მიაღწევს დანიშნულ ადგილს.
ამიტომ, როცა დამარხავთ ვინმეს .
საფლავზე ცეცხლი დაუნთეთ ხოლმე,
რომ საწყალს შუქი არ შემოაკლდეს
და გზას, მიმავალს საიქიოსკენ,
არ მიიკვლევდეს ხელის ფათურით.

ახლა მშვიდობით, კეთილ კაცო,
ჩვენ მხოლოდ გცდიდით და გაცთუნებდით,
ჩვენი ღუმილით და საქციელით
მხოლოდ გამოცდა გვინდოდა შენი.
მაგრამ დავრწმუნდით, რომ ხარ ალალი,
რომ ხარ კეთილი და მადლიანი
და ნუ შედრკები, თუ უფრო მწარე
შეგხვდება ბრძოლაც და განსაცდელიც.“

უცებ სიბნელე ჩამოწვა ირგვლივ,
უცებ ღუმილი ჩამოწვა ქოხში
და გაოცებულ ჰაიავათას
მოესმა ფარდის სუსტი შრიალი
და იგრძნო, როგორ გადაიწია
ფარდა, კარებზე ჩამოკიდული,
და ლამის სუნთქვაც იგრძნო სახეზე
და თვალიც მოჰკრა ვარსკვლავებს წამით.
მაგრამ სულები აღარსად ჩანდნენ,
აღარსად ჩანდნენ პონიმას მკვიდრნი,
ბნელში უჩუმრად გაქრნენ სულები.





ზიმზილი

წ

იღბანს გაგრძელდა მკაცრი ზამთარი,
 ზამთარი მკაცრი და სუსხიანი.
 უსტვენდა ქარი და სქელდებოდა,
 სულ სქელდებოდა ტბაზე ყინული.
 სულ უფრო უხვად, უხვად და უხვად
 ეფინებოდა ქვეყანას თოვლი.
 და სოფლის ირგვლივ უძრავად იდგნენ
 თოვლის ზვინები და ნამქერები.

ძლივს მიიკვლევდა გზას მონადირე,
 ძლივს მიაღწევდა ნამქერს მუხლებით,
 ველარ შველოდნენ თხილამურებიც, —
 უმწეო იყო გაუვალ ტყეში.

თანაც უკვალოდ გაქრა ნადირი,
უკვალოდ გაქრა ტყიდან ფრინველიც,
არც ირმის კვალი, არც კურდღლის კვალი,
არ ეტყობოდა თოვლს არაფერი.
და მონადირეც, ბოლოს და ბოლოს,
ძირს ეცემოდა ქანცმილეული
და უპატრონოდ იღუპებოდა
გაბრჭყვიალებულ ტყეში, საწყალი.

და გაბატონდა ირგვლივ შიმშილი,
გააჩანაგა სუსტი ქოხები,
ისმოდა მხოლოდ ბავშვის ღნავილი
და ძუძუგამშრალ დედის ტირილი.
დაიმშა მიწაც და დასნეულდა,
მშიერი იყო ცაც და ჰაერიც
და ვარსკვლავებიც დამშეულები
მგლის თვალებივით ბრწყინავდნენ ბნელში.

და კვლავ ესტუმრა ჰაიავათას,
ისევ ესტუმრა ორი სტუმარი,
~~იმ სტუმრებივით მოლუშულები,~~
მოლუშულები და მდუმარენი.
არ დაელოდნენ შეპატიჟებას,
არ დასცდენია არც ერთს სალამი,
და მინეჰაჰას სკამზე ჩამოსხდნენ,
უხმოდ ჩამოსხდნენ დათოვლილები.
და მინეჰაჰას მიაპყრეს მზერა
გაწამებული და მოწყენილი.

და მერე ერთმა თქვა: „შემომხედე,
მე ვარ შიმშილი, ბაკადეგინი!“
მერე მეორემ თქვა: „შემომხედე,
მე ვარ ციება, აკესეგინი!“

და მინეჰაჰამ იგრძნო სიცივე,
როცა შეხედა სტუმრებს თვალებში,
როცა გაიგო მათი სიტყვები,
აუკანკალდა მთელი სხეული.
და იგი უხმოდ წამოწვა ტახტზე,
სახე ჩამალა ბიზონის ტყავში
და იმ საშინელ თვალების მერე
და იმ საშინელ სიტყვების მერე —
ციოდა, მაგრამ იწვოდა სიცხით.

ტყეს მიაშურა ჰაიავათამ,
ტყისკენ გაქანდა იგი შლეგივით,
ტყისკენ გაქანდა და მის სახეზე
კვლავ აღიბეჭდა რწმენა ურყევი.
შუბლზე კი სიმწრის ოფლმა დაასხა
და შეეყინა ოფლის წვეთები.
შეუსვენებლად მიქროდა იგი,
ტანშეფუთვნილი და აღჭურვილი,
მუხის ისრებით საეჟე კაპარკით
და უკვე ბევრჯერ ნაცადი მშვილდით.
შეუსვენებლად მიქროდა იგი
გადაყრუებულ და უღრან ტყეში,

ხელებს უთბობდა მინჯიკაუნი
და მიაფრენდნენ თხილამურები.

„გიტჩი-მანიტო, ძლევამოსილო —
იძახდა ცისკენ თვალაპყრობილი, —
გადაარჩინე შენი შვილები,
მოგვეც საჭმელი, თორემ გავქრებით.
მომეც საჭმელი მინეჰაჰასთვის,
მინეჰაჰასთვის მაინც მომეცი!“

ხმა კი ზარივით ისმოდა ტყეში,
გადაყრუებულ და უღრან ტყეში,
მაგრამ არაფერ არ პასუხობდა,
ჯერ არ ისმოდა ციდან პასუხი.
მხოლოდ მისივე სიტყვების ექო
და მინეჰაჰას ნაზი სახელი
გარინდულ ცაზე რეკდა ზარივით.

ისიც შლეგივით მიქროდა ტყეში,
რომლის გაუვალ და გრილ ჩრდილებში
მან დაასვენა „მცინარე წყალი“,
როცა შინისკენ მოჰყავდა იგი,
დეკორაჰების ლამაზ ქვეყნიდან,
როცა მოჰყავდა ნანატრი ცოლი.

ტკბილად გალობდნენ მაშინ ჩიტები
და კისკისებდნენ ნაკადულები

და ყვაილები მძაფრი სურნელით
მთლად გაუღენთილი იყო ჰაერი.
და ჩურჩულებდა „მცინარე წყალი“:
„შენი ვარ, მარად შენი ვიქნები.“

ახლა კი იგი ვიგვამში იწვა,
უძრავად იწვა ახლა ვიგვამში,
მისი ერთგული და საყვარელი,
ქანცმილეული და მომაკვდავი.
დასტრიალებდა თავს ნაკომისი
და შესცქეროდნენ უცხო სტუმრები.

მერე მან წყნარად უთხრა ნაკომისს:
„ნაკომის, აბა, დაუგდე ყური,
ეს მინეჰაჰას ჩანჩქერის ხმაა,
გესმის? — ღრიალებს. მე მიხმობს იგი.“
ტრემლი მოაწვა ყელში ნაკომისს,
ძლივს ამოდერდა ბოლოს სათქმელი:
„დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო შვილო,
ეს ქარი ღმუის ფიჭვის ხეებში.“

„ხედავ? — განაგრძო „მცინარე წყალმა,“ —
ქოხის წინ მარტო დგას მამაჩემი,
დეკოტაჰების ლამაზ მხარეში
მოხუცი მარტო დგას და მეძახის.“
„დამშვიდდი, ჩემო ძვირფასო შვილო,
ეს ხომ კვამლია, კერიის კვამლი.“

„აგერ პოგაკიც, — თქვა მინეჰაჰამ, —
დამიბრიალა პოგაკმა თვალი,
მე ვგრძნობ მის ხელებს, ცივს და საშინელს,
სადაა ჩემი ძლიერი ქმარი!“

და გაშმაგებულ ჰაიავათას,
გადაყრუებულ და უღრან ტყეში
წამოეწია სიმწრის კივილი
და გაიგონა, როგორ ეძახდა,
როგორ უხმობდა „მცინარე წყალი.“

და გამობრუნდა შინისკენ იგი,
ხელტარიელი და დაზაფრული
და თან ესმოდა, როგორ მოთქვამდა,
როგორ იკლავდა თავს ნაკომისი:
„უაჰონომინ! უაჰონომინ!
შენ როგორ ჩაგდო ცივ სამარეში,
ნეტავ შენს ნაცვლად მე მოვმკვდარიყავ,
უაჰონომინ! უაჰონომინ!“

და როცა ქოხში შევარდა იგი,
მკვდარი იხილა „მცინარე წყალი“,
იხილა მკვდარი და სამუდამოდ
გაციებული და გაცრეცილი.
კედლებს ახლიდა თავს ნაკომისი,
ზეცას სწვდებოდა მისი კივილი,

ისე კიოდა, რომ ვარსკვლავებიც
კრთოდნენ და თრთოდნენ შეწუხებულნი.

და ის უსიტყვოდ ჩამოჯდა ტახტზე,
წყნარად ჩამოჯდა „მცინარე წყალთან“,
რომელიც ადრე მის შესახვედრად
გახარებული მორბოდა ხოლმე.
მერე ხელებში ჩაიმხო სახე,
ჩაქინდრა თავი და იჯდა ასე,
შვიდი დღე იჯდა და შვიდი ღამე
სახეზე ხელებაფარებული.
და დიდი დარდით გულდაწყვეტილი
ველარ არჩევდა დღესა და ღამეს.


მერე დამარხა „მცინარე წყალი“,
ტყეში გათხარა მისი საფლავი,
თოვლში გათხარა მისი საფლავი,
რტოტირებულ კონიოს ძირში.
ტანზე ჩააცვა უძვირფასესი,
თბილად შეფუთნა ყარყუმის ბეწვით
და მინეჭაპას, კეთილს და ღამაზს,
გამოეთხოვა დამწუხრებული.

ღამით დაანთო მაღალი ცეცხლი,
ოთხ ღამეს ენთო მაღალი ცეცხლი,
რომ მისი სული ხელის ფათურით
არ ჩასულიყო საიქიოში.
თვითონ ქოხიდან უცქერდა ჩუმად,

როგორ იბრძოდა კოცონი ქარში
და დაღვრემილი ჩანდნენ ხეებიც.
განათებულნი კოცონის შუქით.
ის კი ფხიზლობდა და უყურებდა,
რომ არ ჩაექრო ქარბუქს კოცონი
და მინეჰაჰას ნათელი სული
არ დამფრთხალიყო წყვდიადში შიშით.

„მშვიდობით, ჩემო „მცინარე წყალო,“
ო, მინეჰაჰა ჩემო, მშვიდობით!
შენთან მარხია ჩემი ფიქრებიც,
ჩემი გონებაც და ჩემი გულიც.
ნუ დაბრუნდები, ძვირფასო, უკან,
ნულარასოდეს ნუ დაბრუნდები,
ნურც სამუშაოდ, ნურც სატანჯველად,
ნურც საშიმშილოდ ნუ დაბრუნდები.
მეც დაეასრულებ ჩემს საქმეს მალე,
მალე მოვრჩები და გამოგყვები
და იქ, პონიმას ვრცელ ქვეყანაში
ისევ შევხვდებით და შევეერთდებით.“





თეთრი კაცის ნაკვალევი



ატარა ქოხში, მდინარის პირას,
 თოვლში ჩაძირულ მდინარის პირას,
 იჭდა მოხუცი, თოვლივით თეთრი,
 თოვლივით ჩუმი და მოწყენილი.
 ძლივ'ლა ბეუტავდა ბუხარში კუნძი,
 ძლივსლა ითბობდა ხელებს მოხუცი,
 და მისი თეთრი წამოსასხამიც
 უკვე ძონძებად იყო ქცეული.
 გარეთ ბნელოდა და მთელი ძალით
 აზანზარებდა ტყეებს ქარბუქი,
 მკერდით მოქონდა თოვლის ზვინები
 და აყრუებდა ზეცას ღრიალით.

უკვე კვდებოდა ბუხარში ცეცხლი
და ცივდებოდა თბილი ნაცარიც,
როცა მოადგა ვიგვამს ყმაწვილი,
ლაწვშეფაკლული და თვალეზმშვიდი.
უციმციმებდა ყმაწვილს თვალეზი,
წითლად ელავდნენ მისი ლაწვები,
შუბლი ბალახით ჰქონდა შემკული,
ბალახითა და ჰრელი ბუმბულით.
და ქოხსაც მშვიდი შუქით ავსებდა
უცხო ყმაწვილის ნაზი ღიმილი,
ხელში ეჭირა ყვავილთა კონა,
სურნელოვანი და საამური.

მოხუცი ფეხზე წამოდგა წამსვე,
მიიპატიჟა ცეცხლთან სტუმარი
და უთხრა: „ცეცხლთან ჩამოჯექ, შვილო,
გაითბე ხელი და მომიყევი,
რაც გაგიგია და რაც გინახავს,
მაინტერესებს შენი ამბავი.
მეც ბევრი რამე გადამხდენია,
გაუგონარი და საოცარი.“

მერე გააწყო დიდი ჩიბუხი,
უცხოდ ნაკეთი და ძველისძველი.
ლამაზი იყო ჩიბუხის თავი,
წითელ ქვისაგან გამოძერწილი
და ჰრელი ფრთებით დამშვენებული,

ტარად ლერწამი მოერგოთ მისთვის.
მერე მოხუცმა ტირიფის ქერქით
მაგრა გატენა ძველი ჩიბუხი
და გაუწოდა სტუმარს ღიმილით,
უცხოდ ნაკეთი და ძველისძველი.
თვითონ კი ისევ ბუნხართან დაჯდა,
ცეცხლს მიუშვირა ისევ ხელები.

მერე კი ასე ბრძანა მოხუცმა:
„თუ შევუბერე ქვეყანას სული,
წამსვე ადგილზე გაქვავდებიან
ეს დამთხვეული მდინარეები.“

„მე კი, თუ ერთხელ ამოვისუნთქავ, —
შეეპასუხა მოხუცს ყმაწვილი, —
გაქვავებული მდინარეები
დაეშვებიან თავქვე სიმღერით.
გაიშლებიან თეთრი სოსნები,
ლურჯი ლერწმები და ბალახები,
შეიფოთლება ტყე და მინდორი, —
თუ შევუბერე ქვეყანას სული.“

არ ეჭაშნიკა სტუმრის სიტყვები
და მოიბუზა ცეცხლთან მოხუცი
და უბასუხა: „თუ შევარხიე
ჩემი ჭალარა და მძიმე თმები,
დაიფარება ქვეყანა თოვლით,

ჩამოცვივდება ტყეში ფოთოლი.
და მერე სულის ერთი შებერვით
გაიფანტება ცაში წივილით.
ხოლო გაუვალ ჭანჭრობებიდან
წამოფრინდება ბატების გუნდი
და გაფრინდება სამხრეთისაკენ,
დაფეთებული და გათოშილი.
საკმარისია სულ ერთი სიტყვა
და აღსრულდება ჩემი სურვილი,
გადიკარგება ტყიდან ნადირი,
ანდა ჩაძვრება ბნელ სოროებში
და გამაგრდება მიწა კაჟივით.“

ყმაწვილმა მშვიდად შეხედა მოხუცს
და უპასუხა სათნო ღიმილით:
„თუ შევარხე ჩემი ქოჩორი
წვიმა წამოვა ციდან შხაპუნით,
გაიშლებიან წელში ხეები,
ტყე აყვავდება, გაღვიძებული,
ხოლო ბატები და წეროები
დაბრუნდებიან კვლავ ჭანჭრობებში.
კვლავ დაბრუნდება სწრაფი მერცხალიც,
ნაზი ოპიჩიც და შავი შაშვიც.
სადაც არ უნდა დავადგა ფეხი,
გაიშლებიან ყველგან სოსნები,
გაიშლებიან ლურჯი ლერწმები,
შეიფოთლება ტყე და მინდორი.“

ამასობაში გათენდა კიდეც
და უაბენის სამფლობელოდან
ქვეყნის მნათობმა გამოყო თავი
და გამოვიდა მეომარივით
კობტად მორთული და მოხატული.
მერე გაბრწყინდა და დაიძახა:
„მე გიზისი ვარ. აჰა, მოვედი!“ 29

ენა წაერთვა საბრალო მოხუცს,
ხოლო თანდათან გათბა ჰაერი
და აჭიკჭიკდა ვიგვამის თავზე
ნაზი ოპიჩი და შავი შაშვი.

მზეზე განათდნენ ნაკადულები
და შეესივნენ მინდორს სიმღერით,
ნედლი ფოთლების და ბალხების
მძაფრმა სურნელმა გაავსო ქოხი.
და გაზაფხულმა, სიცოცხლით სავსემ,
დღის სინათლეზეც შეასწრო თვალი
პებოუენის გაყინულ სახეს,
მწარედ ტიროდა პებოუენი.

ჩამოსდიოდა წვერზე და მკერდზე
საბრალო მოხუცს სიმწრის ცრემლები.
მერე თანდათან დაპატარავდა
და ჩაიკარგა ბოლოს მიწაში.
და დაინახა ყმაწვილმა კაცმა,
რომ ნაცეცხლარზე ენთო ენძელა,
იქ, სადაც ღამით ცეცხლი ბუუტავდა
ახლა ლამაზად ენთო ენძელა.

და გაზაფხულდა, კვლავ გაზაფხულდა,
იმ გაუგონარ ყინვების შემდეგ,
იმ აუტანელ სიცივის შემდეგ,
ბოლოს და ბოლოს, კვლავ გაზაფხულდა.
მთელი სიმძაფრით და სილამაზით
და სიდიადით კვლავ გაზაფხულდა,
მზით და ჩიტებით და ყვავილებით
და ბალახებით კვლავ გაზაფხულდა.

და მოჰყვებოდნენ ქარს ისრებივით,
გახარებული თეთრი გედები,
თეთრი გედები, მანაბიზები,
მოწმენდილ ცაზე გალობდნენ ტკბილად.
და მოჰყვებოდნენ გედებს ბატები,
ცაზე ზოლებად გამწკრივებული,
დაჭიმულები მშვილდის ლარივით,
უბრუნდებოდნენ ბატები ბინას.
ბატებს მისდევდნენ ბატასინები,
ყველა ფრინველი მოქროდა უკან,
უკან მოქროდა ჭრელი კაკაბიც
და შუჰ-შუჰ-გაიც და უაუაც.

ამ დროს დაბრუნდა ჩვენი იაგუც
აღმოსავლეთის უცხო ქვეყნიდან,
დიდი ტრაბახა და მოგზაური
კვლავ დაუბრუნდა საყვარელ კერას,

კვლავ დაუბრუნდა საყვარელ სოფელს
და გაიკრიფა მაშინვე ენად.
და ფეხზე იდგა მთელი სოფელი,
სანამ იაგუ ჰყვებოდა ამბავს,
სიცილს აყრიდა მთელი სოფელი
იაგუს ახალ თავგადასავალს.
„რაებს გვატყუებს ჩვენი იაგუ,
საიდან იცის ამდენი, ნეტავ.“

ის კი ყვებოდა, რომ ნახა წყალი
მარილზე მლაშე და ვრცელზე ვრცელი,
ათასჯერ უფრო ვრცელი და ფართო,
ათასჯერ, ვიდრე გიტჩი-გიუმბი.
თავებს იქნევდნენ სოფლის ქალები,
ბერიკაცები და მეომრები
და თან ამბობდნენ: „ვერ დავიჯერებთ,
რომ არსებობდეს ამგვარი წყალი,
ვერ დავიჯერებთ, ძმაო, ვერაფრით.“

ის კი ჰყვებოდა: „ხოლო ამ წყალზე
დიდი კანოე ვნახე ფრთიანი,
ფრთები ზეცაში ჰქონდა გაშლილი
ყველა ფიქვენარზე ვრცელსა და მაღალს.“
„ვერ დავიჯერებთ, ჩვენო იაგუ,
ვერ დავიჯერებთ ამას ვერაფრით,“ —
ასე ამბობდნენ სოფლის ქალები,
ბერიკაცები და მეომრები.

ის კი ჰყვებოდა: „დიდმა კანოემ
ისროლა ელვა, თვალისმომჭრელი,
და მოაყოლა ჭექა-ქუხილი,
რომელმაც ყველას დაგვცა თავზარი.“
„რა ზღაპრებს ყვები, ჩვენი იაგუ,
სხვას მოუყევი შენი ზღაპრები!“
და ხითხითებდნენ სოფლის ქალები,
ბერიკაცები და მეომრები.

ის კი ჰყვებოდა: „ამ კანოეთი,
ამ დიდი ნავით მოცურდა ხალხი,
ნაპირს მოადგა ასი მებრძოლი,
ასივე თეთრი და წვეროსანი.
თეთრი წაესვა სახეზე ყველას,
თმით დაეფარა ყველას ნიკაპი.“
და ზორხოცობდნენ სოფლის ქალები,
ბერიკაცები და მეომრები:
„ხომ არ გგონია, რომ დაგიჭერეთ,
რამ შეგაყვარა ასე ტყუილი.“

მხოლოდ და მხოლოდ ჰაიავათა
არ იცინოდა და გულისყურით
ისმენდა მოხუც იაგუს ამბავს
და გააჩუმა ბოლოს ყველანი:
„სიმართლეს ჰყვება ჩვენი იაგუ,
მეც დამესიზმრა ფრთიანი ნავი,
ფრთიანი ნავი და თეთრი ხალხი,
წვერმოშვებული და უცნაური.


ამ ხალხს გვიგზავნის დილის ქვეყნიდან
გიტჩი-მანიტო, ძლევამოსილი,
დიადი სული და შემომქმედი,
ჩვენი შემქმნელი და მეგობარი.
ღმერთის ბრძანებით და დავალებით
მოცურავს ჩვენკენ ფრთიანი ნავი,
ჩვენკენ მოცურავს ის თეთრი ხალხი,
ღმერთის ბრძანებით და დავალებით.
სადაც ისინი ფეხს დაადგამენ,
იქვე გუნდებად ჩნდება ფუტკარი,
აზუზუნდება იმწამსვე ამო
და ყველაფერი ივსება თათლით.
სადაც ისინი ფეხს დაადგამენ
აღმოცენდება უცხო ყვავილი,
სურნელოვანი და მშვენიერი,
ბუნებისა და სიცოცხლის თვალი.

ჩვენც მეგობრულად დავხვდეთ მოსულებს,
სწვა ქვეყნისა შვილებს დავხვდეთ ძმებივით
და გავუწოდოთ მარჯვენა ხელი,
გავუყოთ დარდიც და სიხარულიც.
ასე მირჩია გიტჩი-მანიტომ,
როცა, კეთილი და დიდებული,
ჩემს სანახავად მოვიდა იგი.
მე ამ სიზმარში გზაც დავინახე
და საიდუმლოც ჩვენი მომავლის.
მე დავინახე, რომ დასავლეთიც
დასახლებული ყოფილა ხალხით,

ათასნაირად მოლაპარაკე,
შრომისმოყვარე და მებრძოლ ხალხით.
იმ ხალხს აერთებს ერთი ოცნება,
ერთი სურვილი და ერთი გული
და მოუსვენარ ხელებით ჩეხავს
გაუვალ ტყეებს და გაჰყავს გზები,
მერე კი ველზე ჩნდება ქალაქი
და ცა ივსება ქალაქის ბოლით,
ხოლო ტბებზე და მდინარეებზე
ლაღად დაქრიან დიდი ნავები,
აღჭურვილები ჭექა-ქუხილით.

მერე მე ვნახე ჩვენი ტომები,
სხვადასხვა მხარეს გაფანტულები,
რა საშინელი სიზმარი იყო,
ერთმანეთს მტრობდნენ ჩვენი ტომები.
გადაევიწყათ ჩემი რჩევები
და სისხლს უშრობდნენ ერთმანეთს შუღლით,
მერე, უძლურნი, დასავლეთისკენ
მიისწრაფოდნენ დაღვრემილები,
როგორც ღრუბლები სუსხიან ქარში,
ან შემოდგომის ხმელი ფოთლები.





პიანათას გამგზავრება



იტჩი-გიუმის გაშლილ ნაპირზე,
გიტჩი-გიუმის ელვარე ტბასთან,
თავის ვიგვამის ღია კარებში
უჩუმრად იდგა პიანათა,
იდგა და თვალი ტბისთვის მიეპყრო,
ელოდებოდა თითქოს რაღაცას.

პაერი იყო გრილი და სუფთა,
ფეხქვეშ ღვიოდა გამთბარი მიწა
და მზის სხივებით მოთენთილებმა
გადაიფრინეს ტყისკენ ფუტკრებმა,

ამოს მზისფერმა და ზანტმა გუნდმა
მეზობელ ტყისკენ გაიზუზუნა.

ზევით ელავდა ნათელი ზეცა,
წინ კი მდუმარე ტბა ცახცახებდა
და ტბის გულიდან ამოხტა თართი,
მზეზე გაბრწყინდა და გაიბრძოლა,
ტყე კი ამაყად იდგა ნაპირზე
და ტბის თვალეში ირეკლებდა
და ყველა ტოტის და ფოთლის ჩრდილი
წყლის უძრავ ფსკერზე გარკვევით ჩანდა.

და ფიქრში წასულ ჰაიავათას
დამწვინდებოდა სახე სრულიად
და გამქრალიყო წუხილის კვალიც,
სულ გამქრალიყო მისი სახიდან,
როგორც ბურუსი გაქრება ხოლმე
გიტჩი-გიუმის ზედაპირიდან,
ან როგორც ნისლი გაქრება ხოლმე
ქაობებიდან და ტუნდრებიდან.
და გაბადრული მშვიდი ღიმილით,
ქოხის გაღებულ კარებში იდგა,
იღიმებოდა და ისე იდგა,
თითქოს ხედავდა იგი უხილავს.
მზისკენ იშვერდა დაკოყრილ ხელებს,
დაკოყრილ პეშევებს მზეს უჩვენებდა
და თითებს შორის გამომკრთალ შუქში

მისი ლამაზი სახე ელავდა,
ელავდა მისი შიშველი მხრები,
როგორც დაბურულ უღრანში მუხა,
როცა ტოტებში და ფოთლებს შორის
გააღწევს ხოლმე მზის ბრწყინვალეობა.

და გარინდებულ ტბის ზედაპირზე
რალაც მოქროდა თუ მოცურავდა,
ხან მოცურავდა, ხან მოფრინავდა,
მალლა იწევდა და ცახცახებდა
და ყოველ წამში ახლოვდებოდა,
ახლოვდებოდა და დიდდებოდა.

რა იყო ნეტავ, ყანჩა თუ ბატი,
თუ შინგებისი, რა იყო ნეტავ?
ყანჩასაც ჰგავდა და ბატასაც ჰგავდა,
უაუასაც და პელიკანსაც.
ის არ ყოფილა არც პელიკანი,
არც შუჰ-შუჰ-გაი, არც უაუა,
გაპრიალებულ ფრთებსა და კისერა
მზეს რომ მიუშვერს და უხარია.
ის იყო არყის დიდი კანოე
და აყოლილი ტალღების სუნთქვას
ხან ჩაიწევდა და გაქრებოდა,
ხან აიწევდა და მოცურავდა.
და თან მოჰყავდა უცნობი ხალხი,
თეთრკანიანი ხალხი მოჰყავდა,
მზისა და დილის და უაბენის

შორზე შორეულ სამფლობელოდან.
და ნაეში ფეხზე იდგა მოძღვარი,
თეთრკანიანი და შავოსანი
და მეგზურებით გარემოცული,
ჯერ გაუკვალავ გზას გაჰყურებდა.

ნაპირზე დახვდათ ჰაიავათა,
ესალმებოდით ხელაპყრობილი
და იდგა ასე, სანამ კანოე,
მოადგებოდა ნაპირს კრიალით,
მოადგებოდა და თბილ სილაში
შეიკრებოდა წვეტიან ცხვირით.

[და გამოვიდა უცხო ნაპირზე]
შავად მოსილი იგი მოძღვარი,
გადმოდგა ფეხი და მზის სხივებზე
ჯვარი განათდა და აბრჭყვიალდა.

მაშინ კეთილმა ჰაიავათამ
ასე მიმართა უცნაურ სტუმრებს:
„მზეც გეგებებათ, უცხო სტუმრებო,
თქვენი აქ მოსვლით განარებული.
თქვენ გეგებებათ მთელი სოფელი,
ლარიბი, მაგრამ მშვიდობიანი,
თქვენთვის ღიაა ყველა კარები
ჩვენი გულების და ვიგვამების,
ოღონდ მარჯვენა გამოგვიწოდეთ,
გამოგვიწოდეთ და გამოგიწვდით.

ჯერ არასოდეს აყვავებულა
ისე ლამაზად ტყე და მინდორი,
ჯერ ასე უხვად არ გაუვსია
ტყე და მინდორი გიზისს სხივებით,
ჯერ არ ყოფილა ასეთი მშვიდი
და გამკვირვალე გიტჩი-გიუმი,
ჯერ არ ყოფილა ჩვენი თუთუნი
ასეთი ტკბილი და საამური,
ჩვენი ყანებიც ჯერ არ ყოფილან
საკქერლად ასე მომხიბვლელები,
როგორც ამ დილით, ამ მზიან დილით,
თქვენ რომ დაადგით ჩვენს მიწას ფეხი.“

მაშინ მოძღვარმაც დალოცა იგი,
ახსენა ბევრი სიტყვა მზიანი,
ბევრი უცნობი სიტყვა ახსენა,
ლამაზი, მაგრამ გაუგებარი:
„აქა მშვიდობა, ჰაიავათა,
შენს ხალხს და მიწას მშვიდობა ღვთისა,
მშვიდობა ღვთისა შენს ქოხს და ყანას,
გფარავდეს ქრისტე და მარიამი.“

მაშინ კეთილი ჰაიავათა
სტუმრებს თამამად შეუძღვა ქოხში,
ისინი დასვა ბიზონის ტყავზე,
ქვეშ დაუფინა ფაფუკი ტყავი.
და ნაკომისმა საურველ სტუმრებს

კერძი მიაართვა ცაცხვის ჯამებით,
წყალი მიაართვა თიხის დოქებით
და გააღვივა ძველი ჩიბუხი.
გამოიტანა ძველი ჩიბუხი,
მაგრად ჩატენა თუთუნის ცერით,
დაადო ცეცხლი და გააღვივა
და მერე სტუმრებს მიაართვა ისიც.

მერე სტუმრების მისასალმებლად
მთელი სოფელი შეგროვდა ქოხში,
მოვიდნენ სოფლის უხუცესები,
ჯოსაკიდები და მიდიები,
ახალგაზრდები და მეომრები,
მოვიდნენ, რათა ეთქვათ სალამი.
„კარგია, — ასე ამბობდა ყველა, —
ჩვენს სანახავად რომ ჩამოხვედით.“

მერე მოძღვარმა ხალხს განუმარტა
თავისი მცნების მთავარი აზრი:
ვინ იყო ქრისტე ან მარიამი
ან როგორ იქცა დედად ქალწული.
უამბო, როგორ ცხოვრობდა ქრისტე
დიდი ხნის წინათ, უცხო მხარეში,
როგორ განათდა და განიწმინდა
მისი სხეული ლოცვით და მარხვით.
მერე წყევლილმა ებრაელებმა,
შერისხულებმა ღვთისგან ათასგზის,

როგორ აწამეს და ნაწამები
ჯვარს როგორ აცვეს მისი სხეული.
ისიც უამბო, თუ როგორ აღსდგა
და ცაში როგორ ამაღლდა იგი.
და ასე უთხრეს უხუცესებმა:
„ჩვენ მოვისმინეთ შენი ნათქვამი,
ჩვენ გულში ჩაგვწვდა შენი სიტყვები
და ახლა კარგად დავუკვირდებით.“
ბოლოს დასძინეს: „კარგია, ძმებო,
ჩვენს სანახავად რომ ჩამოხვედით.“

მერე წამოდგნენ და დაიშალნენ,
ყველა წავიდა თავის ვიგვამში
და პირდაღებულ ბავშვებს და ქალებს
უამბო უცხო კაცის ნათქვამი.
მერე ჩამოწვა შუადღის სიცხე,
დამძიმებული და გარინდული,
და ტყე, სიცხისგან ძილმორეული,
რალაცას სთხოვდა ქოხებს ჩურჩულით.
და წყალიც, სიცხით ძილმორეული,
ეხუტებოდა მხურვალე ნაპირს.
მზე აცხუნებდა და ყანებიდან
ელაყებოდნენ მზეს ჭრიჭინები.
სტუმრებიც თვლემდნენ დახუთულ ქოხში,
ქანცმილეულნი გზითა და სიცხით,
და რულმორეულ არემარეზე
ძლივს ეშვებოდა საღამოს ბინდი.

და მზემ თანდათან გადაიტანა
ბასრი სხივები დაბურულ ტყეში,
და გადაჩხრიკეს სხივებმა წამსვე
ტყე, დაბურული და გარინდული.
არ დაუტოვეს არც ერთი კუთხე,
ფხიზლად გაჩხრიკეს ყველა კუნჭული,
ვიდრე სტუმრები ვიგვამში თვლემდნენ,
ვიდრე ავსებდნენ ქოხს მშვიდი ფშვინვით.

ჩემად წამოდგა ჰაიავათა,
გამოეთხოვა მოხუც ნაკომისს,
გადაიხარა და წასჩურჩულა,
რომ არ დაეფრთხო სტუმრების ძილი:
„მივდივარ, ჩემო ტკბილო ნაკომის,
და უკან, ალბათ, ვერ დავბრუნდები,
ჩემი გზა მიდის დასაელეთისკენ,
სადაც კარიბჭე ბრწყინავს დაისის.
იქ მელოდება კივიედიანო,
მე უნდა გავხდე მისი მმართველი.
შენ კი, ძვირფასო, მიხედე სტუმრებს,
არ მოაწყინო აქ უჩემობით,
არ შეაწყუხოთ შიშმა და ეჭვმა
და არ შეემთხვეთ რამე ხიფათი.
ჩემს ღარიბ ქოხში ყოველთვის ჰქონდეთ
ბინაც და ცეცხლიც, წყალიც და კერძიც.“

მერე სოფელში გავიდა იგი,
იხლა სოფლელებს დაუკრა თავი,
ქალებს, მეომრებს და უხუცესებს
გამოეთხოვა ყველას ღიმილით.
და უთხრა ასე: „ო, ჩემო ხალხო,
მე მელოდება გზა დამქანცველი,
ქვეყანას ბევრჯერ დაფარავს თოვლი,
ბევრჯერ შემოსავს ნაზი ყვავილი,
ვიდრე კვლავ მოვალ თქვენს სანახავად,
თქვენი ერთგული და მოყვარული.
თქვენ კი მიხედეთ ჩემს სტუმრებს კარგად,
არ მოაწყინოთ აქ უჩემობით,
კარგად დაუგდეთ მათ ნათქვამს ყური,
გამოიტანეთ სიტყვიდან აზრი.
რადგან ისინი მოვიდნენ ჩვენთან
ღმერთის ბრძანებით და დავალებით.
და მოიყოლეს სინათლე მზისა
და სურნელება კეთილი დილის.“

მერე ტბისაკენ დაეშვა იგი
და შეაცურა წყალში ჩიშონი. .
კვლავ გამოხედა ნავიდან სოფელს,
კვლავ დაუქნია მეზობლებს ხელი.
და წასჩურჩულა ნავს მეგობრულადა
„ჩემო ჩიშონო, აბა, შენ იცი,
დასავლეთისკენ, დასავლეთისკენ!“
და მთელი გულით გაცურდა ნავიც.

მზემ, ჩამავალმა და დაქანცულმა,
წითლად შეღება თეთრი ღრუბლები
და კვლავ გაავლო ტბის ზედაპირზე
მდინარესავით ნათელი კვალი.

იმ კვალში ჩადგა არყის ჩიმონიც,
დასავლეთისკენ აიღო გეზი,
დასავლეთისკენ, დასავლეთისკენ,
ლაღად გაცურდა არყის ჩიმონი.
ცეცხლწაკიდებულ დაისისაკენ
თან წაიყოლა ნაგმა პატრონი.

და ნაპირიდან უცქერდა ხალხი,
როგორ მიქროდა არყის ჩიმონი,
როგორ იწევდა აღმა და დაღმა,
გარშემორტყმული თეთრი ტალღებით.
ვიდრე მთლიანად არ გაქრა იგი
დაისის ბინდში და სიწყნარეში,
როგორც ალისფერ ღრუბლებში ხოლმე
გაქრება მთვარე, ფერმილეული.

„მშვიდობით, ჩვენო ჰაიავათავ,
ღმერთმა აკურთხოს შენი სახელი!“ —
ასე ამბობდა ნაპირზე ხალხი
და უბრწყინავდა თვალებში ცრემლი.
და დაბურული ტყეებიც ტბისკენ
მოფათურობდნენ გრძელი ხელებით
და ხალხს ესმოდა ხეების მოთქმა:

„ჰაიავათავე, ძმაო, მშვიდობით.“
„მშვიდობით, ჩემო ჰაიავათავე!“ —
ნაპირთან კენესა ისმოდა ტალღის
და შუჰ-შუჰ-გაიც, საბრალო ყანჩა,
მიაცილებდა ძმობილს ცრემლებით
და ნისლმობხვეულ ჭაობებიდან
ზეცას სწვდებოდა მისი ქვითინი.

ასე წავიდა ჰაიავათა,
კეთილშობილი და საყვარელი,
დაისის ბინდში და სიჩუმეში
ასე გაცურდა არყის ჩიმონით.
დასავლეთისკენ გაცურდა იგი,
სადაც უცდიდა კივეიდინი
და მიაშურა პონიმას ქვეყნებს
და გადავიდა საიქიოში,
სამარადისოდ განათებული
ხალხის ცრემლებით და სიყვარულით.



ბენდი ლონგფელო და მისი „სიმღერა ჰაიავატაზე“

გამოჩენილი ამერიკელი პოეტის ჰენრი უორდსუორთ ლონგფელოს (1807-1882) ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. ამერიკელ პოეტთაგან ჰენრი ლონგფელო თავის სიცოცხლეში ყველაზე პოპულარული მწერალი იყო ევროპის ქვეყნებში. ჰენრი ლონგფელოს სახელი ხშირად იხსენიებოდა იმდროინდელ ქართულ პრესაშიც. მისი რომანტიკული პოეზია დღესაც მკითხველთა დიდ ინტერესს იწვევს.

ჰენრი ლონგფელოს შემოქმედება ეხმაურებოდა XIX საუკუნის უმთავრეს მოვლენებს. თავისი პოეზიით პოეტი მკაცრად გამოხატავდა ეკონომიურ, რელიგიურ, ეროვნულ ჩაგვრას, მრისხანედ ჰკიცხავდა ზანგების დისკრიმინაციას, თანაგრძნობით წერდა ინდიელთა მძიმე ხედვარზე, მუდამ მშვიდობისა და ხალხთა შორის მეგობრობის ჰუმანისტური იდეების მოსარჩლე იყო. მან დიდი წვლილი შეიტანა ზანგთა მონობისაგან განთავისუფლების საქმეში. ამ თემაზე დაწერილი ლექსები „სიმღერები მონობაზე“ (1842 წ.), რომელიც ზანგთა განმთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ ბელადს — უილიამ ჩანინგს მიუძღვება, ეხმაურებოდა სხვა ხალხთა ბრძოლებსაც ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. ამიტომ, შემთხვევითი არ იყო, რომ ილია ქავჭავაძის ჟურნალში „საქართველოს მოამბე“ ერთ-ერთ სტატიას ეპიგრაფად ჰქონდა წამძღვარებული სიტყვები ჰენრი ლონგფელოს ლექსიდან „გაფრთხილება“: „ჩვენს ქვეყანაში არის დამონებული და დაბრმავებული სამსონი. იგი ბორკილებისაგან ქანცგაწყვეტილია, მაგრამ ვითუ მან ხელები აღმართა სიმწრისაგან გაცოფებულმა“.

ლონგფელომ შექმნა მედიტატიური ლირიკის არა ერთი კარგი ნიმუში: „დანტე“, „ებრაელთა სასაფლაო ნიუპორტში“, „მწუხრის ვარსკვლავის სიკვდილი“, „ისარი და სიმღერა“ და სხვა. აღსანიშნავია მისი ლექსების კრებული „გზისპირა სასტუმროს ამბები“ (1863-65), რომელიც ბოკაჩიოს

„დეკამერონისა“ და ჩოსერის „კენტერბერული მოთხრობების“ ყაიდაზე დაწერილი. პოეტი დიდ ყურადღებას უთმობდა ადამიანთა სულიერ ცხოვრებაში პოეზიისა და ხელოვნების მნიშვნელობას. ლექსში „პრომეთე“ პოეტი დიად შემოქმედთ — სერვანტესს, მილტონსა და სხვებს ადამიანთა მორღმის დიდ ქომავს — კავკასიის ქედზე მიჭაქველ პრომეთეს ადარებს, — პოეზიას, გმირისამებრ, ადამიანები სინათლისაკენ მიჰყავს.

1 პენრი ლონგფელო არა მხოლოდ კარგი პოეტი, შესანიშნავი მთარგმნელიც იყო. პოეტმა ინგლისურ ენაზე თარგმნა დანტეს „ღვთაებრივი კომედია“. იგი რამდენიმე უცხო ენას ფლობდა და თვრამეტი წლის მანძილზე ევროპულ ენებსა და ლიტერატურას ასწავლიდა ჰარვარდის უნივერსიტეტში. ენების ცოდნის სრულყოფის მიზნით მან რამდენიმეჯერ იმოგზაურა ევროპაში. ინგლისში ყოფნის დროს (1842) გაეცნო დიკენსს. გერმანიაში დაუახლოვდა კარლ მარქსის მეგობარს, პოეტ ფერდინანდ ფრაილიგარტს, რომელმაც გერმანულ ენაზე თარგმნა ლონგფელოს პოემა „სიმღერა ჰაიავათაზე“. 1868-69 წლებში ლონგფელომ მეოთხედ იმოგზაურა ევროპაში, სადაც მას უკვე კარგად იცნობდნენ. ლონგფელოს ჩამოსვლამ მთელი მოწინავე ევროპის ყურადღება მიიპყრო. კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში მას დოქტორის საპატიო წოდება მიანიჭეს.)

პოეტი ბავშვობიდანვე დიდი ინტერესით ეცნობოდა მშობლიურ ქვეყანას, მის ბუნებას, ამერიკის დასახლების ისტორიას, ამერიკელ ინდიელთა ყოფა-ცხოვრებას, მათს ხალხურ შემოქმედებას. ყოველივე ეს გამოხატულებას პოულობდა მის პოეზიაში, რომლის ერთ-ერთ მასაზრდოებელ წყაროს ხალხური ზეპირსიტყვიერება წარმოადგენდა. პენრი ლონგფელოს პოეზიის ამ თავისებურებამ მთელი ძალით იჩინა თავი პოეტის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებში „სიმღერა ჰაიავათაზე“ (1855).

პოემა „სიმღერა ჰაიავათაზე“ ამერიკული ეროვნული ეპოსის ერთ-ერთ ბირველი მნიშვნელოვანი ნიმუშია. „სიმღერა ჰაიავათაზე“, — წერდა ლონგფელო, — შეიძლება ითქვას, ინდიელთა ედაა. მე იგი დაწვერე ჩრდილო ამერიკელ ინდიელთა შორის გავრცელებული თქმულებების საფუძველზე. მათში მოთხრობილია ჯადოსნური წარმოშობის ადამიანზე, რომელიც წარმოგზავნილია ადამიანებთან მდინარეების, ტყეებისა და სათევზაო ადგილების გასაწმენდად, ხალხისათვის წერა-კითხვის სასწავლებლად. ამ თქმულებებში ჩაუერთე ინდიელთა სხვა წარმტაცი თქმულებე-

ბიცი... პოემის ამბავი ხდება ოჯიბუეების მხარეში, ზემო ტბის სამხრეთ ნაპირზე, ფერწერულ კლდეებსა და ქვიშებს შორის.

ლონგფელოს პოემა ჩვენს თვალწინ აცოცხლებს ჩრდილო-ამერიკის თვალწარმტაც ბუნებას და ინდიელთა თავისებურ ეგზოტიკურ ყოფას. ამ პოემაში ცხადლივ გაისმის წყალუხვი მდინარეების ხმაური, მოჩანს მოშრიალე უზარმაზარი ფიჭვის ტყეები, რომელთა პირას ინდიელებს თავიანთი ვიგვამები გაუშლიათ, ვეცნობით უშუალოდ ბუნების წიაღში მცხოვრები ხალხის ჰირსა და ვარამს. ლონგფელომ თავის პოემას მისცა სრულყოფილი პოეტური ფორმა, ველური ფერების, ბგერებისა და სურნელების სიმდიდრე.

„სიმღერა ჰაიავათაზე“ მოგვითხრობს ინდიელთა სახალხო გმირის ჰაიავათას დაბადების, ცხოვრების, გმირობისა და თავდადების ამბავს, მის ბრძოლას სათნოებისა და მშვიდობიანობის მისაღწევად. ჰაიავათა ისტორიული პიროვნებაა, რომელსაც XVI საუკუნის დასაწყისში უცხოვრია და თავისი მოღვაწეობით დიდად შეუწყვია ხელი ახლანდელი ნიუ-იორკის შტატის მიდამოებში მცხოვრებ ძველ იროკეზთა ხუთი ტომის შეკავშირებისა და ურთიერთ შეუღლის მოსპობისათვის.

ლონგფელოს პოემას შორეული და პირველყოფილი, უბრალო და უშუალო ლეგენდებისა და თქმულებების სამყაროში შევეყავართ. პოეტი მნიშვნელოვნად შორდება ისტორიულ ამბებსა და ცდილობს, ისევე სადად, მაგრამ ამაღლებული პოეტურობით წარმოგვისახოს ჰაიავათას გმირული სახე, როგორც იგი ხალხის ფანტაზიას შეუქმნია. პოემაში ჰაიავათა აღმაჲნი კი არა, ნახევარღმერთია, იგი თავისი ხალხის არა მარტო ქომავი და მასწავლებელია, არამედ მათი წინასწარმეტყველიცაა. პოეტი თავის პოემაში ინდიელთა ყოფა-ცხოვრების განვითარების ნათელ სურათს ქმნის, ჰაიავათა ასწავლის თავის მოძმეთ ხელოვნებასა და ხელობას, სიმინდის მოშენებას, ნაოსნობასა და დამწერლობას. იგი ებრძვის ბოროტ გრძნელს, — ავადმყოფობის, სიავის, ძალადობისა და უსამართლობის სიმბოლოს — მეგისოგვენს. აღამიანი ეუფლება წარმოების საშუალებებს, აშინაურებს ცხოველებს, ებრძვის ბუნების ბნელ ძალებს. ჰაიავათა ცოლად ირთავს სულით სპეტაკ მინეჰაჰას. მათი სათუთი სიყვარული ოჯახის სიწმინდისა და პატიოსნების განსახიერებაა. და ბოლოს, ჰაიავათა ინდიელებს ქრისტიანობას აზიარებს. უნდა აღინიშნოს, რომ პოემაში ქრისტიანობა

მხოლოდ და მხოლოდ პირობითი პოეტური სახე, მაღალი და წმინდა საზოგადოებრივი წყობის სიმბოლოა.

ლონგფელოს პოემა კაცობრიობის მხატვრული ისტორიაა. „სიმღერა ჰაიაუთაზე“ ადამიანის მაღალზნობრივ თვისებებს: კაცთმოყვარეობას, სიკეთესა და მეგობრობას განადიდებს. ამ ნაწარმოებში ლონგფელო გვევლინება როგორც ჰუმანიტი და დემოკრატი, როგორც ამერიკული მწერლობის მოწინავე მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი.

„სიმღერა ჰაიაუთაზე“ თარგმნილია ევროპის თითქმის ყველა ენაზე. მისი პირველი ქართული თარგმანი, შესრულებული გივი გაჩეჩილაძისა და მიქელ პატარიძის მიერ, გამოქვეყნდა 1938 წელს, კონსტანტინე გამსახურდიას რედაქციით.

ქართველი მკითხველი უთუოდ სიამოვნებით გაეცნობა ამ პოემის ახალ ქართულ თარგმანს და თავისი ძვირფასი წიგნების სხვა გმირებით შეიყვარებს ჰაიაუთას.]

ირაკლი კანჭოშვილი

ინდიური სიტყვების განმარტებანი

ა მ ი კ ი — თახვი.

ა მ ო — ფუტკარი.

ა ნ კ ტ ა ქ ი — წყალთა ღვთაება.

ა პ უ კ ვ ა — ლერწამი.

ა ჯ ი დ ა უ მ ო — ციყვი.

ბ ა კ ა დ ე ვ ი ნ ი — შიმშილი.

ბ ე ნ ა — ხოხობი.

გ ი ზ ი ს ი — მზე.

გ ი ტ რ ი მ ა ნ ი ტ ო — დიადი სული, ცხოვრების შემოქმედი.

გ ი ტ რ ი-გ ი უ მ ი — დიდი ზღვა; ზემო ტბა.

ვ ა მ პ უ მ ი — ყელსაბამი ან სარტყელი ასხმული სხვადასხვა ნი-
შარებისაგან.

ი ე ნ ა დ ი ზ ი — უქნარა, თავმომწონე.

ი ზ ე! — გრცხვენოდეს!

ი უ ნ ო ნ ა ქ ი — უფროსი ქალიშვილი; ჰაიავათას დედა.

ი შ კ უ დ ა — ცეცხლი, კომეტა.

კ ა ბ ვ ე ნ ი — დასავლის ქარი.
კ ა ბ ი ბ ო ნ ო კ ა — ჩრდილოეთის ქარი.
კ ა გ ა გ ი — ყორანი.
კ ა გ ო — ხელს ნუ ახლები
კ ი გ ო — თევზი.
კ ი ვ ე დ ი ნ ი — ჩრდილო-დასავლის ქარი.
კ ე ი ო შ კ ი — თოლია.
კ ე ნ ა ბ ი კ ი — გველი.
კ ე ნ ი უ — არწივი.
კ უ ნ ტ ა ს უ ი — აზარტული თამაში.
კ უ ო ნ ი - შ ი — კრიკინობელა.

შ ა ნ გ ო - ტ ე ი ს ი — გამბედავი, გულადი.
შ ა ს კ ე დ ე ი — მღვლო.
შ ა ს კ ე ნ ო ზ ა — ქარიყლაპია.
შ ა ჯ ე კ ი უ ი ს ი — დასავლის ქარი, კაიავათას მამა.
შ ე გ ი ს ო გ ვ ე ნ ი — მარგალიტის ბუმბული, ჯადოქარი.
შ ი დ ე ბ ი — მკურნალნი.
შ ი ნ ე კ ა კ ა — მცინარი წყალი, ჩანჩქერი მდინარეზე, რომელიც ერთვინს
მისისიპს ფორტ სნელინგსა და ჩანჩქერ სენტ-ანტონის შორის.
შ ი ნ ჯ ი კ ა უ ნ ი — ხელთათმანი.
შ ი შ ე - ნ ა მ ა — დიდი თართი.
შ ი შ ი - მ ო კ ვ ა — დიდი დათვი.
შ ო ნ დ ა მ ი ნ ი — სიმინდი.
შ უ შ კ ო დ ა ს ა — კაკაბი.

ნ ა გ ო უ - უ ჯ უ — ზემო ტბის დიუნები.
ნ ა მ ა — თართი.
ნ ე პ ა უ ი ნ ი — ძილი, ძილის სული.
ნ ი - ბ ა - ნ ო - ბ ე ი გ ი — წყლის სული.

ო ზ ა უ ბ ი კ ი — სპილენძის ფირფიტა.
ო კ ა კ ა უ ს ი — კაშაყი.

ო მ ი შ ი — მტრედი.
თ ნ ე უ ე ი — გაიღვიძე.
ო პ ი რ ი — მეეოლია.

ბ ა გ ე ს ე ი ნ გ ი — ზარის თამაში.
ბ ა კ-უ ჯ ი — ტყის კაცი, ქონდრის კაცი.
ბ ე ბ თ უ ე ნ ი — ზამთარი.
ბ ე ზ ე კ ი — ბიზონი.
ბ ი შ ნ ე კ უ — ღერღვეტი.
ბ თ გ ა კ ი — სიკვდილი.
ბ თ გ ა უ გ ე ნ ი — კომბალი.
ბ უ კ უ თ ნ ა — მშვიდობის ჩიბუხის ბოლი.

ნ ე ბ თ უ შ ა — რუ, ნაკადული.
ს თ უ ნ ჯ ი ტ ა პ ა — ღონიერი.

უ ა უ ა — ბატასინი.
უ ა-ტ ე ი ს ი — ციციანათელა.
უ ა პ თ ნ თ შ ი ნ ი — ვაიმე!
უ გ უ დ უ თ შ ა — მთვარისებური თევზი.
უ ე ბ ი ნ თ — ჯადოქარი, გრძნეული.
უ ა ბ ე ნ ი — აღმოსავლეთის ქარი,
უ თ ბ ი კ ი — კლდე.

შ ა უ თ ნ დ ა ს ი — სამხრეთის ქარი.
შ ი ნ გ ე ბ ი ს ი — ყურყუმეღა.
შ თ გ თ დ ა ი ა — მშიშარა.
შ უ პ-შ უ პ-გ ა ი — ყანჩა.

ჩ ი მ თ ნ ი — არყის ხის ნავი.

ჯ თ ს ა კ ი დ ე ბ ი — მისნები, წინასწარმეტყველნი.

ზინაარსი

შესავალი	3
მშვიდობის ჩიბუხი	8
ოთხი ქარი	15
ჰაიავათას ბავშვობა	27
ჰაიავათა და მაჭეკიუისი	38
ჰაიავათას მარხულობა	51
ჰაიავათას მეგობრები	63
ჰაიავათას ნაოსნობა	72
ჰაიავათას თევზაობა	78
ჰაიავათა და მეგისოგვენი	88
ჰაიავათას ნიშნობა	100
ჰაიავათას ქორწილი	111
მწუხრის ვარსკვლავის შვილი	121
ყანების ლოცვა-კურთხევა	136
დამწერლობა	145
ჰაიავათას გლოვა	151
პო-პაკ-კივისი	161
პო-პაკ-კივისის მღევარი	171
კუასინდის სიკვდილი	186
აჩრდილები	192
შიმშილი	202
თეთრი კაცის ნაკვალევი	210
ჰაიავათას გამგზავრება	220
ქენრი ლონგფელო და მისი „სიმღერა ჰაიავათაზე“ — ი. კენჭოშვილი	231
ინდიური სიტყვების განმარტებანი	235

რედაქტორი ნ. ყ ი ა ს ა შ ვ ი ლ ი

გამომც. რედაქტორი მ. ა მ ა შ უ კ ე ლ ი
მხატვ. რედაქტორი ო. ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი
ტექრედაქტორი ო. პ ი რ ვ ე ლ ი
კორექტორი ლ. ს უ ლ თ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

•

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VI-64 წ.

ქაღალდის ზომა 70×108¹/₃₂

ნაბეჭდი თაბახი 15

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,47

ტირაჟი 14.000 შუკვ. № 838

ფასი 58 კაპ.

გამომცემლობა „ნ ა კ ა დ უ ლ ი ს“ სტამბა,
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5
Типография издательства «Накадули»,
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

Генри Лонгфелло

ПЕСНЬ О ГАЙАВАТЕ

(На грузинском языке)

Художник Т. Мирзашвили

Детиздат Грузинской ССР

«Накадули»

Тбилиси

1964